619
1966




„სად ჩემო,
ესე ლექსები
ვის ჩემებ
მონაღვაწენი."

# დროშა

№ 7 ივლისი 1966 წ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფართო და მზარგაშლილია რუსთავის ქუჩები



გამდნარი ფოლადის მდინარესთან

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 7 (180) ივლისი. 1966 წ.

გამოცემის XVI წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი





ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო თ. არჩვაძისა.

მარტენის ღუმელთან.

10074

# რუსთავი და რუსთაველები

რუსთავი ერთბაშად იწყება. ჭადრების ხეივანი უცებ მარცხნივ უხვევს და გაოცებული მგზავრის წინ თანამედროვე ქალაქის მრავალსართულიანი შენობები, ფართო ქუჩები და სკვერები იშლება.

მაგრამ რუსთავი მარტო თანამედროვე ქალაქი როდია. იგი მომავლის ქალაქიც არის. თქვენ განგაცვიფრებთ მის მომავალ ბატონ-პატრონთა სიმრავლეც ქუჩებსა და ეზოებში.

დიახ, პირველი, რაც თვალში ეცემა რუსთავში ჩასულ კაცს, ბავშვების სიმრავლეა. ბავშვები არიან ყველგან: ბაღებში, ტყე-პარკში, სკვერებში, ბავშვები თამაშობენ მდინარის ნაპირებთან, ჭყუმპალაობენ მათთვის საგანგებოდ შექმნილ ხელოვნურ ტბაში.

ბავშვებს მთელი რუსთავი აქვთ დაპყრობილი.

რუსთავი ნამდვილი ქალაქი-ბაღნარია!

დღეს კვირაა. მთელი ქალაქი სავსეა მოსეირნე რუსთაველებით: მეფოლადეებით, ქიმიკოსებით, ზეინკლებით. ისინი გამოსულნი არიან მთელი ოჯახებით, ჯგუფ-ჯგუფად, წყვილ-წყვილად და, სულ იშვიათად, ცალ-ცალკე. ისინი სხედან საზაფხულო კინოდარბაზებში თუ კაფეებში.

ესენი დიდი შრომის ადამიანები არიან, სწორედ მათ ჩაუდგეს პირველი ბალავარი ამ ქალაქს, მათ ააგუგუნეს პირველი მარტენი, მათ მიიღეს პირველი კაპროლაქტამი.

ამიტომ რუსთავი, რაც მთავარია, ქართული ფოლადისა და კაპროლაქტამის აკვანიცაა.

და თუ ვინმეს სურს უფრო ახლოს გაიცნოს მისი მკვიდრნი, რა თქმა უნდა, უპირველესად მოგუგუნე ღუმელებსა და ქიმიის წყნარ ლაბორატორიებს უნდა ესტუმროს.

* * *

დღეს კვირაა. ქარხნები მაინც არ წყვეტენ რუსთავში მუშაობას.

არ წყვეტს მუშაობას რუსთავის მეტალურგიული გიგანტიც.

მარტენის საამქროს პარტბიუროს მდივანი ელგუჯა ჩიხლაძე, რომელსაც ჩვენი მისვლა შეატყობინეს, ჭიშკართან გვეგებება.

— კარგ დროს მოხვედით, — გვეუბნება ელგუჯა, — ნახევარ საათში ლადო ფოლადს გაუშვებს.

ლადო მაღალი, ახოვანი ახალგაზრდა კაცია, რომელიც იქვე მაგიდას უზის და ცნობისმოყვარეობით შემოგვყურებს. მას სწორი, მსხვილნაკვთება სახე აქვს, ტანზე მეფოლადის ბრეზენტის შარვალხალათი აცვია და ალბათ ამიტომ უფრო ჩანს ასე დიდი.

— ჰო, დღეს განსაკუთრებული ხარისხის ფოლადს ვადნობთ, — ბუბუნებს ლადო და ადლიანი ნაბიჯებით მიგვიძღვის საამქროსაკენ; შორიდანვე ვხედავთ აკვამლებულ მილებს, მათ ქვეშ წითლად აბრიალებულ ღუმელთა სარკმლებს, რომლებიც დროდადრო ზემოთ იწევენ და ფართოდ დაღებულ გავარვარებულ ხახადან გუგუნით ისვრიან ცეცხლის ენებს. ეს გუგუნი, გრიალი და რახრახი თანდათან გვიახლოვდება, თანდათან გვაყრუებს...

საამქროში მარტენის ექვსი ღუმელია, ექვსივე დღეღამ მუშაობს სულმოუთქმელად. თითო ღუმელს ოთხი ბრიგადა ემსახურება შენაცვლებით. ლადო მეტრეველის ბრიგადა მესამე ღუმელზე მუშაობს. აქ მარტო პირველი ოთხი თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს და ზეგეგმით ათას რვაასი ტონა ფოლადი გამოადნეს.

ყველაფერი ეს მოასწრო და ჯერ კიდევ პარტბიუროში გვიამბო ელგუჯა ჩიხლაძემ.

ახლა ჩვენ თითქმის დაგვავიწყდა მისი ნაამბობი და ამ საოცარი სანახაობით ვართ გატაცებული. გუგუნებენ ხუთსართულიანი სახლისხელა ღუმელები. მათ წინ თუჯის მზიდავი მატარებელი დაატარებს თუჯის სავსე თუ ცარიელ ციცხვებს. მერე მოგორავს ლიანდაგზე თუჯის ჩამტვირთავი მანქანა, იღება ღუმელების სარკმლები და ტონობით თუჯი ინთქმება მათ წითლად გავარვარებულ, აგუგუნებულ ხახაში.

ფოლადის დნობას დიდი ცოდნა და უნარი სჭირდება და კიდევ უფრო დიდი ყურადღება. ლაბორატორიაში განუწყვეტლივ უკეთებენ ფოლადს ანალიზს და მის შედეგებს ყოველ ხუთ-შვიდ წუთში რადიოთი ატყობინებენ მარტენებთან მოფუსფუსე მეფოლადეებს. ლაბორატორია ქვედა სართულშია, მაგრამ ის ხომ „წარმოების თვალია“, ამიტომ ყველაფერს „ხედავს“, რაც კი მოთუხთუხე ფოლადში ხდება. ყველაფერი ეს მხოლოდ ერთი საამქროა.

საოცარი სიზუსტეა!

მაგრამ კიდევ უფრო საოცარნი თვითონ ადამიანები არიან. რუსთავის პირველი მეფოლადე შალვა კუხალეიშვილი, რომელიც ამჟამად საამქროს უფროსის მოადგილეა, გვერდიდან არ გვცილდება. ყველაფერს გვიხსნის და გვიმარტავს. ლადოს კი ჩვენთვის არა სცალია, თავის ღუმელს დასტრიალებს. სხვებიც გართულნი არიან მუშაობაში. დროდადრო გადმოგვხედავენ და ორიოდე სიტყვას მოგვაშველებენ. ხუმრობენ კიდეც.

რადიომ რაღაც გამოაცხადა.

— ლადო ფოლადს უშვებს, — გვითხრა კუხალეიშვილმა და მესამე ღუმელს მიაშურა. უკან მივყევით. ღუმელთან გაშმაგებით მუშაობდნენ მეტრეველის ბრიგადის ბიჭები.

ღუმელიდან ჯერ ნაპერწკლების მთელი კონა გამოიჭრა, მერე შავ-მეწამულმა მასამ გამოუონა, ბოლოს იხუვლა და ფოლადის წითლად გავარვარებული ჩანჩქერი გუგუნით გადაეშვა ღუმელის ქვეშ მდგარ ვებერთელა ციცხვებში.

ირგვლივ ნაპერწკლების კორიანტელი დადგა. ჰაერიც ისე იყო გავარვარებული, სულს ვერ ვითქვამდით. თითქოს გვეტრუსებოდა თმაც, სახეც, ტანსაცმელიც.

ცვლის ოსტატმა სერგო საყვარელიძემ, საშუალო ტანის ჯმუხმა კაცმა, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, კმაყოფილი სახით მოგვხედა და თეთრი კბილები გამოაჩინა.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

— დაგცხათ ვანა? — ხუმრობით ამბობს იგი, — ამან არ შეგაშინოთ, აქ რომ ისე ცხელოდეს, როგორც ქალაქში იცის ხოლმე ზაფხულში, გავიქცეოდით აქედან!

ქალაქზე რომ ლაპარაკობს, მეფოლადე თბილისსა გულისხმობს.

ჩვენ შევცქერით სერგოს მომღიმარ სახეს და საოცარი პატივისცემით ვიმსჭვალებით. კაცი კი არა, რკინაა, თუმცა რადა სერგო. ლაბორატორიიდან ამოსული პატარა ტანის ნაზი გოგონა ზედ მისდგომია ამ გამდნარი ფოლადის ჩანჩქერს და, თქვენ არ მომიკვდეთ, წარბსაც არა ხრის. რაღაცას აკვირდება დაჟინებით.

მართლაც საოცარი ხალხია მარტენის საამქროში!





დღეს გამოსასვლელი დღეა.

* * *

მესამე ღუმელზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გრიგოლ სებისკვერაძის ბრიგადა მუშაობს.

დღეს ბრიგადა ისვენებს.

გრიგოლის ნახვა სახლში შეიძლება.

გზად მიმავლებმა ტყე-პარკში ჩავუხვიეთ, ტბის პირას აჟრიამულებული ბავშვების გადაღება გვსურდა, და სწორედ აქ შეგვხვდა გრიგოლი.

მეუღლითა და გოგონებით გამოსულა სასეირნოდ. უფროსი ვაჟი კი სადღაც კალათბურთის მოედანს შერჩენია ტოლებში გართული.

მივედით, გავეცანით.

მეტად წყნარი და მორიდებული კაცი აღმოჩნდა, ტანად ისიც მკვრივად შეკრული და ახოვანია, თმა ხშირი და ნაადრევად შევერცხლილი აქვს, და ეს თითქოს უხდება კიდეც გრიგოლს, საოცარ კონტრასტს ქმნის მის მორცხვ, ბავშვურ ღიმილთან.

სულ ერთი თვეა, რაც იგი, რუსთაველი მეფოლადე, საბჭოთა კავშირის მთავრობის წევრად აირჩიეს.

ოჯახში მიგვიწვიეს, ჩვენი დიასახლისი ქეთევანი დატრიალდა, თვალის დახამხამებაში პატარა, მადლიანი სუფრა გაგვიწყო.

მასპინძლის მოვალეობამ, როგორც იქნა, აალაპარაკა გრიგოლი.

წარმოშობით ორჯონიკიძის რაიონის სოფელ უბისიდან ყოფილა. ომის დროს, ჯერ ისევ პატარა ბიჭი მაგნიტოგორსკსა და დნეპროძერჟინსკში გაუგზავნიათ. ორმოცდაშვიდ წელს დაბრუნებულა, მაგრამ აქ ჯერ მხოლოდ საძირკველი ჰქონია მარტენს ჩაყრილი. წასულა სოფელში დედმამასთან. სამი წლის შემდეგ რუსთავიდან წერილი მიუღიათ მის მშობლებს — მარტენის აშენება დამთავრდა და გთხოვთ გამოგზავნოთ თქვენი შვილი, სპეციალისტი გვჭირდებაო.

მთელმა სოფელმა გააცილა თურმე გრიგოლი.

მუშაობა პირველ ღუმელზე დაუწყია, შალვა კუხალეიშვილთან ხელშემწყობად. როცა მესამე გაუშვეს, უკვე გამოცდილი ოსტატი, მეფოლადედ დაუნიშნავთ იმ ღუმელზე.



ქ. რუსთავის ქუჩაზე.

დეპუტატობამ ბევრი ახალი და მრავალფეროვანი საქმე გაუჩინა მეფოლადეს. მასთან მოდიან რჩევის საკითხავად, სასაუბროდ, სათხოვნელად, ყველამ იცის სებისკვერაძის სიტყვის ფასი, იგი მისი გამოდნობილი ფოლადივით მტკიცეა.

დღის ბოლოს მეფოლადეები უნდა მივიდნენ მასთან რაღაც საქმეზე; ამიტომ დროს აღარ ვართმევთ გრიგოლს, ვემშვიდობებით და ისეთი გრძნობით გამოვდივართ მისი პატარა, კოხტა ბინიდან, თითქოს ძველისძველი მეგობარი გვეპოვოს.

* * *

იზრდება რუსთავი, მაღლდება, მხრებს ფართოდ შლის.

რუსთავსა და თბილისს შორის ლარივით სწორი გზატკეცილია, ეს გზა თითქმის ტრიალ მინდორზე გადის. ამ მინდორზე სოკოებივით ჩნდებიან შენობები. და რუსთავიც ისე მოიწევს თბილისისაკენ, როგორც ფოლადის ნატეხი ანდამატისაკენ.

ჩვენი მანქანა მოქრის ამ გზაზე, თანდათან ეფარებიან თვალს რუსთავის მრავალსართულიანი შენობები, ახალმშენებლობანი, ამწე ონკანები. მარტო მისი ქარხნების კვამლი რჩება ჰორიზონტზე, როგორც დიდი და ვაჟკაცური ცხოვრების სიმბოლო.

ა. სეხნიაშვილი.





ქსენია სიხარულიძე
პროფესორი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო დ. იაკობაშვილისა. მთათუშეთის სტუმრები.

# ჩვენი დების სანახავად



როგორ ცხოვრობენ მთათუშეთის ქალები, რა ახარებთ, ან რა აკლიათ ომალოს, დიკლოსა და შენაქოს მკვიდრთ, — ამ ფიქრით შევიკრიბეთ თბილისის აეროდრომზე გასული წლის 6 სექტემბრის მზიანი დილით.

ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ყოველდღიურად ზრუნავს მთიელთა ყოფის გასაუმჯობესებლად. მთათუშეთის ბევრი მკვიდრი ბარში ჩამოსახლდა. ზოგი მათგანი ზაფხულობით ისევ ეწვევა ხოლმე მშობლიურ მიდამოებს, ზოგი კი საერთოდ ვერ შელევია მამა-პაპათა ნასახლარს და ზამთარზაფხულ იქ დარჩენილა. ახლაც მთათუშეთის მკვიდრნი არიან სეხნიაიძენი, ქაძენი, ბუქვაიძენი, კურდლაიძენი და სხვანი და სხვანი.

ომალოში, დიკლოსა და შენაქოში ადრე მხოლოდ საცალფეხო ბილიკებით თუ მიაღწევდა ადამიანი. ახლა კი თელავიდან ვერტმფრენი ოც წუთში გადაგიყვანს ომალოში. მაგრამ მაინც ამინდზე ხარ დამოკიდებული. შეიძლება ავდარმა მოულოდნელად შეგიკრას გზა ამ ულამაზესი სოფლებისაკენ, ან კიდევ, თუ უკვე მიგიღწევია იქ, ჩაგტოვოს მთის კალთებში.

მაგრამ ახლა ამინდის კაპრიზებზე როდი ფიქრობენ თბილისის აეროდრომზე შეკრებილნი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვიქტორია სირაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზინაიდა კვაჭაძე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თამარ ლაშქარაშვილი, ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქტორი თეო აბაშმაძე, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ნინო უვანია, ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ელენე ჩოფიკაშვილი, სპორტული საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე თამარ მანაგაძე, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ერთ-ერთი განყოფილების მუშაკი ნინო ჯამასპიშვილი. მათ ეჩქარებათ ინახულონ თავიანთი დები — თუში ქალები. ჩვენთან მამაკაცებიც არიან — ჯანმრთელობის მინისტრის მოადგილე ზაალ კახიანი, გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორის მოადგილე ბენო თათარიშვილი და სხვები. თელავის აეროდრომზე თელავისა და ახმეტის რაიონების ხელმძღვანელი მუშაკები შემოგვიერთდნენ.

ახლა უკვე ვერტმფრენით მივეშურებით მთიანეთისაკენ, ზემოდან დავსცქერით მთათუშეთს. მთებს თითქოს შეუწყვეტიათ ფიქრი, ნისლის ნატამალიც არ არის. აქა-იქ მოჩანს აკრეფილი ქულები ფაფუკი ღრუბლებისა. იგი მთის კალთებზე შეფენილი სოფლების მშვენიერი სამკაულია.

პირველად შენაქოს ვეწვიეთ. სათიბში, სოფლის წყაროსთან დაეშვა ეკიპაჟი. ყინულივით ცივია და საამო შენაქოელთა წყარო. თვალწარმტაცია შენაქო, დასახლების ერთი ჯგუფი საზამთროა, მეორე— საზაფხულო. თითო მოსახლეს ორი სადგომი აქვს — საზამთრო და საზაფხულო. ძველებურ სადგომებში, ადრე ჭრაქს რომ გაუჭვარტლავს, ახლა ილიჩის ნათურები ბრწყინავენ! ეს წარუშლელი სახსოვარია სამიოდე წლის წინ მთათუშეთში რესპუბლიკის ხელმძღვანელი ამხანაგების სტუმრობისა. შენაქოელნი სათიბებს შესევიან, მარჯვედ იქნევენ ცელებს. „მოდით, მოგვეშველენითო", იხუმრა თითქოს კალმით ნახატმა ახალგაზრდა მთიბელმა, თანაც წაიღიღინა: „ცელო, ვერ შაგაუერია". ხანდაზმულები და ბავშვები საზაფხულო სადგომებთან შეკრებილან. ქალები საოცარი სისწრაფით ამოძრავებენ წინდის ჩხირებს, თვალს თვალზე ახხამენ, მომხიბვლელად აჭრელებენ თუშურ წინდებს.

ქალებზე ზრუნვის ფიქრი წუთითაც არ ტოვებს თეო აბაშმაძეს. მიგვიძღვის სადგომებში, აკვირდება მათი მუშაობის პირობებს. ბოდიშობენ თუში ქალები — ვერ მოვასწარითო ბინის დაგვა. ბენო თათარიშვილი ჟურნალისტურ ყინს შეუპყრია, ფანქარი მოუმარჯვებია, მეც პროფესიულმა სურვილმა წამძლია, სახელდახელოდ ვიწერ თუშურ ლექსებს, თქმულებებს, გამოცანებს. კარგი მოლექსეა სარა კურდლაიძე. მან იცის წარსული ბედუკუღმართობის ამსახველი ლექსები და თქმულებანი. არ ვეშვები. თუში ქალი თითქოს მექანიკურად ამოძრავებს თითებს, თან ქსოვს, თანაც შთაგონებით წარმოთქვამს საინტერესო ვარიანტს დიკლო-შენაქოსა და ჭელოს დიდი ტრაგედიის ამსახველი გავრცელებული ბალადისა:

დიკლოში ქალებ ასტირდეს:
— რა მტერმა შაგვაშინაო,
კარზე მოდიან სტუმრულა,
ძალზე შემოალთ შინაო,
დაგიხოცთ ახალ-უხლებსა,
ქალებს წავიყვანთ წინაო.
სამციხელების თოფებმა
ჭელოს ძირ შამოხვივლაო,
ნებერთაში ხარაულმა
ქორივით შამოხკივლაო.
მიქელმა, ზურაბთ გაზდილმა
ბიჭმა რა მოიხდინაო,
ჰგონავ დახოცა ცოლ-შვილი,
სულეთი წაიხდინაო,
ვინც რო მიქელას დაუგმობს,
იმასაც მოუხდინაო.

ქართველი კაცის მორალის გამომხატველ ლექსს კომენტარად თქმულებაც მოაყოლა სარამ: — არ დაგმოო ხალხმა მიქელაო, მის ცოლ-შვილს მტრისაგან ნამუსის ახდა ელოდაო, ვაჟკაცისათვის ეს სიკვდილზე გადამეტიაო. თვით ცოლ-შვილმა თხოვაო მიქელას, — მტრის ხელში ნუ ჩაგვაგდებო, შენ თითონ დაგვხოცეო.

თუში ვაჟკაცის შეჭრა მტრის რაზმში და საკუთარი ცოლ-შვილის დახოცვა, მწარე მოგონებად რომ დარჩათ მთიანეთის მცხოვრებთ, 1836 წელს მოხდა. ეს შემზარავი ამბავი არის წყარო ვაჟაფშაველას ბალადისა „ბაკური".

მდინარესავით მოედინება თუში ქალის საუბარი. იგი ისევ წარსულ ძნელბედობაზე ლე-

საობს, ჩაგვაწერინა მეორე, უფრო ვრცელი ბალადა. თითქმის მოთქმით შეასრულა მისი სტრიქონები:

ეხ, მივდით საბურსუბნოსკენ,
აწ ტყვე ვართ დაღესტნისაო,
უკან დიდი ჯარი მოგვდევს,
ბელადი მიგვიძღვისაო,
მობრუნდება, ხმალს გვიელვებს,
თქვენგან დიდ ჯავრი მჭირსაო.

დრო განსაზღვრული გვაქვს. უნდა დავტოვოთ შენაქო. მოლექსემ შემნიშნა, ვჩქარობ. შეცვალა რეპერტუარი. ახლა წარსულში ქალთა უუფლებობის, სიყვარულში მათი არჩევანის უგულვებელყოფის ამსახველი საყოფიერო ლექსი ჩამაწერინა. ამ ლექსის ფშაურ ვარიანტს თედო რაზიკაშვილის ჩანაწერით ვიცნობ. სარას ტექსტი თავისებურია:

მაღლა მთასა არშისასა
ზედამ წვერზე გადამკიდაო,
ზედ ეთოვლა, ზედ ეწვიმა,
ზედ ზენა ქარს მომაქრიდაო,
ყელს მომხვია ჭრელი გველი,
შავი მხარზე ჩამამკიდაო,
ამას ყველას გაუძლებდი,
უნდობელას ნუ შამყრიდაო.

სარა კურდღლაიძე 64 წლისაა. ხანდაზმულობას მასში ცეცხლი ვერ ჩაუქრია. არ გვაკმარა ლექსები და თქმულებანი. გამომშვიდობებისას თუშური შუშპარი გვაჩვენა. თეო აბაშმაძე გამოიწვია. სტუმარმა არ გააწბილა მასპინძელი, გაშალა მკლავები, ტოლი არ დაუგდო თუშ ქალს.

საინტერესო და მრავალფეროვანი რეპერტუარი აქვს მარიხო ბუქვაიძესაც. უბის წიგნაკში შემაქვს მისი ნათქვამი შრომის, მონადირული, საყოფიერო ლექსები და გამოცანები. მენანება, რომ ვერ ვახერხებ შენაქოელთა რეპერტუარის ამოწურვას. დიკლოსაკენ მივეშურებით. გულთბილად გვემშვიდობებიან შენაქოელნი. გამცილებელ ქალებს, ყველას, ახალგაზრდებსა და მოხუცებს ამშვენებთ ნინო ჟვანიასაგან ნასახსოვრები ქართულად დაჩითული ნაირფერი აბრეშუმის თავსაფრები.

დიკლომაც მოგვხიბლა მშვენიერი ბუნებით. დავეშვით თუ არა, მაშინვე დაღესტნის საზღვრისაკენ გავეშურეთ. შუა დღეა. ზღვის დონიდან 2300 მეტრის სიმაღლეზე განსაკუთრებით იგრძნობა მზის მცხუნვარება. ჩავუარეთ შესანიშნავ საძოვრებს. საოცარ შთაბეჭდილებას ტოვებს მზის გულზე დამდგარი ცხვრის ფარა: არც ერთ ცხვარს თავი არ უჩანს. ამ მიამიტ ცხოველებსაც კი მოუფიქრებიათ, ერთი-მეორე საჩრდილობლად გამოეყენებინათ, ამიტომ თავები ერთი-მეორის ქვეშ წაუყვიათ.

ფერდობებზე ლარივით გაჭიმულ, ვიწრო ბილიკზე მწკრივში ჩამდგარნი მიაბიჯებენ მთათუშეთის სტუმრები. ნაბიჯს ვანელებ, მანძილიდან ვამოწმებ ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე ქალთა ამტანიანობას. თელავის ალმასკომის თავმჯდომარემ მედეა მეზვრიშვილმა შენიშნა ჩემი ჩამორჩენა. ვერ მიმიხვდა გუმანს, დაღლილი ვგონივარ, დამელოდა. ვერც მე მივუხვდი სტუმართმოყვარეობას, მას შევწამე დაღლილობა, მოვუბოდიშე — დაგქანცეთ-მეთქი. — ნეტავი სიარულით გაჰაძღოო, მიპასუხა და იქვე ანკარა ნაკადულთან მიმიპატიჟა, — მიირთვით, მთის ნაყურიაო.

ვაგრძელებთ გზას. კვლავ გავცქერი ნაირფერ მწკრივს. სპორტული სიმსუბუქით მიაბიჯებს თეო აბაშმაძე, ეს ზორბა ტანის ქალი. არც არავის ეტყობა დაღლა. სიამაყის გრძნობა მეუფლება. მაღალგონიერნი ფიზიკურადაც გამძლენი ყოფილან.

მივადექით დაღესტნის საზღვარს. ორწოხებზე ძველი ციხის ნანგრევია. ზედ ასვლა სახიფათოა. ოდნავი წონასწორობის დარღვევა, და უფსკრულში გადაეშვები. თეო აბაშმაძე გამოეყო ჯგუფს. უშიშრად შედგა ნანგრევის ნაწიბურზე, ხელს გვიქნევს, თითქოს გვემშვიდობება. ჩააცქერდა ორწოხებს, გაბრწყინებული სახე ერთბაშად მოეღრუბლა, სწრაფად გადმოხტა ნანგრევიდან, შემოგვიერთდა. უთუოდ ძველი ციხის ნანგრევებმა განაცდევინა წარსული ტრაგედია — ტომთა შორის უაზრო შუღლი, ერთიმეორის დალაშქვრა, მოსახლეობის აწიოკება, გატაცება, დიდი უბედურება კავკასიის ხალხთა, — ყველაფერი ის, რაც ასახულია იმ ლექსებსა და თქმულებებში, ორი საათის წინ რომ ჩავიწერე. ახლა კი ხალხთა მეგობრობის, კეთილი მეზობლობის გულწრფელი გრძნობით გავცქერით დაღესტნის მთებს — მთებში შეფენილ მოსახლეობას; აქა-იქ ნისლი ჩაწოლილა დაღესტნის მთებში. ახმიანდა გალაკტიონის ლექსის სტრიქონები:

შავმა ნისლმა დანისლა
მთები დაღესტანისა,
აიმართნენ კოშკები,
ცისა და ნესტანისა.

შეუსვენებლივ გადავლახეთ მთის თორმეტკილომეტრიანი ბილიკი. მივბრუნდით სოფელში, ტაროსმა თავისი ძალა გვაგრძნობინა, დაგვაყოვნა დიკლოში. ღრუბელმა და ნისლმა გზა შეუკრა ვერტმფრენს. დაფაცურდნენ დიკლოელნი. ფროსე ქააძე ცხელ-ცხელი ხაბიზგინებითა და ჟიპიტაურით გაგვიმასპინძლდა. მეორე მოხუცმა ქალმა თუშური ყველი, პური და კეთილი გული შემოგვთავაზა.

გამოჩნდა ვერტმფრენი. ომალოში გადაგვიყვანა. ხალისიანად შეგვეგებნენ ომალოელნი. სახელდახელოდ შეკრებილთ გადავეცით საჩუქრები — წიგნები, კულტსაქონელი, აბრეშუმის თავსაფრები. პატარა ომალოელმა გოგონამ საამოდ დაუკრა ელენე ჩოფიკაშვილისაგან ნასახსოვრები აკორდეონი. ვიქტორია სირაძე და ზინა კვაჭაძე განცალკევებულან, გაოგნებულნი გასცქერიან ომალოს საოცრად ლამაზ რელიეფს. თამარ ლაშქარაშვილი კი მხნედ აუყვა აკიდულ აღმართს, სკოლა-ინტერნატი დაათვალიერა. ზაალ კახიანი საექიმო პუნქტისაკენ გაეშურა. დუგლას ნიკურაძე სოფლის მეურნეობის საკითხებზე ესაუბრა მშრომელებს.

ჩვენი დრო ამოიწურა. ვერტმფრენი თელავისაკენ იღებს კურსს, თელავისა და ახმეტის რაიონების ხელმძღვანელმა ამხანაგებმა არ დაგვაკლეს მზრუნველობა, შემოგვატარეს მთათუშეთის სოფლები, ახლოს გვაჩვენეს გამრჯე მთიელი ქალები. მცირე იყო ჩვენგან მათდამი მიძღვნილი საჩუქრები, სამაგიეროდ დიდი არის ჩვენი სურვილები მათი ყოფის კიდევ უფრო გაუმჯობესებისა, დიდი არის რწმენაც, რომ ეს შეხვედრა გაახარებს ნიჭიერსა და დარბაისელ მთიელებს.

მთათუშეთის სტუმართა ერთმა ჯგუფმა წინანდალში გავათიეთ ღამე. 7 სექტემბერს დილით თბილისისაკენ მანქანით მომავალნი, ცივგომბორზე, მთიელ ქალებთან შეხვედრის ახალ გეგმას ვადგენდით. გადავწყვიტეთ, უახლოეს დღეებში შატილიონ ქალებს შევხვედროდით. აბა ვინ იფიქრებდა, თუ სწორედ უახლოეს დღეებში ამ გეგმის ინიციატორს, ქალთა გულწრფელ ქომაგს, ჩვენს საყვარელ თეოს სამუდამოდ გამოვეთხოვებოდით.

თუმცა დაგვიანებით, მაგრამ ჩვენ მაინც მოვინახულებთ შატილიონ და ჩვენი ქვეყნის სხვა მაღალმთიან ადგილების მშრომელ ქალებს, გავეცნობით მათ ყოფას, გავიგებთ მათ სურვილებს, ფრთას შევასხამთ თეო აბაშმაძის ლამაზ ოცნებას.



# ჩაი ჩვენი, ქართული

ჩვენი მკითხველის წიგნის თაროს საინტერესო ნაშრომი შეემატა — ამას წინათ გამოვიდა მიხეილ დავითაშვილის ნარკვევი „ჩაი ჩვენი, ქართული".

მიხეილ დავითაშვილის ჟურნალისტურ მოღვაწეობას ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს. ომის დროს ის ჩვენი ჯარისკაცებისა და ოფიცრების გმირობაზე მოუთხრობდა მკითხველს, განამტკიცებდა მის პატრიოტულ მისწრაფებებს; მშვიდობიანი მშენებლობის წლებში მისი წიგნები თუ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული ნარკვევები და სტატიები გვიხატავენ საბჭოთა ადამიანების თავდადებულ შრომას სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ავტორმა, როგორც ჟურნალისტმა და როგორც სასოფლო-სამეურნეო გაზეთის რედაქტორმა, დიდი შრომა გასწია ჩაის წარმოების ქართველ ოსტატთა საქმეების ფართო პროპაგანდისა და პოპულარიზაციისათვის. ამ ხანგრძლივი მუშაობის ნაყოფია ზემოდასახელებული წიგნი. იგი მოგვითხრობს უძველეს მცენარეზე, რომელიც გვაძლევს მსოფლიოში ყველაზე პოპულარულ სასმელს, მის ახალ სამშობლოზე — შავიზღვისპირეთის სუბტროპიკებზე, ახალ, ძვირფას ბაღზე, რომლითაც კომუნიზმის მშენებლებმა შეამკეს დედამიწა.

ჩაის კულტურის პროპაგანდა, ისევე როგორც მრავალზე მრავალი კარგი საქმე, ჩვენში „ივერიამ" დაიწყო. მაგრამ მაშინ ალბათ მარტო ოცნებით თუ წარმოიდგენდნენ იმ ლალად გადაჭიმულ და თვალგადაუწვდენელ პლანტაციებს, რომლებითაც დღეს მოფენილია მთელი დასავლეთი საქართველო. თუ 1921 წელს საქართველოში მოქმედებდა ჩაის მხოლოდ სამი ფაბრიკა, წლიურად 600 ტონა გადამუშავებული ფოთლის სიმძლავრით, დღეს 68 ჩაის ფაბრიკა გვაქვს, სადაც მექანიზირებულია ყველა ძირითადი პროცესი. ჩაის პლანტაციებს ამჟამად ასეულ ათასობით ჰექტარი მიწის ფართობი უჭირავს. მთელი ქვეყანა იცნობს სახელოვან ქართველ ქალებს, რომელთაც თავი გამოიჩინეს ჩაის კრეფით და სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება დაიმსახურეს. ავტორი დაწვრილებით მოგვითხრობს მათ ღვაწლზე, მათს შემოქმედებითს შრომაზე.

ქართველმა სპეციალისტებმა — პროფესორ-მეცნიერებმა წინ გაუსწრეს მრავალი ქვეყნის ჩაის სპეციალისტებს. პროფესორ ქსენია ბახტაძის სახელი გასცდა საქართველოს ფარგლებს, თავისი დაუღალავი მეცნიერული შრომით მან შექმნა ჩაის სელექციის მოძღვრება, რომელიც ფართოდაა ცნობილი მთელ მსოფლიოში. პროფესორი, ბიო-ქიმიკოსი ივანე ხოჭოლავა ჩაის მწვანე ფოთლის ღნობის მექანიზაციის პიონერია. მან ლაბორატორიულად დაამუშავა და ჩაის ღეროსაგან მიიღო სუფთა მაღალი არომატის მქონე ჩაი, რომელსაც ჩაის დეგუსტატორ-ტიტესტერებმა უმაღლესი შეფასება მისცეს.

ჩაი — ქართული მიწის უდიდესი სიმდიდრეა. და ჩვენი ხალხიც ფაქიზად და მთელი გატაცებით უვლის მას.

მიხეილ დავითაშვილის წიგნში ნათლადაა ასახული ჩაის უხვი მოსავლისათვის ბრძოლის მთელი ისტორია, ქართველი მეჩაიეების — მეცნიერებისა და მინდვრის ოსტატების მამაცობა.



ო. ძიძიგური

ლამაზი კაცია არჩილ ყანჩაშვილი, მაგრამ როდესაც მისი სიტყვა არ გადის, პირისახე საოცრად ეცვლება. ეშხი და ლაზათი ეკარგება.

ზ უ რ ი ა. ვინც გინდათ, ის იყავით, ოღონდ აქ მბრძანებლობას თავი გაანებეთ!

ა რ ჩ ი ლ ი. მე აქ სახელმწიფო დავალებას ვასრულებ...

ზ უ რ ი ა. საძოვრების გადახვნა, ეს არის სახელმწიფო დავალება?! რაღაც არა მჯერა! (ბაკურაძეს მიუბრუნდა) შენ რას გაჩუმებულხარ, თავმჯდომარევ!

თ უ რ მ ა ნ ი. ამხანაგმა არჩილმა უკეთ იცის, რომელი მინდორი მოხნას და რომელი არა.

ზ უ რ ი ა. რაიკომს შევატყობინებ!

თ უ რ მ ა ნ ი. საკითხი შეთანხმებულია, ჩემო ზურია.

ა რ ჩ ი ლ ი. შენ შენი საქმე იცოდე, თავჩობანო! ჩვენსას ჩვენ მოვუვლით... (ტრაქტორისტს) აბა, მიდი!

— მე აქედან ფეხს არ მოვიცვლი! — სთქვა ზურიამ და ერთი ისეთი ამოიოხრა, დათამ ფერი დაკარგა, მანქანა ადგილიდან ვერ დასძრა. კაცი ამნაირად რომ ამოიოხრებს, მასთან ხუმრობა არ შეიძლება.

არჩილმაც დაინახა, რომ დათას ნირი წაუხდა... მაშინ დაჰკრა ფეხი და ტრაქტორის კაბინაში შევარდა. არჩილმა არ იცის ყოყმანი და ორჭოფობა, როდესაც სასწორზე მისი სახელი და ღირსება დაიდება.

დათა გვერდზე მიაგდო და საჭეს მიუჯდა. იგი თითქოს ვერ ხედავს მანქანის წინ ასვეტილ კობაიძეს. ერთი კი გადახედა ხნულის პირას გაშეშებულ ნინოს და ვეება ტრაქტორი ადგილიდან მოსწყვიტა... ცოტაღა დააკლდა, კაცი არ გაიტანა. კობაიძე გვერდზე გადახტა, ხნულში წაიფორხილა და წაიქცა.

ყველას ენა პირში ჩაუვარდა, მხოლოდ ცოტა ცერცეტი და ბრიყვი შაქრო ჩუმად ახვიხვინდა.

— როგორ შეშინდი, ზურია?! განა მართლა გაგიტანდა! — უთხრა ნინომ ზეზე წამომდგარ კობაიძეს.

— მაჯობა, არა?! — ჩაიხრიალა ზურიამ.

ის ახლა სხვა სიტყვას, სხვანაირ თანაგრძნობას ელოდა ნინოსაგან, და რაკი ქალმა ამდენი გულისხმიერება ვერ გამოიჩინა, გული უარესად აემღვრა.

„დამცინის!“ — გაიფიქრა ზურიამ. — „არ უნდა გავქცეოდი!“ უზანგში ფეხი არ შეუდგამს, ცხენს ისე მოახტა და ქუსლი ჰკრა.

ნინომ მხრები აიჩეჩა, მინდვრის ბოლოში გასულ ტრაქტორს გახედა.

— მხეცი! — ჩაილაპარაკა მან. მერე შაქროს მიუბრუნდა: — ვინ არის?

შ ა ქ რ ო. არ იცნობ? ჩემი ახალი უფროსია, არჩილ ყანჩაშვილი! კაცი ვარო, მაგან უნდა სთქვას, თბილისი მიატოვა და რაიონში გადმოვიდა სამუშაოდ! არ მოგეწონა?

ნ ი ნ ო. ყველაფერი შენ უნდა იცოდე, შაქრო?!

ყანჩაშვილი ტრაქტორიდან გადმოვიდა და მათკენ გამოეშურა. ნინო შეყოყმანდა, დარჩეს თუ წავიდეს... წასვლა აჯობინა. ჩქარი ნაბიჯით გზას გაუდგა, თუმცა წელან მგონი გადააჭარბა, ყანჩაშვილს მხეცი რომ უწოდა. კაცი ასეთი უნდა! გაბედული, პირდაპირი, სიტყვის პატრონი...

ზურია კი რა სასაცილოდ ჩაემხო ბელტებში!

2

არჩილის ავტომობილი სარძეო ფერმას უახლოვდება. მანქანის საყვირი ახლა რაღაც განსაკუთრებულ ნიშანს იძლევა, თითქოს ვიღაცას ეძახის... და მართლაც, ავტომობილმა ფერმის ეზოსთან გაჩერება ვერ მოასწრო, თეთრად შეღებილი დაბალი სახლიდან ერთი დუნდრუხა გოგო გამოვარდა. გოგოს თეთრი ხალათი აცვია, ხელში დოქი უჭირავს. თვალისწამში ჭიშკართან მოირბინა, მანქანაში უცხო კაცი რომ დაინახა, ცოტა დაიმორცხვა, უკან დაიხია და დოქს ხალათის კალთა გადააფარა.

— მოიტა, მოიტა! მანდ რასა მალავ? — უთხრა არჩილმა.

გოგომ ჩუმად ჩაიკისკისა და დოქი მიაწოდა.

არჩილმა დოქი მოიყუდა, იმწამსვე საოცრად დაიმანჭა და დოქი კინაღამ ხელიდან გაუვარდა.

ა რ ჩ ი ლ ი. ფუ, დასწყევლოს ეშმაკმა! მე ღვინო მეგონა!

შ ა ქ რ ო. ღვინო ამიკრძალა, ბატონო არჩილ, მანქანას დაამტვრევო! ახლა ყოველდღე თხის რძეს მასმევს!

ა რ ჩ ი ლ ი. თხის რძე რად უნდა ამ კამეჩს?!

---

* გაგრძელება. იხ. „დროშა“, № 6.



**კონსტანტინე ლორთქიფანიძე**

გ ო გ ო. შეხედულება აქვს ასეთი, ბატონო არჩილ, თორემ ისე მთლად კარგად ვერ არის! გულის ფრიალი აქვს...

ა რ ჩ ი ლ ი. (გოგოს თვალი ჩაუკრა) გულის ფრიალი, რა თქმა უნდა, ექნება! ქორწილი როდისა გაქვთ?

გოგომ მორცხვად თავი დახარა, თუმცა სოფელში ყველამ იცის, რომ მაყვალა ჩხეტიანი შაქროს საცოლეა.

შ ა ქ რ ო. საშველი არ დამადგა, ბატონო არჩილ... სახლი ვერ მოვათავე! მთელი რაიონი შევაწრიალე, ოცი ლერი ფიცარი ვერ ვიშოვე.

ა რ ჩ ი ლ ი. (უგულისყუროდ. ეტყობა, სხვაზე ფიქრობს) ფიცარი ვერ იშოვე? მერე მომაგონე... ახლა კი წავიდეთ.

მაყვალამ დოქი მანქანაში შედგა და შაქროს თვალები დაუბრიალა, ამის დალევა არ დაგავიწყდესო...

მანქანა სოფლის ქუჩაზე მიჰქრის.

— ის ქალი ვინ იყო, შაქრო? — იკითხა უცბად არჩილმა.

— ჩემი საცოლეა, ბატონო არჩილ, მაყვალა ჩხეტიანი!

— არა... იქ რომ იყო მინდორზე!

— ა-ა, ნინო მასწავლებელი? ლამაზი ქალია, არა? ჩვენი ბიჭები ძილში ბოდავენ იმის სახელს! აგერ მისი სკოლაც... (შაქრომ მანქანა შეაჩერა).

3

აგერ ნინოს სკოლა. ახლა ის დამშვიდებული ესაუბრება ბავშვებს. წელან კი მათი დანახვა აღარ უნდოდა, კლასიდან გაქცევას აპირებდა.

ეს მისი პირველი გაკვეთილი იყო მეშვიდე ა-ში. აქამდე იგი პატარებს ასწავლიდა, გუშინ კი ეს კლასი ჩააბარეს. ამ პირველ გაკვეთილს უნდა გადაეწყვიტა, დარჩებოდა იგი მეშვიდე კლასში, თუ ისევ პატარებს დაუბრუნდებოდა.

— მეშვიდე ა-ში ცოტა ცელქი ბიჭებია! — გააფრთხილა გუშინ დირექტორმა.

„თუ ბავშვებს თვალში არ მოუვედი და აბუჩად ამიგდეს, მერე გათავდა ჩემი საქმე!“ — გაიფიქრა ნინომ და საკლასო ჟურნალი გაშალა. გვარების ამოკითხვა დაიწყო.

— შეიძლება მასწ, ეზოში გავიდე! — მოისმა ამ დროს უზომოდ შეწუხებული ხმა.

ნინომ თავი ასწია. ერთი პირხმელი, ჭორფლიანი ბიჭი სარკმელთან იდგა, ორივე ხელი მუცელზე მიედო და წელში მოკაკვულიყო.

ნინომ თავი დაუქნია, წადიო.

ჭორფლიანი ბიჭი სწრაფად მიტრიალდა, სარკმლის რაფას ხელი ჰკრა და ეზოში გადახტა.

ეტყობა, მოწაფეები ელოდნენ ამ ოინს, ატყდა სიცილი, ხმაური... ზოგი სარკმელს მივარდა, ზოგმაც ტაშ-ფანდური გააჩაღა.

ნინო გაშრა. ხმა ვერ ამოიღო, თავი დახარა და გვარების ამო-

კითხვა განაგრძო. მხოლოდ ხმაში ხრინწი მოეკიდა. „ეგლა მაკლდაო!“ — გაიფიქრა და ჩუმად ჩაახველა. ესმოდა მერხების ხმაური, ფეხების ფრატუნი, ათასნაირად დაღეჭილი „აქა ვარ!“, მაგრამ ჟურნალიდან თავი არ აუღია, ერთი მოწაფისათვის არ შეუხედავს.

„დღეიდან ჩემი ფეხი არ იქნება ამ კლასში, ოღონდ ეს გაკვეთილი როგორმე დავამთავრო!“

ამ დროს კარი გაიღო და ჭორფლიანმა ბიჭმა თავი შემოჰყო. თვალები ისე უციმციმებდა, თითქოს მთელი ქვეყნის კოჭები და კაკლები უბეში უყრიაო.

— შეიძლება, მასწ, შემოვიდე! — სთქვა მან და ზურგს უკან კარი მიიხურა.

— არ შეიძლება, — მაშინვე მიაგება ნინომ და თვითონვე გაუკვირდა, რომ შემოსვლაზე უარი უთხრა: — ჯერ მითხარი, ფანჯრიდან რატომ გადახტი?!

ბიჭმა ჩაიცინა და ღრეჭით მიუგო:

— ორ წერტილს შორის გავლებული სწორი ხაზი უმოკლესი მანძილიაო, ასე გვასწავლეს, პატივცემულო მასწავლებელო!

ბიჭი სიტყვას უნაიროდ უქცევდა, იმანჭებოდა, რომ ამხანაგები როგორმე მხიარულ გუნებაზე დაეყენებინა.

— ყოჩაღ! ნასწავლი ბიჭი ყოფილხარ! — უთხრა ნინომ და ოინბაზ მოწაფეს თვალებში შეხედა: — მაშ შენ ისიც გეცოდინება, რომ საიდანაც გახვედი, იქიდან უნდა შემოხვიდე!

ბიჭმა ჩაიცინა, მასწავლებელი მეხუმრებაო, გაიფიქრა და მერხისაკენ წასვლა დააპირა.

— ვერ გაიგონე, რა გითხარი! საიდანაც წახვედი, იქიდან უნდა შემოხვიდე!— ისეთი ხმით მიაძახა ნინომ, რომ ბიჭი ადგილზე გაქვავდა.

მოწაფეებმა სული განაბეს. ეს ორთაბრძოლა თანდათან უფრო საინტერესო ხდებოდა. ვინ იფიქრებდა, რომ ეს ახალგაზრდა ქალი ასე კოხტად გამოიჭერდა კლასის პირველ ამრევს, ნოდარა ბაბუნაშვილს.

— სულაც არ შემოვალ კლასში! — იფეთქა ბიჭმა, თუმცა ეტყობოდა, ნირი უკვე წამხდარი ჰქონდა. ამხანაგებისაკენ უკვე აღარ იყურებოდა, პანჭვა-გრეხვასაც თავი მიანება.

— მაშინ წახვალ და ხვალ მშობლებს მოიყვან! ისე კლასში არ შემოგიშვებ! აირჩიე, რომელიც გინდა!

ჭორფლიანი ბიჭი ჩაფიქრდა, მამა გაახსენდა, ხელში იფნის სახრე რომ ეჭირა და ეუბნებოდა — ნოდარავ, ხედავ ამას! თუ ერთხელ კიდევ გამომიძახა შენმა მასწავლებელმა, მერე შენ იცოდე და ამან!

ამის შემდეგ ჭორფლიან ბიჭს ბევრი აღარ უფიქრია, მაშინვე პირველი ვარიანტი ამჯობინა.

კლასიდან გავიდა, სკოლის შენობას შემოურბინა და ნაცნობ სარკმელს მოადგა.

მთელი კლასი სიცილისაგან კინაღამ გაიგუდა, როდესაც იგი კედელს მოებღაუჭა და მაღლა ამოცოცდა. გაუჭირდა, ფეხი დაუცურდა. ამ დროს ვიღაცამ ქვევიდან ხელი შეაშველა და გაწითლებული, აბრუგატეხილი ბიჭი სარკმელზე შემოსვა. მოწაფეებმა ისევ ქოქოლა დააყარეს. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ ისინი თავიანთ ყოჩს გადაუდგნენ და მასწავლებელს მიემხრნენ.

ნინომ ეზოში გადაიხედა. სარკმელთან ის იდგა — არჩილ ყანჩაშვილი. როგორც ჩანს, არჩილმა დაინახა ჭორფლიანი ბიჭის გასაჭირი და ხელი წააშველა...

— ქალიშვილო, თქვენ აქ რას ასწავლით, მთასვლელობას?!— გაუღიმა ქვევიდან არჩილმა.

— აი, ამასა ჰკითხე, რასაც ვასწავლი! — მიუგო ნინომ და ფანჯარას მოშორდა.

4

ტრიალ მინდორზე ზანტად მიედინება დაღლილი ცხვარი. ზურამ ცხენი შეაჩერა და არსენას მიუბრუნდა.

— ხედავ აქაც ხნავენ! — მათრახი პატარა სერისაკენ გაიშვირა, საიდანაც ტრაქტორის დაგადუგი მოდის. მალე ტრაქტორიც გამოჩნდა, თავზე ცისფერი ბოლი დასტრიალებს.

ა რ ს ე ნ ა. მერე ჩვენ ასე გაჩუმებული უნდა ვიყოთ, ზურია?

მ ა მ უ კ ა. მეტი გზა არ არის, მთავრობას უნდა შევატყობინოთ. მომკალი, თუ ეს ამბავი იმ კისერმოსატეხ ყანჩაშვილის წამოწყებული არ იყოს.

ზ უ რ ი ა. მარტო ის რას გაბედავდა, ჩემო მამუკა. მგონი ეს საკითხი რაიკომის ბიუროსაც გაურჩევია.

მ ა მ უ კ ა. შენც ადექი, კაცო, და უთხარი იმ ბიუროს, თუ ეს საძოვრები გადახნეს, ცხვარს რაღა ეშველება-თქო!

ზ უ რ ი ა. რამდენი ხანია, პარტიაში ხარ, ჩემო მამუკა?

მ ა მ უ კ ა. მაგას რატომ მეკითხები!

ზ უ რ ი ა. ჯერ მითხარი!

მ ა მ უ კ ა. შენ დაბადებულიც არ იყავი, მე და კობა ჩოხელმა ზემო-ქედში კომუნა რომ დავაწესეთ. პარტიაშიც სწორედ იმ წელიწადს ჩავეწერე.

ზ უ რ ი ა. კაცი პარტიაში დაბერებულხარ, ის კი აღარ იცი, რომ პარტიის წევრი რაიკომის ბიუროს წინ ვერ გადიუდგება?!

მ ა მ უ კ ა. თუ ვხედავ, რომ საქმე მიფუჭდება, მაშინაც უნდა გავჩუმდე?!

— მაგდენი აღარ ვიცი, ჩემო მამუკა, — გულწრფელად გამოუტყდა ზურია.

მ ა მ უ კ ა. მაშ გულზე ხელი დავიკრიფო და ამ უკუღმართობას ვუცქირო? არა, ზური, მე ამას ვერ ვიზამ, ეს პარტბილეთი დღესვე რომ ჩამომართვან!

ცხვარი უკვე ბაკურიანის აღმართებს შეუდგა. ჩქარობენ მწყემსები, დაღამებამდე უნდა ავიდნენ უღელტეხილზე, თორემ აქ ამინდი დღეში ათჯერ იცვლება: შეიძლება კოკისპირული წვიმა დაუშვას, შეიძლება მოთოვოს, ან კიდევ უარესი: ხევებიდან ხშირი ჯანღი ამობობღდება... მთაში ნავალმა მამუკამ კარგად იცის, რა ძნელია მაშინ ამ ფერდობებზე სიარული.

მეწინავე ფარა თრიალეთის კალთებს მოედო. დაბლა ხევში შორეული მყინვარების ნაკურ-ნადნობი გრიალებს.

ფერდობებზე მაღლიდან მოხეთქილი ლოდები წამომსხდარან. ჯეელი არსენა შიშით შეჰყურებს ამ ვეება ლოდებს. უკვირს, რა ძალა აჩერებს მათ ამ დაქანებაზე.

ყინულლავს.

მეცხვარეები დურა-ტყავებში და ნაბდებში გაეხვივნენ, ფარებს შეუძახეს. მყეფრები ოთხივე მხრიდან შემოეწყვნენ ცხვარბატკანს.

ტრაქტორი მინდორს ხნავს. ხნულის პირას ცხენიდან ბაკურაძე ჩამოხტა, აბგიდან გათლილი ჯოხი ამოიღო და ხნულის სიღრმე გაზომა.

„კარგია“, — ჩაილაპარაკა მან და მოწონების ნიშნად ტრაქტორისტს თავი დაუქნია.

ბინდიან კაბინაში ბიჭი თითქმის აღარა ჩანს. მზეს ისე შეუხუხავს მისი პირისახე, იქიდან მხოლოდ თოხის ოდენა თეთრი კბილები ანათებენ.

ბაკურაძე ტრაქტორს მიუახლოვდა. — კარგია! — გაიმეორა მან.

— ეჰ, თავმჯდომარევ! ვისთვის კარგია და ვისთვის სატირალი! ცხვარს რაღას ეტყვი, მთიდან რომ დაბრუნდება!

— მე რა შუაში ვარ, ბიჭო! საკითხი შეთანხმებულია, — გაჯავრდა ბაკურაძე. კაცს სოფელში ვეღარ გაუვლია. დიდი და პატარა საყვედურს ეუბნება... თუმცა ილაპარაკონ! როდესაც საკითხი შეთანხმებულია, ხალხის საყვედურს რა ფასი აქვს.

იმავე საღამოს არჩილი და ბაკურაძე კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. წვიმდა. მეზობელ ოთახში მომღერალთა გუნდი მეცადინეობდა.

ა რ ჩ ი ლ ი. აბა შენ იცი, თურმან, ამ კვირაში ნარიანის მინდვრებიც უნდა მოათავო.

ბ ა კ უ რ ა ძ ე. მოვათავებ, ამხანაგო არჩილ, წვიმამ თუ არ შემიშალა ხელი.

ა რ ჩ ი ლ ი. იქ რა ამბავია?

ბ ა კ უ რ ა ძ ე. გუნდს ამეცადინებს ნინო მასწავლებელი.

ა რ ჩ ი ლ ი. ნინო?

ბ ა კ უ რ ა ძ ე. დიახ, ჩვენისთანა მომღერლები მთელს რაიონში არავის ჰყავს.

ა რ ჩ ი ლ ი. ყოჩაღ, ქალო!

ბ ა კ უ რ ა ძ ე. თვითონაც კარგად მღერის და ცეკვავს. შევიდეთ, მოვუსმინოთ...

ა რ ჩ ი ლ ი. არა, არა! ხელს შევუშლით. (დაფიქრდა) იცი რა, თურმან? მოდი ერთი კარგი საქმე გავაკეთოთ. თქვენი გუნდი მთაში გავგზავნოთ მწყემსებთან. მეც იქ მივდივარ, საჩუქრები მიმაქვს. წამოვიდნენ, კონცერტს გამართავენ, ხალხს გაართობენ. მე მგონია, კარგი იქნება.

ბ ა კ უ რ ა ძ ე. მაგას მეც ვფიქრობდი არჩილ. კარგი აზრია, თუ ნინო დავითანხმეთ...

ა რ ჩ ი ლ ი. სთხოვეთ, ჩემი სახელითაც სთხოვეთ.

არჩილმა საწვიმრის კალთა თავზე დაიხურა და მანქანისაკენ გაიქცა.

ნინომ სარკის წინ ფშავური ქათიბი დაიზომა. მერე სწრაფად ჩაიცვა, შეტრიალ-შემოტრიალდა, გულისპირზე ვერცხლის სამ-



# დიდი მსახიობის ხსოვნის უკვდავსაყოფად

სახვითი ხელოვნების ბევრი გამოჩენილი ოსტატისათვის შთაგონების წყაროდ იქცა დიდი ქართველი მსახიობის უშანგი ჩხეიძის ცხოვრება და შემოქმედება. მსახიობის ფერწერული პორტრეტები შექმნეს ქართველმა მხატვრებმა — უჩა ჯაფარიძემ, კორნელი სანაძემ, ქეთევან მაღალაშვილმა, თამარ აბაკელიამ და სხვებმა. ცნობილმა მოქანდაკემ ირაკლი ოქროპირიძემ დიდხანს იმუშავა უშანგის სკულპტურულ პორტრეტზე.

ამას წინათ ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თაოსნობით გაიხსნა უშანგი ჩხეიძის ძეგლი-ბიუსტი, ირაკლი ოქროპირიძის მიერ მარმარილოში გამოკვეთილი.

უშანგის ძეგლის გახსნას დაესწრნენ დედაქალაქის მშრომელები, თეატრის მოღვაწეები, მწერლები, პრესის მუშაკები. ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგი დაიწყო რესპუბლიკის სახალხო არტისტის დოდო ანთაძის სიტყვით. უშანგის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ილაპარაკეს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტებმა — ვერიკო ანჯაფარიძემ, შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ინჟინერმა ბ. ნაკაიძემ. ორატორებმა დაწვრილებით დაახასიათეს ის ღვაწლი და ამაგი, რაც ამ არაჩვეულებრივი მგზნებარების შემოქმედმა დასდო ქართულ სცენას. უშანგი ჩხეიძის სახელი განუყრელად არის დაკავშირებული იმ აღმავლობასა და აღორძინებასთან, რომელიც ქართულმა თეატრმა ჩვენი საუკუნის 20-იანი და 30-იანი წლების მანძილზე განიცადა. ის იყო ერთ-ერთი დედაბოძი ახალი ქართული საბჭოთა თეატრისა.

კამოს ქუჩაზე № 7 სახლს, სადაც სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა უშანგი ჩხეიძემ, გაუკეთდა მემორიული დაფა; აქაც დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. სიტყვა წარმოსთქვა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დავით ჩხეიძემ.

კაული დაიბნია, სამაჯური გაიკეთა. ყუთიდან მძივები ამოიღო და ისევ სარკეს მიუბრუნდა, თავის ორეულს ეკეკლუცება.

კარი ფართოდ გაიღო და ოთახში მაყვალა შემოვარდა.

მ ა ყ ვ ა ლ ა. ჩქარა გოგო, მანქანები გვიცდიან.

ნ ი ნ ო. მშვენის?

მ ა ყ ვ ა ლ ა. (ნინოს მოეხვია) როგორ გიხდება, გოგო! თუ გიყვარდე, ჩემს ქორწილში ეს ქათიბი ჩაიცვი.

ნ ი ნ ო. რას ამბობ, მაყვალა, ქორწილში გუნდის კაბა რად მინდა! ხელს როდის აწერთ?

მ ა ყ ვ ა ლ ა. მალე, სულ მალე... იცი, ნინო ჩემს შაქროს ახალი უფროსი დაუნიშნეს... რომ იცოდე, რა კარგი კაცია! ხე-ტყე დაგვპირდა. კრამიტსაც გიშოვითო! ახლა არ იკითხავ, რა ლამაზია? ჭკუიდან შეიშლები.

ნ ი ნ ო. (კაცი ვერ გაიგებს, მაყვალას ეკითხება თუ მის ნათქვამ სიტყვას იმეორებს) ლამაზია?!

მ ა ყ ვ ა ლ ა. არ გინახავს?

ნ ი ნ ო. სად უნდა მენახა. (რატომღაც იცრუა ნინომ და მეგობარს თვალი მოარიდა).

მ ა ყ ვ ა ლ ა. (ხელი ხელს შემოჰკრა) მე გაგაცნობ! მთაში მოდის ჩვენთან ერთად.

ნ ი ნ ო. ჩვენთან?

მ ა ყ ვ ა ლ ა. ჩვენთან, ჩვენთან! ვერ წარმოიდგენ, რა სასიამოვნო მგზავრობა გვექნება. ჩემი შაქრო ამბობს, მაგისთანა ჭკვიანი და ნასწავლი კაცი ჯერ მე უფროსად არა მყოლიაო. ყველაფერს გეფიცები, შაქრო რომ არა მყავდეს, მაგას შევიყვარებდი!

ნ ი ნ ო. რას ამბობ მაყვალა, სიყვარული შენს ნებაზეა?

მ ა ყ ვ ა ლ ა. აბა ვის ნებაზეა! მე შენსავით ცივი გული კი არა მაქვს.

ნ ი ნ ო. ჩემსავით? (რაღაც სხვანაირად, ორჭოფულად გაეღიმა ახალგაზრდა ქალს. მერე უცბად სარკეში რომ ჩაიხედა, სახეზე ჩრდილმა გადაუარა. სამკაულები მოიხსნა, საწოლზე ჩამოჯდა).

მ ა ყ ვ ა ლ ა. რას შვრები გოგო! ხალხი ქუჩაში გვიცდის!

ნ ი ნ ო. არ მიხდება ეს კაბა! მაუშნოებს.

მ ა ყ ვ ა ლ ა. გაუშნოებს კი არა, პირდაპირ გხატავს, თუ დამიჯერებ.

ნ ი ნ ო. (მიზეზიანად) აბა ახლა გავივლი და ისე შემომხედე. წელი ჩამოვარდნილი არა მაქვს?

მ ა ყ ვ ა ლ ა. გაგიჟდი გოგო? შარშან ალავერდობაზე ცეკვაში პირველი ჯილდო რომ მოგცეს, ეს კაბა არ გეცვა?

ნ ი ნ ო. ხედავ, როგორ მამსხვილებს?

მ ა ყ ვ ა ლ ა. რა უჭირს მერე. ჩემმა შაქრომ მითხრა, ახლანდელ კაცებს თითისტარივით გამხდარი ქალები არ უყვართო. შველივით ხარ, გოგო, ამ ქათიბში.

ნ ი ნ ო. მართლა?

მ ა ყ ვ ა ლ ა. მართლა, მართლა! როდის იყავი ასეთი პრანჭია! წამოდი... სად არის შენი ჩემოდანი. (მაყვალა კედელთან მიდგმულ ჩემოდანს დასწვდა) უჰ, რა მძიმეა! მთელი შენი მზითევი წამოიღია, გოგო!

ნ ი ნ ო. წიგნებია მაყვალა... ზეგ თბილისში მივდივარ.

მოფრინდა მერცხალი
ატმებიც აყვავდნენ —

წაიმღერა მაყვალამ და ნინოს წინ გაუძღვა.

ცხვრების საბანაო აუზი თრიალეთის საძოვრებზე. მზიანი დღეა, თუმცა ბალახზე ჯერ ისევ ბრწყინავს წუხანდელი ნამი... ჰაერი ისეთი გამჭვირვალეა, ანკარა, რომ ძაღლების ყეფა მეხივით გადადის ხევიდან ხევში. მამუკამ კაუჭიანი ჯოხი ცხვარს ლაჯებში გამოსდო და კრეოლინის ხსნარში გადაუძახა.

ყაურმის ქვაბთან თედო ტრიალებს.

ქვევიდან ზურია ამოვიდა. შეკაზმული ნადირა უკან ძაღლივით მოსდევს.

ზ უ რ ი ა. რა ჰქენი მამუკა, ყველას წააკითხე?

მ ა მ უ კ ა. წავაკითხე. კარგად დაგიწერია, ზური! არსენ, ბიჭებს დაუძახე. ხელი მოაწერეთ ამ ქაღალდს...

უბიდან წერილი ამოიღო, ქვაზე გაშალა და ხელი მოაწერა. მერე ფანქარი არსენას გადასცა.

— მე არ მოვაწერო ბიძია მამუკა? — მოირბინა ქვასთან პატარა ბიჭმა.

მ ა მ უ კ ა. ყველამ უნდა მოაწეროს. ცენტრალური კომიტეტი გაარჩევს, ვინ არის მართალი და ვინ არის დამნაშავე. წერილი თბილისში დღესვე უნდა წავიდეს, თორემ იქ ყველაფერს გადახნავენ!

ა რ ს ე ნ ა. მე გამგზავნე ბიძია მამუკა. ჩიტი ვერ დამეწევა, ისე გავფრინდები.

მ ა მ უ კ ა. არა, შვილო, წერილი ზურიამ უნდა წაიღოს. თავჩობანია, პარტიული კაცია. იქ უფროსებს ნახავს და მოელაპარაკება.

ზ უ რ ი ა. კარგი, მე წავიღებ.

მ ა მ უ კ ა. ქედელების ბინა არ დაგავიწყდეს, იმათაც გაუარე და ხელი მოაწერინე... წითელი დათას შვილმა ცხვრის ფასი რა იცის, ცხვარი ჩვენი დედაბოძია, ჩვენი მარჩენალი. აბა ერთი ყური დაუგდე, ხალხი, რას ამბობს...

ერთხელ საწყალი კაცის ოჯახში ცხვარი შესულა, დაუნახავს ჩამქრალ კერასთან ფეხმორთხმული სიღარიბე და უთქვამს, ეგ ადგილი დამიცალეო.

რად გინდაო?

ცეცხლს დავანთებ და ყველს ამოვიყვანო.

სიღარიბემ ის ადგილი დაუთმო და კუთხეში გადაინაცვლა.

ეგეც დამიცალეო, უთხრა ცხვარმა.

ეს რაღად გინდაო?

მანდ ხორცი და ტყავის კონები უნდა დავაწყოო...

აბა მეორე კუთხეში გადავალო.

იქ მატყლის ბარდანები უნდა დავალაგოო.

მაშ მესამე კუთხე მომეციო, შეეხვეწა სიღარიბე.

ერბოს ქილები სადღა დავალაგო? — გაჯავრდა ცხვარი.

მეოთხე კუთხე მაინც დამიტოვე, ამ სიცივეში სად უნდა წავიდეო.

შე კაი-კაცო, ამოდენა რძე რომ ჩავკვეთე, ყველის გუდები სადღა დავაწყო, აქედან გამეცალეო...

წამოდგა სიღარიბე, გაძვალტყავებულ მხრებზე ძველი ქეჩა მოიხურა და ქოხიდან გავიდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



გიორგი შატბერაშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სექტემბრის თბილი და წყნარი დღე იყო, კავთისხევის საშუალო სკოლის სამასწავლებლოში ვისხედით გიორგი შატბერაშვილი და მე. აქვე იყვნენ სხვა მასწავლებლებიც. ათას რამეზე ვლაპარაკობდით. ეზო ბავშვების ჟრიამულით ივსებოდა.

— რამდენი გაკვეთილი გაქვს? — მკითხა გიორგიმ.

— პირველი და მეორე. შენ?

— მარტო ერთი, პირველი. იცი რა გითხრა? დაგელოდები ერთ გაკვეთილს, მერე წავიდეთ ლექსების საძებნელად, ეზო-ეზო, კარდაკარ... რას იტყვი?

მაშინ ჩვენ დიდ მოურავზე ხალხური ლექსებისა და თქმულებების შეგროვებით ვიყავით გატაცებული.

— წავიდეთ, მაგრამ სად, ვის მივადგეთ ნაშუადღევს? — ვუპასუხე ყოყმანით.

— შორს ნუ წავალთ. აქვე თვალადში ვეწვიოთ ძია კოტეს. მიზეზიც გვაქვს მისასვლელად. მისი გოგონა ჩვენთან სწავლობს. გავიგოთ როგორი ოჯახური პირობები აქვს. მერე მამამისი საუბარში ჩავითრიოთ, — მიპასუხა გიორგიმ.

ჩვენს საქმიანობაში, ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა ძიება-მოგროვებაში მოწაფეებიც გვყავდა ჩაბმული. მათ დიდი სამსახური გაგვიწიეს, თანაც ხალისიანად, სიყვარულით. კოტე ონოფრიშვილის გოგონას, რომელიც მაშინ მეექვსე თუ მეშვიდე კლასში სწავლობდა, გიორგისათვის ეთქვა: მამაჩემმა ძალიან ბევრი ლექსები და თქმულებები იცისო.

შევთანხმდით წასვლაზე, ზარიც დაირეკა და კლასებს მივაშურეთ.

* * *

საცალფეხო ბილიკით მივყვებით კავთურის ნაპირებს. მე არ ვიცი რა დავარქვა კავთურას: მდინარე, ნაკადული თუ ღელე. უფრო ღელეა თითქოს, მაგრამ ნუ აჩქარდებით, ერთი შეხედვით ნუ შეაფასებთ მას! აბა, გაზაფხულის პირზე და შემოდგომის წვიმების დროს ნახეთ იგი: ამღვრეული, გადარეული და დაუნდობელი! ისეთ ლოდებს მოაგორებს და აჯახებს ერთმანეთს, რომ ქვემეხთა გრიალი მოგაგონდებათ.

ორივე ნაპირის გაყოლებით გლეხებს ბაღები აქვთ. მწიფე ყურძენი, ატმები, ვაშლები, ათასნაირი ხილი ჩანს. აქა-იქ ბაღებში მოფუსფუსე ქალები და კაცები საქმიანობენ. სადღაც კაკალს ბერტყავენ და ტყლაშა-ტყლუშის ხმა ისმის. გიორგის ყველა იცნობს (მეც მიცნობდნენ: ათი წელი კავთისხევის საშუალო სკოლაში განუწყვეტლივ ვმასწავლებლობდი). თვალს შეგვასწრებდნენ თუ არა, ღობისკენ მოეშურებოდნენ და გულლალად გვთავაზობდნენ ხილს.

... აი ძია კოტეს სახლიც. ეზოში არავინ ჩანს. გიორგიმ ჩვენს მოსწავლეს დაუძახა. კაცი არ გვეპასუხება. კიდევ ძახილი, მაგრამ ამაოდ, არავინ არა ჩანს.

— კაცო, ასეთ დროს შინ ვინ იქნება? ათასი სამუშაო აქვთ, მოდი, შენს სიმამრს შევუაროთ წინარეხში, — ვუთხარი გიორგის.

წინარეხი თვალადთან ახლოსაა. იქ ცხოვრობდა გიორგის სიმამრი იოსებ ქეშელაშვილი, გამრჯე და პურმარილიანი კაცი. წინათაც ბევრჯერ ვყოფილვართ მის ოჯახში კავთისხეველი მასწავლებლები.

გიორგიმ წარბი ასწია.

— სიმამრზე ახლოს აქვე არა ვცხოვრობ? ყველაფერს გავახერხებთ, მაგრამ კაი იყო ძია კოტე გვენახა, იქნებ მართლა რამე იცოდეს!

ერთი კიდევ შეუძახა გიორგიმ მასპინძელს და უცებ სახლის უკანა მხრიდან ჩვენი მოსწავლე გამოჩნდა. გვიცნო თუ არა, მაშინვე ჩვენსკენ გამოიქცა

— ახლავე მასწავლებელო, ახლავე მამას დავუძახებ!

გარეთ ეზოში მორი ეგდო. იმაზე ჩამოვსხედით. ათიოდე წუთის შემდეგ გამოჩნდა კოტე. თურმე სახლის გვერდით, ვაზებში ფუსფუსებდა. საკმაოდ გაჭალარავებული კაცი იყო. შორიდანვე დაკვირვებით შეგვათვალიერა. ფეხზე წამოვდექით და მივესალმეთ, ღმერთმა გაგიმარჯოთო, გვიპასუხა. გვიყურებდა და რაღაც შეწუხებული ჩანდა. გიორგიმ უხერხულობიდან გამოიყვანა:

— ძია კოტე, ვანო შატბერაშვილის შვილი ვარ, სკოლაში ვმუშაობ, ესეც მასწავლებელია (ჩემზე მიუთითა), შენს გოგოს ვასწავლით.

— ოჰო, კაი დაგემართოთ, რომ მობრძანდით! — იგი ჩვენს გვერდზე ჩამოჯდა და განაგრძო: — ტყუილა არ გაირჯებოდით, ნურაფერს დამიმალავთ, დაწვრილებით მითხარით, რა დააშავა ამ გოგომ?

გაოცებული გოგო ხან ჩვენ შემოგვცქეროდა, ხან მამას. სახეზე ვატყობდი, მზად იყო, ტირილი დაეწყო.

ტყუილ-უბრალოდ გული გავუხეთქეთ მამასაც და შვილსაც. ამიტომ არც ვაცივე, არც ვაცხელე და პირდაპირ ვუთხარი დაფიქრებულ მასპინძელს:

— ძია კოტე, თქვენი შვილი კარგი მოსწავლეა (ტყუილი არ მითქვამს, მართლაც ასე იყო!), წესიერი, ზრდილობიანი, თავაზიანი, ჩვენ იმიტომ შეგაწუხეთ, რომ თქვენზე გვითხრეს, ბევრი ხალხური ლექსი იცის ზეპირადო, ჩვენ ამ ლექსების ჩაწერა გვინდა.

ბინდდებოდა. ქვევიდან ამომხედა კოტემ. ცოტა გულმოსულად მიპასუხა:

— რას ამბობ კაცო? რის ლექსი, რა ლექსი? რა მელექსება?

უკვე ერთი წელი იყო, რაც ომი მძვინვარებდა. იშვიათად ნახავდით ოჯახს რომ სადარდელი არა ჰქონოდა.

— დააშავებდა ეს ეშმაკის ფეხი რამეს — ისევ თავის გოგოს გახედა კოტემ.

გიორგი შატბერაშვილი წამოდგა, მის მიერვე გამოთლილი ჯოხი, რომლის თავიც ფანტასტიკურ ცხოველს გამოხატავდა, დაიბჯინა და თქვა:

— ღმერთსა და რჯულს ვიმოწმებ, მაგ გოგოს არაფერი დაუშავებია, მშვენიერი ბავშვია და კარგადაც სწავლობს. მოვედით, შე კაი კაცო, იმისათვის, რომ დაგელაპარაკებოდით, ძველი ამბები მოგვეგონებინა და რაღაც-რაღაცეები გვეკითხა შენთვის. გვითხრეს, დიდ მოურავზე ლექსები იცისო. კარგად ბრძანდებოდეთ!

როგორც იქნა, მასპინძელს გაეღიმა. გოგოს შეხედა და უთხრა: წადი, სახლს მიხედე, წნილი ამოიღე და ჩვენც ახლავე მოვალთო. მერე ჩვენ მოგვიბრუნდა:

— კაი სიტყვისათვის მადლობელი ვარ, გამახარეთ ეს ბერიკაცი. წასვლაზე კი რა მოგახსენოთ, ჩემს ღარიბ სახლში ერთი ჭიქა ღვინო შესვით. ლექსები კი არ ვიცი, სულ ჭორი უთქვამთ. აბა მომყევით!

ბოლო სიტყვები ისეთი კილოთი გვითხრა, რომ თავპატიჟი არ გამოგვადგია. წინ წაგვიძღვა და მივყევით.

ოთახში სუფრა გაშლილი იყო. ლამპის სინათლეზე დავინახეთ შემოდგომის ბარაქით ავსებული მაგიდა. მოიტანეს თონიდან ახალამოყრილი ქართული პურები, საოცრად სურნელოვანი, ორთქლი ასდიოდა. დატეხილი კაკლებით ვეებერთელა ჯამი აევსოთ. გიორგიმ პურს კიდე წაატეხა და კაკალთან ერთად

# „ქართლო, კახეთო“...

მადიანად ილუკმებოდა. მშრალი ხორცისთვის პირველად ხელი არ უხლია. მეც შემეპატიჟა:

— ნახე ცხელი პური და ახალი კაკალი, რა გემრიელია!

არც მე ჩამოვრჩენილვარ. მართლაც ძალიან გემრიელი იყო.

შემოვიდა ძია კოტე, ექვსბოთლიანი დოქი გვერდით მოიდგა და ჭიქები შეგვივსო. სადღეგრძელო სადღეგრძელოს მოსდევდა. ღვინო მოგვეკიდა, აგვაჭიკჭიკა ჩვენცა და ჩვენი მასპინძელიც, გაგვამხიარულა ყველანი.

გიორგიმ მიჩურჩულა:

— დახე, ბიჭო, არც ისე პირქუში ყოფილა ჩვენი მასპინძელი, როგორც პირველად მეჩვენა!

მართლაც ასე იყო: ძია კოტე დინჯი ქართველი გლეხი იყო, გამრჯე; ადვილად გულს არ გაგიხსნიდა, მაგრამ თუ კი გაგიხსნიდა, მერე სულით და გულით მოგენდობოდა. სასმისი არ დაუკლია, თვითონ თამადობდა. როცა მეორე დოქიდან პირველი ჭიქები დავცალეთ, კოტემ წაიღიღინა, აჰყევით ჩვენც, როგორც შეგვეძლო.

მოხუცი მასპინძელი კი სულ უფრო და უფრო ეშხზე მოდიოდა. და უცებ დაიწყო:

შენ, ტკბილო ქართლო, კახეთო,
გასახლებული გნახეთო,
მთელი ველი და მინდორი
სულ ფეხით გადალახეთო,
გახსოვდეთ ენა მშობლური
ეს კარგად შაინახეთო,
ვისაც გიწიოთ სიკვდილმა,
ქართულად დაიმარხეთო,
თქვენი ნაცომი ჩოხები
სახსოვრად შაინახეთო.

შეჩერდა და დაბალი, ბოხი ხმით განაგრძო:

შენ, ტკბილო ქართლო, კახეთო,
გასახლებული გნახეთო,
შენ ტკბილო ქართლო, კახეთო,
დაბრუნებულიც გნახეთო.

ალტაცებული ვუსმენდით მასპინძელს.

— ჩავიწეროთ, გოგი, ეს ლექსი, ეს მე არსად წამიკითხავს, — მივმართე მეგობარს.

გიორგის სიხარულისა და ღვინისაგან სახე უბრწყინავს. ჯიბიდან რვეული ამოიღო, ფანქარი მოიმარჯვა და იკითხა:

— ძია კოტე, ვითომ რაზეა ეგ ნათქვამი?

კოტეს რვეულისათვის ყურადღება არ მიუქცევია და თქვა:

— რაზეა და ჩვენს უბედურებაზე, გიორგის დროზეა ნათქვამი, აი მოურავი რომ იყო, ტყვედ წაყვანილ ქართველებზეა ნათქვამი.

— კიდევ იმღერე, ძია კოტე, იმღერე.

კოტეს ხვეწნა-მუდარა აღარ სჭირდებოდა. მან რამდენჯერმე იმღერა „შენ, ტკბილო ქართლო, კახეთო“. ვმღეროდით ჩვენც. ლექსი უკვე ზეპირად ვიცოდით.

გიორგიმ რვეული გაშალა და წერა დაიწყო.

მასპინძელმა ირიბად გადახედა:

— ვანოს ბიჭო, რასა სწერ შენა?

— ლექსსა ვწერ, ძია კოტე, ლექსსა ახლა რომ თქვი. შენ კი პირველად ცივი უარი გვტკიცე- ვითომ რათაო?

მასპინძელმა დაღვრემილად შემოგვხედა:

— ეჰ, შვილო, ამ ვაი-უბედურების დროს ვის ელექსებ-ეშაირება?

მერე ღიმილით დაუმატა:

— გადავიწყებული მქონდა, ღვინომ გამახსენა...

ავდექით, ჭიქები ავავსეთ და მასპინძელს დღეგრძელობა, სიკეთე ვუსურვეთ. წასვლისას ვთხოვეთ:

— თუ სხვა სიმღერა იცი, ერთი ისიც მოგვასმენინე.


ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი შატბერაშვილი და კოტე ონოფრიშვილი.



გიორგი შატბერაშვილი იწერს ლექსს მთქმელისაგან.

არ გაჭირვეულებულა და მოულოდნელად ისევ გიორგი სააკაძეზე გვითხრა სხვა ლექსი. ისიც ჩავიწერეთ.

ეზოს რომ საკმაოდ დავშორდით, გიორგიმ მითხრა:

— აბა, ახლა ჩვენთან მივდივართ. ნათელა რაღაცას მოგვიხერხებს.

ნათელა გიორგის მეუღლეა. ხშირად გაუწევია ჩვენთვის მასპინძლობა. ნასვამი ვიყავი, უარი რაზე უნდა მეთქვა? შატბერაანთ ოჯახისაკენ გავწიეთ და მთელი გზა ჩვეულებრივად, ისე როგორც შეგვეძლო, ვმღეროდით:

შენ, ტკბილო ქართლო, კახეთო,
გასახლებული გნახეთო,
შენ, ტკბილო ქართლო, კახეთო,
დაბრუნებულიც გნახეთო.

შემდეგაც ბევრჯერ მომისმენია გიორგისაგან სუფრაზე ეს მართლაც, ძია კოტეს თქმისა არ იყოს, ჩვენს უბედურებაზე ნათქვამი ლექს-სიმღერა.

ლექსი, რამდენიმე სხვა მასალასთან ერთად, პირველად კასპის რაიონულ გაზეთში დაიბეჭდა, შემდეგ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“, იგი მთლიანად შეიტანა ირაკლი აბაშიძემ თავის პოემაში „რას გადაურჩა თბილისი“, გიორგიმაც ხელახლა გამოაქვეყნა თავის წერილების კრებულში „ნაფიქრი“, ჩემს წიგნშიც „ბრწყინვალე ვარსკვლავის მაძიებელნი“ მას მღერის სულხან-საბა ორბელიანთან ერთად საქართველოში მომავალი ფერეიდნელი ქართველი ომარ ხუციშვილი. სწორედ მის ტანჯვას, სურვილს და იმედსაც გამოხატავს ეს ხალხური ლექსი.

მიხეილ კეკელიძე.

# წიგნი, მაუწყებელი განთიადისა

**ვ. ი. ლენინის წიგნის — „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“ — გამოქვეყნებიდან 50 წლის შესრულების გამო**

არის წიგნები, რომლებიც არა მარტო ზუსტად ასახავენ და ღრმა მეცნიერულ ანალიზს უკეთებენ თანამედროვე ეპოქას, არამედ, იმავე დროს, წარმართავენ ისტორიას, მისი განვითარების პროცესებს; ასეთ გენიალურ ნაშრომთა რიცხვს ეკუთვნის ვ. ი. ლენინის „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“, რომელშიაც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებელმა, უამრავი ფაქტიური მასალის განხილვის საფუძველზე ურყევად დაადასტურა, რომ იმპერიალიზმი არის მომაკვდავი, ლპობადი კაპიტალიზმი და მომავალი ეკუთვნის მხოლოდ სოციალისტურ წყობილებას, რომ იმპერიალიზმი — სოციალისტური რევოლუციის წინადღეა.

თავის ამ შესანიშნავ ნაწარმოებში ლენინმა ცხადყო, რომ წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციას, რაც განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა მეოცე საუკუნის დასაწყისში, შედეგად მოჰყვა მონოპოლიების ანუ კაპიტალისტთა კავშირების წარმოშობა. მონოპოლისტურმა გაერთიანებებმა თავის ხელში მოაქციეს მეურნეობის ერთი ან რამდენიმე დარგის პროდუქციის წარმოებისა და გასაღების საქმე, დააწესეს მონოპოლიური ფასები, მიაღწიეს მაღალ მოგებას, ამ გზით ისინი შეერთებული ძალით უწევენ ექსპლოატაციას მშრომელ მასებს, თრგუნავენ მათ წინააღმდეგობას.

კაპიტალის კონცენტრაციას და მონოპოლიების წარმოშობას ყოველგან თან სდევდა წვრილი და საშუალო დამოუკიდებელი მწარმოებლების გაჩანაგება, რადგან ისინი ველარ უძლებდნენ მონოპოლიების ბატონობას.

თავისუფალი კონკურენცია, რაც დამახასიათებელი იყო იმპერიალიზმამდელი კაპიტალიზმისათვის, იმპერიალიზმის დროს შეიცვალა მონოპოლიების ბატონობით, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, თითქოს კონკურენცია მოისპო. ამიერიდან კონკურენცია ახალი ძალით გაჩაღდა თვით მონოპოლისტებს შორის, რაც ხშირ შემთხვევაში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ხასიათს ღებულობს.

წარმოების კონცენტრაცია და მსხვილი გიგანტური ქარხნების წარმოშობა ნიშნავდა იმას, რომ წარმოება სულ უფრო და უფრო საზოგადოებრივი ხდებოდა, მაგრამ საწარმოო ძალები კვლავ რჩებოდნენ ცალკეული პირების კერძო საკუთრებად, რომელთაც პირველ რიგში აინტერესებთ მაღალი მოგება. მაღალი მოგებით დაინტერესებული მონოპოლიები ხშირად მიმართავენ უკიდურეს ზომებს, ადიდებენ საქონლის ფასებს, ამცირებენ მუშათა შრომის ხელფასს; ყოველივე ეს იწვევს მშრომელი მასების აღშფოთებას და კიდევ უფრო აღრმავებს კაპიტალისტური საზოგადოების ძირითად წინააღმდეგობას — წინააღმდეგობას შრომის საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო ხასიათს შორის.

იმპერიალიზმის ეპოქაში წარმოების კონცენტრაციას თან მოჰყვა საბანკო კაპიტალის კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია. ბანკების ხელში უდიდესი სახსრების თავმოყრამ გამოიწვია მათი როლის არაჩვეულებრივად გადიდება. მონოპოლისტური საბანკო და მონოპოლისტური სამრეწველო კაპიტალის ერთმანეთთან შეზრდის შედეგად წარმოიშვა ფინანსური კაპიტალი. ფინანსური კაპიტალის მაგნატები, რომლებიც კონტროლს უწევენ უმსხვილეს სამრეწველო საწარმოებსა და ბანკებს, ერთდროულად მრეწველებიც არიან და ბანკირებიც.

ფინანსური კაპიტალის წარმოქმნისა და მრეწველობასთან ბანკების შეზრდის საქმეში დიდი როლი შეასრულა სააქციო საზოგადოებათა შექმნამ, რომელთა მეშვეობითაც ფინანსური ოლიგარქია ახორციელებს მაღალშემოსავლიან მაქინაციებს. ფინანსისტებს უდიდეს მოგებას აძლევს ახალ სააქციო კომპანიათა დაარსება, აქციების დამატებითი გამოშვება, სახელმწიფო სესხების რეალიზაცია, სპეკულაცია მიწის ნაკვეთებით და სხვ. ასეთი მეთოდებით ფინანსური კაპიტალი განამტკიცებს თავის ძალაუფლებას და მთელ საზოგადოებას თავს ახვევს მძიმე ხარკს, რომელიც მონოპოლისტთა ჯიბეში მიდის.

იმპერიალიზმის ეპოქაში ფინანსური ოლიგარქია ბატონობს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. მთავრობის წევრები უმეტეს შემთხვევაში არიან მსხვილი ფინანსისტები, მრეწველები და კაპიტალისტები. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ იმპერიალიზმის დროს ფინანსური მაგნატები წარმართავენ თავისი ქვეყნის მთელ პოლიტიკას, ისინი ბატონობენ როგორც დიპლომატიის, აგრეთვე ჟურნალისტიკის სფეროში; მათი სიტყვები გაისმის პარლამენტებში და საერთაშორისო კონფერენციებზე, მათი კარნახით ქვეყნდება მთავრობის გადაწყვეტილებანი და საპარლამენტო კანონმდებლობები.

თავის შრომაში ლენინმა გააკრიტიკა კარლ კაუცკის ანტიმარქსისტული თეორია. კაუცკი თვლიდა, რომ იმპერიალიზმი თითქოს წარმოადგენდა არა ახალ სტადიას კაპიტალიზმის განვითარებაში, არამედ გაბატონებული კლასების განსაზღვრულ პოლიტიკას. ლენინმა ცხადყო, რომ იმპერიალიზმი არის არა მხოლოდ პოლიტიკა, არამედ იგი არის კაპიტალიზმის განვითარების ისეთი საფეხური, როცა უკიდურესობამდე მწვავდებიან კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობანი.

ლენინმა დაასაბუთა, რომ განვითარების იმპერიალისტურ სტადიაზე ხშირია წარმოების უგეგმობითა და ანარქიულობით გამოწვეული სამრეწველო ეკონომიური კრიზისები, რაც უკიდურესობამდე აუარესებს მშრომელი მასების მდგომარეობას და ამწვავებს წინააღმდეგობას შრომასა და კაპიტალს შორის.

მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლით შეშინებული ბურჟუაზია მიმართავს უკიდურეს რეაქციულ ზომებს. იგი მიისწრაფვის ელემენტარულ დემოკრატიულ თავისუფლებათა შეზღუდვისა და ფაშისტური რეჟიმის დამყარებისაკენ, მაგრამ ძალადობის რეჟიმის დამყარება სრულიადაც არ წარმოადგენს ხსნას ბურჟუაზიისათვის. ეს სავსებით ნათლად დაადასტურა ფაშიზმის განადგურებამ გერმანიასა და იტალიაში.

ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა, რომ იმპერიალიზმი აღრმავებს, რა კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობას, ამით ნიადაგს ამწიფებს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის; სწორედ ამიტომ ვ. ი. ლენინმა იმპერიალიზმს სოციალისტური რევოლუციის წინადღე უწოდა.

ვ. ი. ლენინი, ემყარებოდა რა კაპიტალიზმის უთანაბრო განვითარების კანონს, ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის პერიოდში მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შესაძლებელია სოციალისტურმა რევოლუციამ თავდაპირველად გაიმარჯვოს ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში. ცნობილ შრომაში „ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ“, ლენინი წერდა:

„ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობა კაპიტალიზმის აუცილებელი კანონია. აქედან გამომდინარეობს, რომ სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად შესაძლოა რამდენიმე ანდა თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში“ (თხზ. ტ. 21, გვ. 417).

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ, სსრ კავშირში სოციალიზმის აშენებამ და საერთაშორისო არენაზე მომხდარმა ცვლილებებმა, სავსებით დაადასტურეს იმ თეორიულ დებულებათა სისწორე, რომლებიც ლენინმა ჩამოაყალიბა გენიალურ ნაშრომში „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ეპოქა წარმოადგენს იმპერიალიზმის განვითარების იმ ახალ ეტაპს, როცა თავს იჩენენ ახალი ნიშნები და თავისებურებანი. იმპერიალიზმის საერთაშორისო პოზიციები საგრძნობლად დასუსტდა განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ; იმპერიალიზმის სისტემას ჩამოშორდნენ და სოციალიზმის გზას დაადგნენ მსოფლიოს მთელი რიგი ქვეყნები. ამას გარდა, იმპერიალისტური სისტემის რღვევის საუკეთესო გამოხატულებას წარმოადგენს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არაჩვეულებრივი ზრდა და ის გარემოება, რომ მთელმა რიგმა ქვეყნებმა უკვე გაითავისუფლეს თავი იმპერიალიზმის უღლისაგან და დაადგნენ დამოუკიდებელი განვითარების გზას.

კაპიტალისტური მონოპოლიები ნათლად ხედავენ, რომ მათ აღარ შეუძლიათ უზრუნველყონ ბატონობა წინანდელი მეთოდებით. კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ეპოქაში აუცილებელი გახდა მონოპოლიების ძალის შეკავშირება სახელმწიფოს ძალასთან. ფინანსური კაპიტალის უმსხვილესმა მეთაურებმა დაიკავეს პასუხსაგები სახელმწიფო თანამდებობები. ასე წარმოიშვა სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმი. ამიერიდან სახელმწიფო ყოველმხრივ მფარველობს მონოპოლიებს. პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების ფორმით სახელმწიფო თავის ხელში უყრის თავს და ხელახლა ანაწილებს მონოპოლიების სასარგებლოდ ეროვნული შემოსავლის უდიდეს ნაწილს. სახელმწიფოსაგან დიდ სუფსიდიებს იღებენ ის კონცერნები, რომლებიც აწარმოებენ სამხედრო თვალსაზრისით დიდმნიშვნელოვან საქონელს. მონოპოლისტები ღრმად არიან დაინტერესებული შეიარაღების გადიდებით, რომელიც მათთვის მილიარდობით ზემოგებას უზრუნველყოფს.

ყოველივე ეს ნათლად ჩანს თანამედროვე იმპერიალისტური სახელმწიფოების და პირველ რიგში, ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე.

სიკვდილისა და ნგრევის იარაღების დამზადება იწვევს მუშათა და სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა ჩამოშორებას საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომისაგან, იწვევს მატერიალური რესურსების უსარგებლო ფლანგვას, ამცირებს სამშვიდობო მიზნებისათვის განკუთვნილ წარმოებას და ქმნის სახალხო მეურნეობის თანდათანი გამოფიტვის პერსპექტივას.

ამრიგად, ლენინური დებულება იმის შესახებ, რომ იმპერიალიზმი წარმოადგენს ლპობად, პარაზიტულ კაპიტალიზმს, ნათლად დასტურდება განვითარების თანამედროვე ეტაპზეც. კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელები სულ უფრო და უფრო რწმუნდებიან, რომ აუცილებელია წარმოების კაპიტალისტური წესის სოციალისტური წესით შეცვლა, რაც უნდა განხორციელდეს სოციალისტური რევოლუციის შედეგად.

**დოც. კიტა ქავთარაძე.**

ფოტო ც. კეცხოველისა.



კოშკი ყანაში



მწვერვალი და ყვავილები



შენაქო. საზამთრო დასახლება.



შენაქო. თეო აბაშმაძე საჩუქარს გადასცემს მარიხო ბუქვაიძეს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მთათუშეთში

დიკლო. იალაღზე.



დიკლო. მოხუცი ქალი.



შენაქო. „მოდით, მოგვეშველენით“.— იხუმრა მთიბელმა.

ომალოელმა გოგონამ აკორდეონი აიღერა.



დიკლო. დაღესტნის საზღვართან.



# ჭაღარა სიკეთის რაინდი

ეროვნული ბიბლიოთეკა



მწერალი ალექსანდრე ქუთათელი



მწერალი ნიკოლოზ ჩაჩავა

ასე მგონია, არავინ არის გაგრაში, ვინც არ იცნობდეს მხატვარ ანდრო ბახტაძეს. ყოველ შემთხვევაში უდავოა, რომ ყველა ანსხვავებს და თვალს გააყოლებს ხოლმე, როცა ის თავისი ფართო სომბრეროთი და სახატავი ფურცლებით ხელში ქუჩაში გამოჩნდება.

ანდრო ბახტაძეს შარშან შევხვდი გაგრაში და იქ გატარებული ორი კვირა სავსებით საკმარისი აღმოჩნდა ახლო გავცნობოდი როგორც მისი შემოქმედების თავისებურ ხასიათს, ისე ადამიანურ კეთილშობილ თვისებებს. მხატვარი სრულიად არ ჩივის იმაზე, რომ სამხატვრო აკადემიის წარმატებით დასრულების შემდეგ დიდ ქალაქში არ ტრიალებს. ის თითქოს არც ამჩნევს, რომ გაგრა პატარა დაბაა. და ეს იმიტომ, რომ იქაც ბევრი საქმეა გასაკეთებელი.

ფაქიზი სიყვარული ადამიანისა და გატაცება იმ ახალი ცხოვრებით, რომელსაც გარშემო ხედავს,— აი უმთავრესად რას დავინახავთ და ვიგრძნობთ მის ნახატებში. ადამიანური თვისებები ზემოთ იმიტომ ვახსენე, რომ ისინი ძლიერად გამოვლინდნენ მხატვრის შემოქმედებაში, ფერებში და თვითეულ ნახაზში. მხატვარი შეხარის ბუნებას რაღაც წარმართველი ვნებიანობით, ხოლო ადამიანს განსაკუთრებული სიყვარულით უმღერის. როცა ის ადამიანის სახეს ხატავს, ვერსად ნახავთ, რომ მას განზრახ ალამაზებდეს. სახის ნაკვთებს მხატვარი თითქოს იმისათვის იშველიებს, რომ მათი საშუალებით დაგვანახოს ადამიანის კეთილი მხარეები, გვაგრძნობინოს ის შინაგანი სამყარო, რომელიც სხვისთვის დაფარულია. მხატვრის აზრით, ადამიანი ბუნებით, დაბადებით კეთილია და, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ეს კეთილი უნდა იქნეს დანახული და გამოვლენილი.

კოლმეურნეები, მშენებლები, თანამედროვე ქართველი და აფხაზი მწერლები, ხელოვნების მოღვაწენი, უმთავრესად ესენი არიან ანდრო ბახტაძის სურათების გმირები. მის პატარა ბინაში ჰკიდია აგრეთვე გაგრაში მცხოვრებ ექიმ მერი რამიშვილის დიდი პორტრეტი, ფერებით შესრულებული. ეს ნამუშევარი პირველი შეხვედრისთანავე იქცევს ყურადღებას როგორც ფერებით, ისე შინაარსით: თქვენს წინაშეა ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ენერგიული და კეთილშობილი სიამაყით სავსე გამოხედვა აქვს და თქვენ უმალვე იგრძნობთ, რომ ის თანამედროვე მანდილოსანია, ჩვენი დროის ერთ-ერთი მშენებელია და სიცოცხლის დაულეველი წყურვილი აქვს. დარწმუნებული ვარ, ეს პორტრეტი, ყველა გამოფენაზე მიიქცევს სათანადო ყურადღებას და მოწონებას დაიმსახურებს.

მხატვრის სახელოსნო? ასეთი რამ არ გააჩნია ბახტაძეს. მაგრამ ის არც თუ დიდად ჯავრობს ამაზე, თუმც ზოგჯერ მაინც ნატრულობს. მხატვარი ცდილობს შეეჩვიოს იმას, რომ ყველგან იგულოს სახელოსნო, იქ, სადაც კი სახატავ ობიექტს დაინახავს. ამიტომ არის, რომ ხშირად თავისი ბინის გარეთ, ქუჩა იქნება ეს, მოედანი თუ ბუნება, ჩაიმუხლებს და აამოქმედებს ფანქარსა და ფუნჯს. ოღონდ კი თვალში მოუვიდეს ვინმე ან რაიმე და, უცებ აინთება სამუშაოდ.

ასე მუშაობა ხომ მათთვის არის დამახასიათებელი, ვისაც სიცოცხლე დიდ სიხარულად მიაჩნია. ნამდვილ შემოქმედს ხომ მოთხოვნილებად აქვს გადაშალოს თავისი გული და აამღეროს ის. სხვაგვარად მას არ შეუძლია!

**სერგო კლდიაშვილი**

ექიმი მერი რამიშვილი



პატარა ირინე



# [illegible]

## ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ომი

ამერიკელ მეცნიერთა ფედერაციამ გამოაქვეყნა განცხადება ვიეტნამში ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების თაობაზე. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების არმია ქიმიურ მომწამვლელ ნივთიერებებს ხმარობს სამხრეთ ვიეტნამში, რომელსაც იყენებს საცდელ პოლიგონად ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ომისათვის.

შეერთებული შტატების მთავრობა აღიარებს, რომ ვიეტნამში თვითმფრინავებიდან ხშირად აფრქვევენ ქიმიურ ნივთიერებებს, რომლებიც სპობენ ბალახსა და ფოთლებს. ასეთმა ბარბაროსობამ უკვე დიდი ზიანი მიაყენა ბრინჯის ყანებს, ხეხილსა და საქონელს.

ამერიკის სარდლობა ვიეტნამში ფართოდ იყენებს საშინელ ქიმიურ ნივთიერებას — ნაპალმს. ნაპალმის ცეცხლი ყველაფერს სწვავს და ბუგავს ირგვლივ. ადამიანები ერთბაშად დანახშირდებიან ხოლმე თავზარდაცემული მაყურებლების თვალწინ. ასეთი იერიშების მიზანია პანიკა გამოიწვიონ მოსახლეობაში და საშინელი წამებით მოჰკლან თავიანთი მსხვერპლი.

გაზეთ „ბალტიმორ სანის" კორესპონდენტი გულგრილად იტყობინება საიგონიდან: „ჩვენ ვისვრით ფოსფორირებულ ფეთქებად ნივთიერებებს ქვემეხებიდან ან ვყრით მათ თვითმფრინავებიდან ბომბების სახით. ამის შემდეგ წარმოიქმნება თეთრი ღრუბელი, რომელიც ყველაფერს წვავს თავის გარშემო".

მეორე ამერიკული გაზეთის „ვაშინგტონ სტარის" კორესპონდენტი იძულებულია აღიაროს: „მთელს სხეულზე ნაპალმით მიღებული დამწვრობისაგან ცოცხალ-მკვდარი ბავშვების ცქერა ერთნაირად შემზარავი იყო ვიეტნამელებისათვის და ამერიკელებისთვისაც".

ამერიკული გაზეთები და ჟურნალები ტრაბახობენ თავიანთი ჯარისკაცების „გმირობით" ვიეტნამში, მაგრამ ყოველ ადამიანს შეაძრწუნებს ის სისასტიკე და ველურობა, რაც ამ ბაქიობის „კვამლის ფარდას" არის ამოფარებული. მაგალითად, „ამერიკის ხმა" გადმოსცემს შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს ცნობას ამერიკული ბომბდამშენების ათასობით თავდასხმის შესახებ ვიეტნამის ქალაქებსა და სოფლებზე, მაგრამ იგი კრინტსაც არა სძრავს იმაზე, თუ რამდენი ტანჯვა, ნგრევა და სიკვდილია დამალული სამხედრო ცნობის ამ ჩვეულებრივი სიტყვების უკან.

მაგრამ ის, რაც ახლა ვიეტნამში ხდება ამერიკული სარდლობისა და მისი სამხრეთვიეტნამელი მარიონეტების წყალობით, შეუმჩნეველი როდი რჩება მსოფლიოს ასეულ მილიონობით მშვიდობისმოყვარე ადამიანს, რომლებიც სულ უფრო და უფრო ხმამაღლა გამოსთქვამენ თავიანთ პროტესტს ამერიკელ თავდამსხმელთა ამ ბარბაროსობის გამო.

## შაშხანა „არ-15"

ახლა ხშირად ლაპარაკობენ იმაზე, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ვიეტნამში იყენებენ ახალი სახის იარაღს მისი გამოცდის მიზნით. ამერიკის შეიარაღებული ძალების სარდლობაც უყოყმანოდ ადასტურებს ამ აზრს. ის კი არა, იგი არც კი ერიდება თავისი აღფრთოვანება პრესაში გამოხატოს. ჟურნალი „ლუკი" წერდა: „ახალი მცირეყალიბიანი იარაღის გამოცდა ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ დაიწყო, მაგრამ მხოლოდ ვიეტნამის საომარმა გამოცდილებამ დაგვანახვა მთელი მისი ღირსება. თავდაცვის სამინისტროს საიდუმლო საპროექტო განყოფილებამ ვიეტნამში ათასამდე ცალი „არ-15"-ის ტიპის შაშხანა გაგზავნა; მოგვიანებით მომზადებულ იქნა ანგარიში მათი გამოყენების თაობაზე. ამ ანგა. შს თანდართული ჰქონდა მეტისმეტად მჭევრმეტყველი ფოტოსურათები. ყოველივე ეს მეტად საიდუმლო ვითარებით არის მოცული, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ შეხვდეთ ვიეტნამიდან დაბრუნებულ ჯარისკაცებს და მათგან ბევრი რამ გაიგოთ ამ შაშხანის შესახებ. აი რას ჰყვებიან ისინი: „ეფექტი გასროლის შემდეგ — ფანტასტიკურია. მე დავინახე, როგორ მოხვდა ნასროლი ერთ ყმაწვილს ხელში. მას ხელი მთლიანად მოსწყდა. მეორეს ესროლეს ზურგში და მისი გული პირდაპირ გამოვარდა მკერდიდან. კაცმა, რომელსაც თეძოში მოხვდა ტყვია, სულ მხოლოდ ხუთი წუთი იცოცხლა. დანარჩენები თვალის დახამხამების უმალ დაიხოცნენ. ერთ ყმაწვილს სუფთად მოაგლიჯა თავი — მარტო კისერი-ღა შერჩა".

ჟურნალში დაბეჭდილ ამ სტატიას თან ახლავს ხუთი წლის მკლავმოგლეჯილი ბავშვის ფოტოსურათი. მას მკლავის ნაცვლად ხორცის ნაფლეთები ჰკიდია.

სად გამოინახოს სიტყვები ამ თანამედროვე ბარბაროსობის აღსაწერად, რომლითაც ასე ურცხვად ტრაბახობენ ამერიკელი ავაზაკები?

## „დაქორწინდით ბიჭებო!"

სანამ ნიუ-იორკსა და ბონში სამხედრო სტრატეგები, პოლიტიკურ მოღვაწეებთან ერთად, თავს იტეხავენ იმაზე, თუ როგორ შეაკოწიწონ რღვევის პირას მისულ ნატო-ს სამხედრო ორგანიზაცია, ამასობაში არც მათი ხელქვეითები ჰკარგავენ დროს. დასავლეთ გერმანიის ქალაქ ბლომბერგში, სადაც ჰოლანდიელი მფრინავები მსახურობენ, ჰააგელმა გენერალმა დე ზვაანმა გადაწყვიტა: მოდი, ნატო-ს განსამტკიცებლად ქორწინებაც და სიყვარულიც გამოვიყენოთო. გარნიზონის ინსპექციის შემდეგ გამართულ ბანკეტზე შეზარხოშებულმა გენერალმა ხელქვეითებს უბრძანა: „დაქორწინდით გერმანელ ქალებზე, ბიჭებო".

თუ დავუჯერებთ დასავლეთგერმანულ ჟურნალ „ქუიკს", რომლის მეოხებითაც ეს ამბავი ცნობილი გახდა, მუნდირში გამოწყობილი ახალგაზრდა ჰოლანდიელები, აქამდე რომ მაინცდამაინც დიდად არ ირჯებოდნენ ქვეშ-ფაქარი ფროილაინების სილამაზით, ახლა თითქმის მთელ ქვედანაყოფებად დაიძრნენ ყაზარმებიდან. ფელდფებელმა პანს ვერსტრეპენმა პირველმა დაიპყრო პარიკმახერი ქალის ჰეიდა ბრანდტის გული. მას მიჰყვნენ ეფრეიტორი მარსელ ვაფელბაკერი, ფელდფებელი იოპ ვან ლუინი და სხვები.

ძნელია იმის თქმა, სათანადოდ დააფასებს თუ არა ნატო-ს სარდლობა გენერლის მოსაზრებულობას და მისი ხელქვეითების თავგამოდებას. ვერც იმას ვიტყვით, იქნებიან თუ არა ბედნიერი ახლად დაქორწინებულნი. მაგრამ ის კი დარწმუნებით შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, რომ დაოჯახება ჰოლანდიელი ჯარისკაცებისა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და ბუნდესვერის მეომრებისა ჰოლანდიაში — ვერაფერს ვერ უშველის საფუძვლიანად შერყეულ „სამხედრო-ატლანტიკურ სოლიდარობას".

## ქალები და უმაღლესი განათლება

ასეთი სათაური აქვს ინგლისელი მეცნიერი ქალის სტელა გრინჰოლის ნაშრომს, რომელიც გამოსცა ინგლისელ სტუდენტთა ეროვნულმა კავშირმა.

ეს გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ ინგლისში იმ ქალებს, რომლებსაც სურთ მიიღონ უმაღლესი განათლება და თავიანთი ცოდნა, ნიჭი და უნარი საზოგადოების კეთილდღეობას მოახმარონ, მრავალი დაბრკოლება და უდიდესი სიძნელეები ეღობება წინ. მაგალითად, 1962 წელს შესაბამისი სასაკო ჯგუფიდან უმაღლეს სასწავლებლებში მოხვდა ჭაბუკების 22,4 პროცენტი და ქალიშვილების მხოლოდ 7,9 პროცენტი. თუ საშუალო სკოლებში მოსწავლეთა ორი მესამედი ქალებია, სამაგიეროდ უნივერსიტეტებში ისინი სტუდენტთა საერთო რაოდენობის ერთ მეოთხედს თუ შეადგენენ.

იმათ შორის, ვინც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სამუშაოზე მოეწყვნენ, ქალებს უფრო ნაკლები შესაძლებლობა აქვთ სწავლის გაგრძელებისა, ვიდრე მამაკაცებს. მეწარმეები ჭაბუკებს ხალისით უშვებენ ადრე სამუშაოდან საღამოს სწავლებაზე, ქალიშვილებს კი იშვიათად აძლევენ ასეთ შეღავათებს.

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, კიდევ ერთი გამოვლინებაა ქალისა და მამაკაცის იმ არათანასწორუფლებიანობისა, რომელიც არსებობს კაპიტალისტურ ქვეყნებში. მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, იმ სიძნელეებთან დაკავშირებით, რასაც ინგლისის ეკონომიკა განიცდის, ინგლისის მმართველი წრეები ნელ-ნელა უფიქრდებიან იმ ამბავს, რომ ქვეყანას აღარ შეუძლია შეეგუოს დანაკარგს, რაც თან მოსდევს ქალთა დისკრიმინაციას. სწორედ ამ გარემოებას უსვამს ხაზს თავის გამოკვლევაში სტელა გრინჰოლი. იგი მკითხველებს სთავაზობს მთელ რიგ ღონისძიებებს, რითაც მისი აზრით შეიძლება შექმნილი მდგომარეობის გამოსწორება და იმ ქალების შრომითი პროცესში ჩაბმა, რომლებსაც მათი სურვილისა და ნიჭის მიუხედავად, დღეს ვერ უპოვიათ ასპარეზი და თავიანთი ადგილი ინგლისის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

„ქალიშვილების უმეტესი ნაწილი ფუჭად ფლანგავს თავის ნიჭს როგორც სასკოლო პერიოდში, ისე შემდგომ ცხოვრებაში, — წერს სტელა გრინჰოლი,— ამიტომ, თუ ჩვენ გვსურს შევამციროთ ეს დანაკარგი, აუცილებელია პოზიტიური პოლიტიკა, რომელიც დახმარებისა და სხვა ღონისძიებების მეოხებით წაახალისებდა ქალიშვილებს სწავლის გასაგრძელებლად".

## ქალთა ბატალიონი

როდეზიის დედაქალაქ სოლსბერიში გამოაცხადეს, რომ იან სმიტის მთავრობამ გადაწყვიტა შექმნას „მოხალისე ქალთა ბრიგადები" არმიის დასახმარებლად. გასამხედროვებულ „ქალთა ბრიგადებში" მიიღებენ მხოლოდ თეთრკანიან ქალებს, ისიც რასისტებს, რომლებიც, როგორც იოჰანესბურგის გაზეთი „სანდი ტაიმსი" წერს, გადაიქცევიან სმიტის არმიის რეზერვად. მათ გამოიყენებენ „განსაკუთრებული მდგომარეობის" დროს; აქ იგულისხმება, რომ საჭიროების შემთხვევაში კაბიანმა მხედრებმა სისხლში უნდა ჩაახრჩონ დამონებული აფრიკელები.

„ქალთა ბრიგადების" მეთაურად დანიშნულია ვინმე ქალბატონი ლიზ-მეი, რომელმაც დაიტრაბახა, რომ თოფქვეშ დააყენებდა „17-დან 70 წლის ასაკის ყველა როდეზიელ ქალს", მაგრამ როცა დაიწყეს მოხალისეთა შეკრება, აღმოჩნდა, რომ როდეზიელ ქალებს სულაც არ სურთ გახდნენ რასისტების სამხედრო ავანტიურების მონაწილენი. მხოლოდ თავზეხელაღებული რასისტი ქალების ძალზე მცირე ჯგუფი ჩაეწერა ამ „ქალთა ბრიგადებში".

— ეს ერთობ სამწუხაროა, — განუცხადა „მხედართმთავარმა" ლიზ-მეიმ გაზეთ „რანდ დეილი მეილის" კორესპონდენტს.

პირიქით, ქალბატონო ლიზ-მეი, ერთობ სასიხარულოა, რომ თეთრკანიანი ქალები როდეზიაში ასეთ გონიერებას იჩენენ!

# ვეფხისტყაოსნის ისტორიული ქარგა

პროფ. აბელ კიკვიძე

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ასახულია XII საუკუნის საქართველოს სინამდვილე და მივუთითეთ პოემისა და იმდროინდელი მატიანეების ურთიერთდამთხვევის ადგილებზე.

გავყვეთ ასეთსავე შედარებას შემდეგ.

მეფედ კურთხევისა თუ ქორწინების დროს იცოდნენ საჭურჭლის გახსნა, ლარიბ-ლატაკთა ანუ გლახაკთა და ქვრივ-ობოლთა განკითხვა. თამარის ისტორიკოსი წერს, რომ მეფემ „გახსნა საჭურჭლენი მონაგებნი პაპათა და მამათა მისთანი“ (ქართ. ცხოვ., 22, 29).

თინათინის დაგვირგვინების დროსაც იხსნება საჭურჭლე; თინათინმა

„უბრძანა: „წადით, გახსენით, რაცა სად
საჭურჭლენია“...

„მომართვი ჩემი ყველაი, ჩემი ნაუფლისწულევი“
(სტრ. 54,52).

ფეოდალური ქართული სამოქალაქო სამართლის თანახმად ადამიანს, თუნდაც მეფეს, შეეძლო თავისუფლად გაეცა, მოეხმარა მხოლოდ საკუთარი ქონება ე. ი. ის, რაც მას ჰქონდა შეძენილი ანუ მოპოვებული. ძველ ქართულში საკუთარი შრომით მოპოვებულს თუ შეძენილს ეწოდებოდა „მონაგები“, გარდა ამისა, ადამიანს ჰქონდა მამული, ე. ი. მემკვიდრეობით მიღებული საკუთრება. ეს კი ხელშეუხებლად უნდა დაეტოვებია მემკვიდრისათვის.

ახლად დაგვირგვინებულ თამარს რა უნდა ჰქონოდა თავისი შრომით მოპოვებული იმდენი, რომ გლახაკები გაელონიერებია. ამიტომ ამბობს ისტორიკოსი, რომ თამარმა „განხსნა საჭურჭლენი მონაგებ ნი პაპათა და მამათა მისთანით“. აქ უფრო იგულისხმება თამარის მამის მიერ შეძენილი ქონება ანუ მონაგები. მაგრამ აქედანაც ნაწილი გადასდო მამა-პაპათა „ზეციური სამსახურისათვის“ და თავისი ქვეყნისათვის ე. ი. სახელმწიფო საჭიროებისათვის. ხოლო დიდი ნაწილი გასცა წყალობად დავალიანებულთა ვალების დასაფარავად და გლახაკთათვის, რომ მთელ სახელმწიფოში „არა დაუტევა მოქენე (მოხვეწარი, ა. კ.), რომელსაც ზედა არა უხვებით მოჰფინა წყალობა და სამართალი (ქართ. ცხ., ყაუხჩიშვილი, II, 29, ბროსეს გამოცემა, 279)

მეტად საინტერესოა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ სავსებით დაცულია მამულისა და ქონების მნიშვნელობა იმგვარადვე, როგორც ეს თამარის ისტორიკოსს ესმის; თინათინისაგან გამოთხოვილი „ნაუფლისწულევი“ არის მამისეული ქონება, რომელიც, მართალია, „გასცა უზომო, უანგარიშო, ულევი“, მაგრამ „მას დღე გასცემს ყველაკასა სივაჟისა მოგებულსა“ (58), ანუ ყველაფერი რაც გასცა თინათინმა, მამისაგან ახალგაზრდობაში შეძენილი ქონება იყო. „ნაუფლისწულევი“ რომ მამისაგან მიღებული ქონება არის, ამას ადასტურებს პოემის სტროფები 52-53. ვის უბრძანა დაგვირგვინებულმა თინათინმა „ნაუფლისწულევის“ გამოტანა? — თავის გამზრდელს, რომელსაც ებარა მამისეული საჭურჭლე.

მერმე ბრძანა: ვიქმ საქმესა, მამისაგან
სწავლებულსა,
ჩემსა ნუვინ ნუ დაჰმალავს საჭურჭლესა
დადებულსა (53).

მაშასადამე, თინათინმა, მართალია უხვად, მაგრამ გასცა ის, რაც მამისეული ქონება იყო ე. ი. მამის მიერ შეძენილი. როგორც თვით თინათინი ამბობს, მამას უსწავლებია მისთვის თუ რის გაცემა შეიძლებოდა საჭურჭლიდან. საკითხი აქ შეეხება მეფე როსტევანის ქონებას, რომელიც საჭურჭლეში ინახებოდა ხელშეუხებელ სამკვიდრო საკუთრებასთან ერთად. სულ სხვა საკითხია, რომ თინათინმა მეტად უხვად გასცა მამისეული ქონება, რომელმაც გააკვირვა ყველა დიდებული და მათ როსტევანის მოწყენილობა თინათინისაგან საჭურჭლის „დაცარიელებას“ მიაწერეს. ვაზირები მეფეს მიმართავენ ასეთი სიტყვებით:

„დაგიღრეჯია, მეფეო, აღარ გიცინის პირიო!
მართალ ხარ, წახდა საჭურჭლე თქვენი მძიმე და
ძვირიო“ (60).

როსტევანი ამას კადნიერებად თვლის და აუხსნის ვაზირებს, რომ ისინი ცდებიან.

როგორც „ხელმწიფის კარის გარიგებიდან“ ჩანს, საჭურჭლეში ინახებოდა ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი, ლარი, ჩინური და ქაშანური ჭურჭელი (მუხ. 17); „ვეფხისტყაოსანშიც“ ასეა წარმოდგენილი საჭურჭლის განძი, მხოლოდ აქ უფრო მდიდარია საჭურჭლე, სადაც ინახება აგრეთვე იაგუნდის ჯამები, ლალის ჭიქები (1551), ზოდებად ოქრო, ბადახში (1552), თვალი, მარგალიტი (1644); „ვეფხისტყაოსანში“ დაცულია ძვირფასი ცნობა ქართული ოქროს ფულის პერპერას შესახებ.

„უხვად გასცემს საბოძვარსა, საჭურჭლესა
ანაკიდსა,
პერპერასა დაფანტულსა ზედა სცვეთდეს ვითა
ხიდსა“ (1437).

პერპერაც, რა თქმა უნდა, საჭურჭლეში ინახებოდა. მაგრამ ეს იყო საჭურჭლე „ანაკიდი“ ე. ი. თან წასაღები. გამოდის, რომ „საჭურჭლე“ იყო მოძრავი და უძრავი ე. ი. ჯიბით სატარებელი, ან ადგილზე სალაროდ დგმული. „კარის გარიგებიდან“ ჩანს, რომ სალაროში ინახებოდა არა ნიადაგ სახმარი ჭურჭელი და ეს უკვე ივ. ჯავახიშვილმა აღნიშნა თავის დროზე (ქართ. სამართ. ისტ. წიგნი I, გვ. 174). ხოლო ყოველდღიურად სახმარი ჭურჭელი საჭურჭლეში ინახებოდა: „ლარი და ჭურჭელი ოქროსი და ვერცხლისა, ჩინური და ქაშანური უსაღვინეო ყოველი საჭურჭლესა ძეს და დგას“ (კარ. გარ. მუხ. 17). ამრიგად, სალაროში ძველად, თანამედროვე კლასიფიკაციით რომ მივუდგეთ, ინახებოდა განძი. ხოლო მიმოქცევაში არსებული ე. ი. სახარჯო ოქრო-ვერცხლი და ფულიც ინახებოდა საჭურჭლეში. მაგრამ სალაროსა და საჭურჭლის ასეთი დანიშნულება მიახლოვებითია, სალაროში მარტო განძი არ ინახებოდა.

„კარის გარიგებაში“ დაცულია საგულისხმო ცნობები სალაროსა და მოლარეების შესახებ, რაც „ვეფხისტყაოსანს“ კარგად უდგება. როგორც ჩანს, სალაროში ინახებოდა მეფის ტანსაცმელი, მისი მთელი მორთულობა, ყველა ნივთით: „მსახურთ-უხუცესსა სალაროთ მოლარეთ-უხუცესი მოართომს და მოუფენს, მსახურთ-უხუცესი მათ ეთაყვანების. მას წელიწადის თავ დღეს მეფე არავისგან შეიმოსების ამისაგან კიდე, რომე მონადირეთ-უხუცესი ყვითლით ყაბარჩით შემოსს სახელმოკლით, ტყავიანითა მოყვენთუსლითა, არა დიაპრტყელად, თავსა და საყელოსა კარგისა ყვინდიზისა და მაღლად აშვერილსა, მჰლოდ შეკრულსა ქუდსა დაარქვამს“ (კარის გარიგება, მუხლი 1).

„ყაბარჩა“, იგივე „ყაბაჩა“ აქ კაცის ტანსაცმელია, მაგრამ ყაბაჩა სცმიათ აგრეთვე ქალებსაც: ფატმანმა „ნესტან-დარეჯანს ყაბაჩა უძლვნა შემკული თვალითა“ (1439). იგივე ნესტანზე ფატმანი ამბობს:

„არად უნდის საბურავი, არცა წოლა
საგებლითა,
მიწყივ იყვის რიდითა და მით ერთითა
ყაბაჩითა“ (1148).

მეფის შემოსვა ანუ, როგორც მაშინ იტყოდნენ, შეკაზმვა, მსახურთ-უხუცესის საქმე იყო. მაგრამ ახალწელიწადს, მეფეს, მსახურთ-უხუცესის თანდასწრებით, მონადირეთ-უხუცესი შემოსავდა. ამ სამოსელს სალაროდან მოლარეთ-უხუცესი მოართმევდა მსახურთ-უხუცესს.

სალაროს უშუალო კავშირი ჰქონდა მეფის საწოლთან, მოლარეთ-უხუცესი მესაწოლეთ-უხუცესის მოადგილედ ითვლებოდა (მუხლი 7). როგორც მოლარეები ითვლებოდნენ მოლარეთ-უხუცესის ხელქვეით მოხელეებად, აგრეთვე მესაწოლეები — მესაწოლეთა-უხუცესისა. ასე, რომ მოლარეს ისევე შეესვლებოდა მეფის საწოლში, როგორც მესაწოლეს. ეს კარგად ჩანს „ვეფხისტყაოსნიდანაც“: „საწოლს მეკარე შემოდგა, მოლარე გაიყვანა მან“ (358).

მოლარეს ხომ მეფის სამოსელი ებარა, ამიტომ, როგორც მესაწოლეებს, მოლარეებსაც უნდა სცოდნოდათ — როდის იძინებდა და როდის იღვიძებდა მეფე. ეს კარგად ჩანს „ვეფხისტყაოსნიდანაც“:

თინათინს ესმა მამისა ეგრეთი დაღრეჯილობა,
ადგა და კარსა მივიდა, — ჰქონდა მზისაცა
ცილობა, —
მოლარე იხმო, უბრძანა: „ძილია თუ
ღვიძილობა?“
მან მოახსენა: „დაღრეჯით ზის, სჭირსო
ფერშეცვლილობა“ (102).

ცოტა ხნის შემდეგ თვით როსტევანი იკითხავს:

„ნეტარ რასა იქმს ქალიო,
ჩემი ლხინი და ჯავარი, ჩემი სოფლისა
წყალიო?“
მოლარე ჰკადრებს: „მოვიდა აწელა
ფერ-ნამკრთალიო.
დაღრეჯით გცნა და მიბრუნდა წინაშე
მომავალიო“ (104).

„კარის გარიგების“ მიხედვით, საწოლს მეკარე ჰყავს, რომელსაც კარი გამოხურული აქვს და ზურგშექცევით ზის, „და ვისცა უბრძანებენ, შემოიყვანს“ (მუხ. 38).

ასეთივე დანიშნულებას ასრულებს მეკარე „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით: „საწოლს მეკარე შემოდგა, მოლარე გაიყვანა მან“ (358).

„ვეფხისტყაოსანში“ მეტად ხშირად გვხვდება ლარი — ძვირფასი ქსოვილი, რომელიც დამოწმებულია „ხელმწიფის კარის გარიგებითაც“. ლარი საჭურჭლეში ინახებოდა. ძველ საქართველოში სცოდნიათ აგრეთვე ხალიჩის მსგავსი ქსოვილი „ორხოვა“, რომელსაც ხმარობდნენ გადასაფარებლად: „დააფინოს ორხოვა ფარეშთ-უხუცესმან მომცრო და ზედ სასთაული დაუდვას“ („კარის გარიგება“, მუხ. 36). თამარის პირველი ისტორიკოსი ერთად იხსენიებს ოქროსა და ლარს, როგორც ძვირფას საჭურჭლეებს (ქართ., ცხოვ., II, ყაუხჩ. გვ. 73-74, 87). ლარი მოხსენებულია აგრეთვე როგორც გასაცემი სიმდიდრე, თვალ-მარგალიტთან და ოქროჭედილ ნივთებთან ერთად. უეჭველია „მოლარე“ ისევე წარმოსდგება ლარისაგან, როგორც „მეჭურჭლე“ საჭურჭლისაგან.

ხატაელების დამარცხების დროს რამაზ მეფის სასახლეში ტარიელს უნახავს საკვირველი ყაბაჩა, რომელზედაც ამბობს: „არცა ლარულად ჰგებოდა მას ქსელი, არ ორხაულად“ (461). ლარი შეიძლებოდა როგორც შეკერილი, ისე შეუკერავი: „ლართა კერულთა და უკერულთა“... („ქართ. ცხ“. II, 36-37).

(დასასრული შემდეგ ნომერში)

---

*იხ. „დროშა“, № 6.



# „ვეფხისტყაოსანი"

## ახალი სომხური თარგმანი

ცნობილი სომეხი პოეტი ოვანეს კარაიანი დაიბადა თბილისში, აქვე მიიღო განათლება და გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე.

1964 წელს გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებამ" ქართულ ენაზე გამოსცა მისი ლექსების კრებული. ამავე წიგნში დაიბეჭდა მისი ცნობილი ლექსი „ქართველ მეგობრებს", რომელიც ავტორმა ქართულ ენაზე დაწერა.

თითქმის უკვე ოცდაათი წელია, რაც ოვ. კარაიანი დაუღალავად ემსახურება ქართულ-სომხური კულტურული ურთიერთობის და მეგობრობის განმტკიცების კეთილშობილურ საქმეს. კარაიანს არა ერთხელ გაუხარებია სომეხი მკითხველი ქართული კლასიკური და თანამედროვე პოეზიის ნიმუშების კარგი თარგმანებით. სულ ახლახანს მან თარგმნა პოეტ-აკადემიკოსის ირაკლი აბაშიძის ლექსების ციკლი „პალესტინა, პალესტინა" (ცალკე წიგნად გამოსცა სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობამ). ამას გარდა, კარაიანმა სომხურ ენაზე აამეტყველა რუსი, უკრაინელი, აზერბაიჯანელი, ფრანგი, ბერძენი, ოსი, აფხაზი და ქურთი პოეტების ნაწარმოებები.

ამჟამად პოეტმა ხელი მოჰკიდა შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის" თარგმნას.

ეს იყო პოეტის დიდი ხნის ოცნება. ჯერ ისევ 28 წლის წინ, სომხურ ჟურნალ-გაზეთებში („არშავი", „კარმირ წილერი", „პროლეტარი") დროგამოშვებით იბეჭდებოდა მაშინ ჯერ კიდევ დამწყები პოეტის ოვანეს კარაპეტიანის (კარაიანის) მიერ თარგმნილი ცალკეული თავები „ვეფხისტყაოსნისა". იმავე ხანებში ჟურნალ „კარმირ წილერში" დაიბეჭდა აგრეთვე ო. კარაიანის ლექსი „უკვდავი შოთას ძეგლის წინაშე" და შოთას აფორიზმები მისივე თარგმანით. ეს აფორიზმები გამოქვეყნდა პროფესორ ლეონ მელიქსეთ-ბეგის რედაქციით.

1937 წელს სომხეთის სახელგამმა გამოსცა „ვეფხისტყაოსანი" პროფ. გევორგ ასატურის თარგმანით. მანამდე პოემის ნაწყვეტებს თარგმნიდნენ ექიმი სტეფანე ბასტამიანი, პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგი, გ. მურადიანი, ვ. სიმონიანი, გამოჩენილი სომეხი ლირიკოსი ვაჰან ტერიანი, პოეტი-დრამატურგი სურენ ავჩიანი და სხვები.

ოვანესს გადაწყვეტილი აქვს პოემა მთლიანად თარგმნოს. თავისი თარგმანის ნიმუშები მან უკვე გააცნო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის არმენოლოგიის და ქართველოლოგიის კათედრების წევრებს, ამას გარდა, წაიკითხა საქართველოს მწერალთა კავშირის სომხური სექციის სხდომაზე. მწერლებმა და მეცნიერებმა მაღალი შეფასება მისცეს მის ნაშრომს.

მე ბინაზე ვეწვიე ჩემს უმცროს მეგობარს ოვანესს და დიდხანს ვესაუბრე. — ახლა საბოლოოდ დავუბრუნდი შოთას დიდ ქმნილებას, — მითხრა მან, — ვთარგმნი მთლიანად, უშუალოდ ქართულიდან, ვხელმძღვანელობ ქართველი მეცნიერების განმარტებებით. ჩვენს ოჯახში ქართული ენა მიღებული იყო ისევე, როგორც სომხური. თბილისის სამხატვრო-პედაგოგიურ სასწავლებელში ყოფნის წლებში მე კარგად გავიწაფე ქართულ ენაში, შევისწავლე ქართული ლიტერატურა და მხატვრობა. ცხადია, ჩემი ძველი თარგმანები ახლა აღარ მაკმაყოფილებს, თუმცა მაშინაც ვცდილობდი დამეცვა შოთას შაირის თავისებურებანი. ამჯერად ყველაფერს ახლებურად ვაკეთებ. დღემდე არსებულ თარგმანებში საუკეთესოდ მიმაჩნია დიდი ლირიკოსის ვაჰან ტერიანის თარგმანი (პროლოგის 12 სტროფი); ამიტომ იგი მთლიანად შევიტანე ჩემს თარგმანში, რა თქმა უნდა, იმის აღნიშვნებით, თუ ვის ეკუთვნის ეს ნამუშევარი. ამით ერთხელ კიდევ გამოვხატავ ჩემს სიყვარულს და პატივისცემას ვაჰან ტერიანისადმი, რომელსაც უდროო სიკვდილმა ხელი შეუშალა მთლიანად გადაეთარგმნა შოთას გენიალური ნაწარმოები".

ოვანესმა გამაცნო პოემის ახალი თავების თარგმანები. მას უკვე გადაუთარგმნია „დასაწყისი", „ამბავი როსტევან არაბთა მეფისა", „როსტევან მეფისაგან და ავთანდილისაგან ნადირობა", „ანდერძი ავთანდილისა როსტევან მეფის წინაშე", „პოვნა ავთანდილისაგან დაბნედილის ტარიელისა", „წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელთანა" და სხვა თავები. კარაიანის თარგმანის ნიმუშები უკვე გამოქვეყნდა ერევნის ჟურნალის „სოვეტაკან გრაკანუთიუნის", გაზეთ „ერევნის" და თბილისის გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის" ფურცლებზე.

რა თქმა უნდა, ამ გენიალური პოემის მთლიანად თარგმნა ურთულესი და უმძიმესი საქმეა. მაგრამ გვწამს, რომ თავისი შემოქმედებითი ძალების სრული გაფურჩქვნის ხანაში მყოფი პოეტი თავს გაართმევს ამ საპატიო ამოცანას.

**ივანე დავითიანი.**

---

## ვაჟს

### აკაკი ჩხაიძე

ცისა და მიწის ამავსო ვალმა,
ცხოვრების კიდევ რამდენი
მმართებს...
ხვალ მომადგება მევალე ალბათ
და ვიცი, ისევ შენ გამამართლებ!
მოხვედი ბურჯად და საგანძურად
სახლის და კერის,
კარის და ეზოს
და საქართველო დაგხვდა მამულად
და საუკუნე —
საასპარეზოდ.
თითქოს გაიხსნა ახალი ხივრცე
და გავხდი ბავშვი და მიამიტი
და შენთან ყოფნა მახარებს ისე,
ვით წვიმის შემდეგ კარგი ამინდი.
ცისა და მიწის ლვიძლი ვარ ახლა,
ვარ ლექსის კაცი, მწყემსი და
ხურო,
და ყველგან ვცხოვრობ,
და ყველგან ვსახლობ,
როგორც სიცოცხლე და
გაზაფხული.
გულში აინთე სიმართლის შუქი
და მომეშველე ცხოვრებით
დაღლილს,
და შენი ფილტვის ვაჟკაცურ
სუნთქვით
აავსე ჩემი გულიც და სახლიც.
შენი ცა, ვიცი, არ აიმღვრევა
დაგეწმინდება ხმენაც და მზერაც
და ჩემს დაწყებულ მცირე
სიმღერას
შენ გააგრძელებ და გაზრდი,
მჯერა.
თუმცა არ ვიცი რომელ გზით
წახვალ
და ვდგავარ თრთოლვით მე შენს
წინაშე,
ჩვენ მაინც ვგავართ ერთმანეთს
ახლა,
ვით მდინარე და ლელე წვიმაში.
ვარ შენზე ფიქრით ლამენათევი,
შენს ბედ-იღბალზე ვფიქრობ
ცისმარე...
მინდა, რომ იყო კარგი ქართველი
და ახდენილი ჩემი სიზმარი...

---

## განა მიყვარხარ... ისე...

### რუსუდან მკერვალიშვილი

მესაუბრები ჩურჩულით,
სულგანაბული გისმენ,
მსურს, რომ მარადჟამს გისმინო,
განა მიყვარხარ... ისე...

გვერდით ჩამივლი, შემხედავ
და გზას განაგრძობ ისევ,
მსურს მზერა შემომაპარო,
განა მიყვარხარ... ისე...

გნახავ და ჩემს უნებურად
ბავშვივით ვცელქობ მყისვე,
თავდავიწყებით ვტიტინებ,
განა მიყვარხარ... ისე...

მთების გული გაქვს, ბიჭო, და
გოლიათობა მთისვე,
მსურს ჩავიხედო შენს გულში,
განა მიყვარხარ... ისე...

ეს გული ცაა უღრუბლო,
აქვს სისპეტაკე ცისვე,
მსურს შენს სულს ხელი შევახო,
განა მიყვარხარ... ისე...

...და შენს ვარდისფერ ბაგიდან
რომ სიოს ნანას ვისმენ,
მსურს ვეამბორო მაგ ბაგეს,
განა მიყვარხარ... ისე...

# ჩვენი უძვირფასესი საგანძური





„სახარება ოთხთავი“ (1054 წ.). რესტავრაციის წინ და რესტავრაციის შემდეგ.

რა საშინელი განსაცდელიც არ უნდა დასტეხოდა თავს საქართველოს, რაოდენ მძვინვარე მტერიც არ უნდა შემოსეოდა, ქართველი კაცი, პირველ რიგში, ცდილობდა თავისი ყველაზე უძვირფასესი განძი გადაერჩინა, გადაერჩინა ხელნაწერები, წიგნები, რომლებშიც ჩაქსოვილი იყო მთელი ერის სული, მისი ყველაზე კეთილშობილური მისწრაფებანი.

„ვიწუე წერად დიდსა სიგლახაკესა და ეტრატის სიძვირესა, შფოთსა და უცალობასა შინა, წელსა მას, რომელსა იყო დიდი სიკვდილობა“, — აღნიშნავდა ავგაროზ ბანდაისძე 1848 წელს.

შფოთმა და უცალობამ, ომმა და „დიდმა სიკვდილობამ“, როგორც ვხედავთ, მაინც ვერ გასტეხა მწიგნობარი კაცის ნებისყოფა, ვერ ჩამოაშორა საყვარელ საქმეს.

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი გადამწერი 1646 წელს მოსთქვამდა:

„ვიწუე ესე „ვეფხისტყაოსანი“... თუ რამ აკლდეს, ნურავინ დამწყევლის, ტყვეობაში ვსწერდი“.

ვინ მოსთვლის რაოდენი ძეგლი შთანთქა ცეცხლმა, რაოდენი რამ გაანადგურა შემოსეულმა მტერმა, მაგრამ ჩვენმა ხალხმა მაინც შესძლო გადაერჩინა ბევრი რამ, რაც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან მდიდარ სულიერ ცხოვრებაზე.



ინსტიტუტის უფროსი რესტავრატორი ლ. ქუთათელაძე მუშაობს დაზიანებული ხელნაწერების აღდგენაზე.

ხელნაწერების დაცვა უპირველესი საზრუნავი იყო ჩვენი წინაპრებისათვის.

ხელნაწერს იცავდნენ მაშინაც კი, როცა თვითონ საშინელ განსაცდელში იყვნენ.

შემოსეულ მტრებს აუარებელი ხელნაწერები გაჰქონდათ საქართველოდან. და ქართველი კაცი, როგორც კი ამის ოდნავი შესაძლებლობა მიეცემოდა, პერანგსაც კი გაიხდიდა, ოღონდ ქართული წიგნი ტყვეობიდან გამოეხსნა. წიგნებს ისევე იხსნიდნენ ტყვეობიდან, როგორც ბავშვებს, ქალებს, ჭაბუკებსა თუ ვაჟკაცებს; ტყვედ წაყვანილ ერთ ქართველს XII-XIII საუკუნის ქართული ხელნაწერი უნახავს უცხოეთში და ზედ მიუწერია:

„ამა წიგნსა გარდავეკიდე და ფასი არა მქონდა, რომე მეყიდა და ასრე დარჩა ტყვეობასა შიგან. ვინცა ქართველი კაცი გარდაეკიდოთ, ესე წიგნი დაიხსენით ტყვეობისაგან“.

გასულან წლები. მართლაც გამოჩენილა კაცი, რომელსაც მოუხერხებია ამ „ტყვის“ დახსნა. იმავე ხელნაწერზე სხვა ხელით მიწერილია:

„ცოდვანი შეუნდვენს ღმერთმან გიორგის, ამა წიგნისა დამხსნელსა ტყვეობისაგან“.

ერთი უძველესი ქართული ხელნაწერისათვის 1569 წელს მიუწერიათ:

„მას ჟამსა, ოდეს მეფე ბატონი სიმონ ურუმთაგან დატყვევდა და ჩვენ ხონთქართან ელჩად წავედით და ეს წიგნი დატყვევებული ვიპოვეთ და დავიხსენით და ვიყიდეთ ოთხმოც ფლურად“.



ფოტო ო. თურქიასი

სასულიერო წიგნების კრებული „გულანი“ (XVIII საუკუნე), ეს წიგნი ყველაზე დიდია სიძველეთსაცავში დაცულ ხელნაწერებიდან. იგი 2512 გვერდისაგან შედგება და 34 კილოგრამს იწონის.

გაცა საგულისხმო არ არის, რომ ერთ კონტექსტშია ლაპარაკი საქართველოს მეფის ტყვეობაზეცა და ქართული წიგნის ტყვეობაზეც. მარტო აქედანაც ნათლად ჩანს რა სიყვარულით და მოწონებით ეპყრობოდა წიგნს ძველი დროის ქართველი.

აი ასე, ტანჯვითა და წვალებით გადაარჩინა და ჩვენს დრომდე მოიტანა ქართველმა ხალხმა თავისი უძველესი ხელნაწერები, ეს აურაცხელი სიმდიდრე ქვეყნისა.

მისი დაცვა — მუდამ უმნიშვნელოვანეს და საპატიო საქმედ ითვლებოდა.



„ლოცვის წიგნი“, ასე ეწოდება XVIII საუკუნეში გადაწერილ ამ უბის წიგნს. იგი 100 გრამამდე იწონის.



ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ი. აბულაძე და ფოტოკაბინეტის გამგე პ. ივანოვი ამზადებენ ხელნაწერს მიკროფილმის გადასაღებად.

• • •

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს უკვე პრაქტიკულად წამოიჭრა საკითხი, რათა აეგოთ სპეციალური შენობა უძველესი ხელნაწერი წიგნებისა და საისტორიო დოკუმენტების დასაცავად.

და აი დღეს ასრულდა ჩვენი წინაპრების ოცნება: ამ რამდენიმე ხნის წინ თბილისში, საბურთალოზე აგებულ იქნა ახალი შენობა, რომელშიც მოთავსდა უმდიდრესი ფონდი ძველი ქართული ხელნაწერებისა.

აქ, ამ შენობაში ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას აწარმოებს აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი.

სიძველეთსაცავის თაროებზე, ათი ათასი უძვირფასესი ხელნაწერი წიგნი ალაგია. სათუთად მოვლილ ამ უძველეს ხელნაწერ წიგნებიდან თითქოს მოგესმით გარდასულ საუკუნეთა სუნთქვა, თქვენს წინაშე თითქოს ცოცხლდებიან იმ ადამიანთა სახეები, რომელთაც შთამომავლობას ეს უძვირფასესი განძი შემოუნახეს.

ინსტიტუტის სიძველეთსაცავში თავმოყრილია ძველი ხელნაწერების უმდიდრესი ფონდი მეხუთე საუკუნიდან ვიდრე მეცხრამეტე საუკუნემდე.

იმისათვის, რომ ერის ეს სულიერი საუნჯე საიმედოდ იყოს დაცული საჭირო ტემპერატურის რეჟიმით, საცავის გვერდით, სარდაფში მოთავსებულია სპეციალური დანადგარები, რომლებიც მაერისა და სითბოს რეგულაციას ახდენენ.

აქ არა მარტო იცავენ ძველ ხელნაწერებს, არამედ კიდევაც „მკურნალობენ“ მათ. ახლად შემოსულ დაზიანებულ ხელნაწერს ინსტიტუტის ლაბორატორიაში დეზინფექციას უკეთებენ, ქიმიური ხსნარებით რეცხავენ, შემდეგ სარესტავრაციო განყოფილებაში იწყება ხელნაწერის დაგლეჯილი გვერდების აღდგენა, გადაცრეცილი ტექსტის გამძაფრება. შემდეგ ხელნაწერი საამკინძაო განყოფილებაში იგზავნება, სადაც საბოლოოდ ხდება მისი ხელახლად აკინძვა და ყდაში ჩასმა.

ინსტიტუტის სპეციალურ დარბაზში მოთავსებულია სიძველეთსაცავის მიკროფილმების ბიბლიოთეკა. მალე აქ თავს მოიყრის ყველა ხელნაწერი წიგნის ფოტოფირები; ეს კი ზედმეტი ხმარებისა და დაზიანებისაგან დაიცავს ძველ ხელნაწერებს, და ამასთან, დაინტერესებულ პირებს საშუალებას მისცემს დაუყოვნებლივ მიიღონ მათთვის საჭირო ამა თუ იმ ხელნაწერის ასლი.

ხელნაწერთა ინსტიტუტის ახალი შენობის სახით ჩვენმა ხალხმა საშვილიშვილო საჩუქარი მიიღო. თანამედროვე ტექნიკის მიღწევების საფუძველზე აგებული სიძველეთსაცავი, ინსტიტუტის თანამშრომლების ენთუზიაზმი და საქმის სიყვარული იმის მომასწავებელია, რომ უძველესი ხელნაწერები ახლა საიმედოდ არის დაბინავებული და დაუზიანებლად შეენახება მომავალ თაობებს.

ოთარ დემეტრაშვილი

## პრაქტიკული საუბარი

იუმორესკა

ტელეფონის ზარის წკრიალმა ვარდენი ძილ-ბურანიდან გამოარკვია.

— გისმენთ!

— მიცანი? — იკითხა ვილაცამ ხაზის მეორე ბოლოდან.

— გიცანი, როგორაა საქმე?

— შენ რა გიშავს, ზიხარ მანდ და...

— კარგი რაღა, მოარჩი წუწუნს, სამაგიეროდ ჩემზე მეტიც მიგაქვს! — გააწყვეტინა ვარდენმა.

— საიდან, ორი კაცი რომ ჩამიზიარე, იმათ ვინ გაისტუმრებს?

— ნუ დამტანჯე, თქვე რა ქენი? — გამოელია მოთმინება ვარდენს.

— ვიყავი, ვნახე ის და მეთხრა, თუ ამან იცის და დაურეკავს იმას, გავაკეთებო.

— შენ რა უთხარი?

— რას ვეტყოდი, იმან ყველაფერი იცის-მეთქი!

— კარგად გითქვამს, მერე?

— ის ქალაღლი მომთხოვა, შენ რომ იცი!

— უყურე იმ უსინდისოს! მერე?

— რა მექნა, ჩავუკიდე უჯრაში და მოაწერა ხელი!

— აგაშენა ღმერთმა! — მოითქვა სული ვარდენმა.

— მე მოვრჩი ჩემი საქმე, ახლა შენ იცი და შენმა სიმამრმა.

— რას ბოდავ, რომელ სიმამრზე მელაპარაკები?

— რამ გამოგაშტერა, განა რამდენი სიმამრი გყავს?

— შტერისა და კრეტინის ხმა მესმის! — გაბრაზდა ვარდენი — ცოლი არა მყავს და სიმამრი საიდან მეყოლება!

— არ გადამრიო, ვინ ლაპარაკობს?

— სად რეკავ?

— დაგექცა ოჯახი! ტყუილად არ მალაპარაკა ამდენი ამ მხეცმა! — და ვარდენს მოკლე, გაბმული სიგნალები შემოესმა. ცივმა ოფლმა დაასხა, ვაი თუ იმ ვილაც ოხერმა გამამხილოსო, მაგრამ უცებ მიხვდა, რომ უცნობსაც თავის მხრივ ცალკე გადაუქანდებოდა გული. ამიტომ დამშვიდებულმა მიდო თავი ბალიშზე და ძილი განაგრძო.

გივი კონტრიძე

## ოქროსკბილებიანი ცხვრები

ავსტრალიელმა ჯეიმს კეილერმა რამდენიმე ცხვრის თავი იყიდა ბაფხ წვნიანის მოსახარშად. თავებს ქვაბში რომ აწყობდა, შეამჩნია, რომ ცხვრის კბილები დაფარული იყო რაღაც ოქროსფერი ნალექით. კბილებს ეს ნალექი ააცალა და შეამოწმა. ანაფხეკი ოქრო გამოდგა. კეილერმა დაუყოვნებლივ მიაშურა მეხორცის დუქანს.

— კიდევ ამიწონეთ ცხვრის თავები, მათგან მშვენიერი წვნიანი კეთდება, — ძლივს ფარავდა იგი მღელვარებას.

ამ თავებსაც კბილებზე ოქროს გვირგვინები ჰქონდა. კეილერმა გადაწყვიტა ეყიდნა ცხვრის ფარაც და საძოვრებიც, მაგრამ ეს ამბავი ისე სწრაფად გავრცელდა, რომ ყველამ მოინდომა ცხვრების ყიდვა; ჯეიმსს ძალზე ბევრი კონკურენტი გამოუჩნდა.

კბილებზე ოქროს გვირგვინების წარმოშობა უბრალოდ აიხსნება. ცხვრები სძოვდნენ რა იმ ნიადაგზე, რომლის წიაღში ოქროს საბადო იყო, ბალახს აყოლებდნენ ოქროსშემცველ მიწასაც. ასეთი რამ ადრე შემჩნეული იყო კალიფორნიაშიც.

# ერთი მოსაზრების გამო

მათე ალექსიშვილი

„ლიტერატურულ გაზეთში“ (№ 25, 1961 წ.) დაიბეჭდა ჩვენი წერილი: „არისტოტელეს ბიოგრაფიის ერთი საკითხის შესახებ“. მისი დაწერის საბაბი მოგვცა ფრანგი ათეისტის, ჟან მელიეს (1664-1735) წიგნში „ანდერძი“ გადმოცემულმა ერთმა ცნობამ. ამ ცნობაში მელიე წერს: „...არისტოტელეს, თავის დროის უდიდეს ფილოსოფოსს, წოდებულს ბუნების გენიად, ბრალი დასდეს ბიწიერ აზრებში ღმერთების შესახებ, რის გამოც იძულებული გახდა გადახვეწილიყო კოლხიდაში (en la Colchide), სადაც გარდაიცვალა 63 წლის ასაკში“,[1] იგივე ცნობა, ყოველგვარი შენიშვნის გარეშე, გადმოტანილია აკად. ვ. ვოლგინის რედაქციით გამოსულ მელიეს რუსულ თარგმანშიც, სადაც წერია, რომ არისტოტელე «...был принужден удалиться в Колхиду, где он умер в возрасте 63 лет».[2]

სამწუხაროდ, მელიე არ უთითებს წყაროს, თუ საიდან მოაქვს მას ეს ცნობა. ამასთან დაკავშირებით ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება, რომ „მელიეს ამ ცნობას თავისთავად პირველწყაროს მნიშვნელობა არა აქვს“, მაგრამ, „არავის არ შეუძლია იმის მტკიცება, რომ მელიეს ეს წყარო (რომ იგი მიგნებული იქნეს კიდეც) უნდა გამოვაცხადოთ **უდავო ჭეშმარიტებად**, მაგრამ ხელაღებით არც იმის მტკიცება შეიძლება, რომ იგი უნდა გამოვაცხადოთ **უდავო სიცრუედ**. რადგანაც, თუ ჩვენ გავითვალისწინებთ იმ მძიმე მდგომარეობას, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შემდეგ არისტოტელესათვის შეიქმნა ათენში, გამორიცხული არ არის **შესაძლებლობა**, რომ იგი, როგორც რელიგიური ბრალდების ქვეშ მყოფი პოლიტიკური ემიგრანტი, გადმოხვეწილიყო კოლხეთში. ამას არ ეწინააღმდეგება მთელი რიგი ზოგადი ხასიათის მოსაზრებანი“, და შემდეგ სტატიაში გარჩეულია ეს ზოგადი მოსაზრებანი.

როგორც ვხედავთ, აქ აზრი სრულიად ნათელია. ჩვენ იმას კი არ ვამტკიცებთ, რომ არისტოტელე უდავოდ კოლხეთში გარდაიცვალა, არამედ იმას, რომ ამგვარი შესაძლებლობა არ იყო გამორიცხული. ჩვენს ამ სტატიას გამოეხმაურა მკვლევარი ივ. ლოლაშვილი, რომელიც თავის წიგნში: „ძველი ქართველი მეხოტბენი“ (წიგნი II, 1964 წ. გვ. 70) სრულიად გამორიცხავს კოლხეთში არისტოტელეს გარდაცვალების შესაძლებლობას და წერს: „ეს მოსაზრება არამცთუ მისაღებია, თვით საკითხის დასმაც უმართებულოა“.

ჯერ ერთი, აქ ლოლაშვილს „პატარა“ შეცდომა მოსდის: სიტყვები, რომ „...არისტოტელე... იძულებული გახდა გადახვეწილიყო კოლხეთში, სადაც გარდაიცვალა 63 წლის ასაკში“, ეკუთვნის მელიეს, მაშასადამე, საკითხის დასმა არისტოტელეს კოლხეთში გარდაცვალებაზე ეკუთვნის მელიეს და არა ჩვენ.

მეორე: რატომ მიაჩნია მას სრულიად უსაფუძვლოდ კოლხეთში არისტოტელეს გადმოხვეწის და სიკვდილის შესაძლებლობა? ჩვეულებრივ სახელმძღვანელოებშიც კი აღნიშნულია, რომ კოლხეთში ბერძნებს მთელი რიგი კოლონიები ჰქონდათ და მათი გემები წაღმა-უკუღმა სერავდნენ შავ ზღვას. მაშ რა ან ტექნიკური, ან სხვა ხასიათის დაბრკოლება გახდიდა შეუძლებელს, რომ პასუხისგებაში მიცემული არისტოტელე გამოქცეულიყო და მომკვდარიყო კოლხეთში? თუ ათასობით ბერძენს კოლხეთში მოსვლა შეეძლო, რატომ მაინცადამაინც ეს არისტოტელესათვის, და ისიც ასეთ გაჭირვებაში ყოფნის დროს, უნდა ყოფილიყო აკრძალული და შეუძლებელი?

მესამე: თუ არისტოტელე მართლაც კოლხეთში გამოიქცა, მაშინ საფიქრებელია, მის ამ არჩევანს ხელს ის გარემოება უწყობდა, რომ კოლხეთი შორეული და ნეიტრალური ქვეყანა იყო, სადაც მას შეეძლო თავის ნაცნობ-მეგობრებთან (პლატონის აკადემიაში ხომ არისტოტელესთან ერთად პონტოდან გამოსული პირებიც სწავლობდნენ, როგორც მაგ., ჰერაკლიტე პონტოელი) თავის შეფარება. ბერძნულ ქვეყნებში სასტიკი ანტიმაკედონური აჯანყებისა, და მცირე აზიაში კი პროსპარსული ტენდენციების ნაშთების სიძლიერის გამო, ალექსანდრე მაკედონელის აღმზრდელისათვის თავშესაფრის ძებნა უფრო სახიფათო იყო. ერთხელ ხომ იგი ძლივს გადარჩა მცირე აზიაში სპარსელების მიერ სიკვდილით დასჯას; ივ. ლოლაშვილი, როგორც ეტყობა, არ უწევს ანგარიშს იმდროინდელ ვითარებას, კერძოდ, მაკედონელის გარდაცვალების შედეგად საბერძნეთში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას და ბერძნული ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ტალღის აგორებას მაკედონელისა და არისტოტელეს წინააღმდეგ. აი რა წერია იმ დღეებში ათენში მიღებულ დადგენილებაში, რომელსაც ჩვენ ისტორიკოსი დიოდორე სიცილიელი (წიგ. XVIII) გადმოგვცემს: „...ათენელი ხალხი, რომელმაც როგორც წინათ საზღვაო ბრძოლაში მოიცილა თავიდან ბარბაროსთა უღელი, სთვლიდა რა რომ საბერძნეთი წარმოადგენს ერთ მთლიან სამშობლოს ყველა ელინისათვის, ახლაც თავის მოვალეობად სთვლის იბრძოლოს ხმელეთსა და ზღვაზე საბერძნეთის საერთო კეთილდღეობისათვის, და შესწიროს ამ ბრძოლას თავისი ფული და სისხლი“. როგორც აქედან ჩანს, ბერძნებს მაკედონიის ბატონობა საბერძნეთზე ისევე აუტანლად მიაჩნდათ, როგორც სპარსელების. ასეთ ვითარებაში მაკედონელი არისტოტელეს, ალ. მაკედონელის აღმზრდელის და პრომაკედონური ორიენტაციის მომხრის (იგი ათენში მეტეკის უცხოელის უფლებით ცხოვრობდა), პასუხისგებაში მიცემა უფრო მეტად პოლიტიკურ აქტს წარმოადგენდა, ვიდრე რელიგიურს. სად უნდა გაქცეოდა ის სიკვდილით დასჯას მაკედონიის წინააღმდეგ აჯანყებული საბერძნეთიდან? ბერძნული წყაროებით, რომელნიც არისტოტელეს დროიდან ექვსი საუკუნით არიან დაცილებულნი, იგი გაიქცა კუნძულ ევბეაზე მდებარე ქ. ხალკისში და იქვე გარდაიცვალა. მაგრამ იმ ბერძნულ წყაროში, რომელიც მელიეს ჰქონია, იგი ხალკისიდან შემდეგ კოლხეთში გაქცეულა. მართლაც, ევბეაზე არისტოტელეს გაჩერება სახიფათო იყო. ევბეა ატიკის გვერდით მდებარეობს, რომლისგანაც იგი ევრიპოს სრუტით არის გამოყოფილი. ამ სრუტის სიგრძე კი, იმ ადგილში, სადაც ერთ მხარეს ატიკა და მეორე მხარეს ხალკისი მდებარეობს, 5-6 კილომეტრს უდრის. ამგვარად, ატიკიდან 5-6 კილომეტრზე გაქცევა, და ისევ ბერძნებს შორის ყოფნა, უხიფათო ვერ იქნებოდა არისტოტელესათვის. სწორედ ეს გარემოება ქმნის ერთგვარ საფუძველს მელიეს ცნობის სასარგებლოდ არისტოტელეს კოლხეთში გაქცევის ვარაუდისათვის. მაგრამ, ამგვარ მოსაზრებებს ივ. ლოლაშვილი ანგარიშს არ უწევს, თითქოს ხელთა ჰქონდეს მმაჩის ბიუროს ცნობა არისტოტელეს ხალკისში გარდაცვალებაზე.

მეოთხე: ივ. ლოლაშვილის მტკიცებიდან ისე გამოდის, რომ მელიეს არავითარი ბერძნული წყარო არ ჰქონია ხელთ არისტოტელეს კოლხეთში გაქცევაზე. მას მხოლოდ შეცდომა მოსვლია, რადგან „ქალკიდა... გრაფიკულ ნიადაგზე ადვილად შეიძლებოდა გადაკეთებულიყო კოლხიდად“. ჯერ ერთი, ბერძნულში არ არის ასო „ქ“ და ამიტომ მელიეს არ შეიძლებოდა ბერძნულ წყაროში ჰქონოდა „ქალკიდა“. მას ექნებოდა „ხალკის“, და ის უნდა აერია მას „კოლხიკე“-ში („კოლხიდა“-ში). მეორეც: ფრაზით, რა თქმა უნდა, ადვილია „ყველაფრის ყველაფერში გადაყვანა“, ვიდრე ფონეტიკის კანონებით. ამასთან თუნდაც, რომ ეს შესაძლებელი ყოფილიყო საერთოდ, ამ კონკრეტულ ვითარებაში რატომ უნდა ყოფილიყო ასეთი აუცილებლობა? განა ან ბერძნებმა, ან ფრანგებმა არ იცოდნენ, რომ „ხალკისი“ ქალაქი იყო, რომელიც ევროპაში მდებარეობდა, ხოლო „კოლხიკე“ (კოლხიდა) ქვეყანა, რომელიც აზიაში იყო?

მეხუთე: ივ. ლოლაშვილი წერს: „არისტოტელე, რომ კოლხიდაში მოსულიყო თავშესაფარად, ძველ ქართველ ავტორებს შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ“. ჩვენ მოგვეპოვება ქართული წყაროები არისტოტელეს სიკვდილიდან 8 საუკუნის შემდეგ. ამასთან, თვითონ ივ. ლოლაშვილი ხომ წერს, და ეს საერთოდ ცნობილი ფაქტია, რომ არისტოტელეს მიერ ევრიპოს სრუტეში თავის დახრჩობა შემდეგ შექმნილი ქრისტიანული ვერსიაა, შეთხზული არისტოტელეს დამცირების მიზნით, თითქოს ის ფსიქიურად შეირყა. ამიტომ ცხადია, რომ ქრისტიანი ავტორები, რომელნიც არისტოტელეს ევრიპოს სრუტეში „ახრჩობდნენ“, კოლხეთში მის მოსვლას, ეს ფაქტიც რომ ყოფილიყო, არ აღნიშნავდნენ.

როგორც ჩვენს წერილში ვწერდით და ახლაც ვიმეორებთ, ჩვენ არ ვამტკიცებდით და არც ახლა არ ვამტკიცებთ, რომ არისტოტელე **უეჭველად** კოლხეთში გარდაიცვალა. ჩვენ მხოლოდ მელიეს ცნობიდან, რომელსაც ეს უფრო კატეგორიული ფორმით აქვს, გავიზიარეთ ვარაუდი, რომ **ამგვარი შესაძლებლობა არ იყო გამორიცხული** და ამ შესაძლებლობის დაშვებისათვის საჭირო საბუთები მოვიყვანეთ. ივ. ლოლაშვილს კი, როგორც ჩანს, ერთმანეთში აურევია შესაძლებლობა და სინამდვილე; ამიტომ ჩვენი მსჯელობა კოლხეთში არისტოტელეს გარდაცვალების **შესაძლებლობაზე** მას უკვე **სინამდვილედ** მიუჩნევია.

არისტოტელეს ანდერძი და ცნობა ხალკისში მის გარდაცვალებაზე, ჩვენამდე მოღწეულია 6 საუკუნის გვიანდელი რედაქციით (დიოგენე ლაერტელი). მაგრამ, როგორც ზემოთ ვნახეთ, მელიეს ცნობიდან სავარაუდებელია, რომ ძველადვე ყოფილა ვერსია არისტოტელეს კოლხეთში გარდაცვალებაზე. ამ ვერსიას ჩვენ მეტად ფრთხილად ვეკიდებით. ამიტომ ვწერდით ჩვენ ჩვენს სტატიაში, რომ არა მარტო მელიეს ეს ცნობა, არამედ თვით ის ბერძნული წყაროც, საიდანაც იგი ამოდიოდა, რომ მიგნებული იქნას კიდეც, საკმარისი არ იქნება კოლხეთში არისტოტელეს გარდაცვალების დასამტკიცებლად, რადგან მაშინ წყაროებში გვექნება ორი ვარიანტი: ერთი არისტოტელეს ხალკისში და მეორე კი კოლხეთში გარდაცვალებაზე. მაგრამ, რადგან არისტოტელეს ორჯერ და ორგან სიკვდილი არ შეეძლო, ამიტომ აქ ერთი ან მეორე ვარიანტის სასარგებლოდ საკითხს გადაწყვეტს თვით ამ ვარიანტების არგუმენტების ხასიათი. აი რატომ ვწერდით ჩვენ, რომ კოლხეთში არისტოტელეს გარდაცვალების ვარაუდს „კიდევ სჭირდება ძიება“.

ამგვარად, საკითხი კოლხეთში არისტოტელეს გარდაცვალებაზე ჩვენ არც პირველად დაგვიყენებია და არც შესაძლებლობის სფეროდან გადმოგვიტანია სინამდვილის სფეროში. მელიეს ცნობა ჩვენ მივიღეთ არა ფაქტად, არამედ შესაძლებელ ვარაუდად და იგი ასევე დარჩება, თუ არ იქნება მიგნებული უფრო უტყუარი საბუთები მის დასადასტურებლად.

---

1 j Meslier, Le testament, II, LXI, p. 290. Amcterdam, 1864.

2 Ж. Мелье Завещание, т. II, 1954 г. стр. 283.



## ნამდვილი ამბავი

ახალგაზრდა გამომძიებელს ლევან მათიაშვილს ხელში პორტრეტი ეჭირა და დასცქეროდა. ვერაფრით ვერ წარმოედგინა მას, რომ ეს სიცოცხლით სავსე, ნაზი და მომხიბვლელი გოგონა სწორედ ის ადამიანი იყო, ასე საცოდავად რომ ეგდო მტკვრის პირას, გულაღმა, ტანსაცმელშემოფხრეწილი; აცქერდებოდა სურათს და იხსენებდა: აქაური იყო ეს ქალიშვილი, ამ დაბის მცხოვრები, არა ერთხელ შეუნიშნავს კიდეც ლევანს ქუჩაში, ისიც იცოდა, რომ თბილისში სწავლობდა და ხშირად ჩამოდიოდა მშობლებთან, მით უმეტეს, ასე ახლოს არის ეს დაბა დედაქალაქთან. ვის უნდა გაემეტებინა ის სასიკვდილოდ?

გამომძიებელს ისევ დილანდელი ამბავი გაახსენდა. როგორც კი ცნობა მიიღეს, შემთხვევის ადგილზე უმალ გაეშურნენ პროკურორიც, ექიმიც, ოპერრწმუნებულიც და თვითონ ლევანიც. მოკლული ეგდო ქარაფოვანი კლდის ძირში, რომლის თავზე გზატკეცილი გადიოდა; გაღმით, მდინარის მარცხენა ნაპირს რკინიგზის ლიანდაგი მიჰყვებოდა.

შეუდგნენ დათვალიერებას, გვამის სურათიც გადაიღეს, ფირზე აღბეჭდეს ქარაფოვანი კლდეც, ვინაიდან აშკარად ეტყობოდა, რომ ქალიშვილი აქედან გადმოაგდეს.

ბოლოს, შორიდან მოვლით, კლდის თავზე გამავალ საავტომობილო გზაზე გავიდნენ. ნაწვიმარი იყო და ადვილად შეინიშნებოდა გზატკეცილიდან კლდის ქიმის მიმართულებით მიმავალ ადამიანთა ფეხის ნაკვალევი.

დაკვირვებით დააცქერდნენ ამ ნაკვალევს. იგი ორი ადამიანისა უნდა ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ კვალი ერთმანეთში იყო არეული, მაინც შეიძლებოდა მათი გარჩევა, — ერთი ქალის ტუფლების ანაბეჭდი იყო, მეორე — მამაკაცის. ათიოდე ნაბიჯის შემდეგ მამაკაცის ფეხის ნაკვალევი მკაფიოდ ჩანდა, ქალისა — კი არეული იყო და თანდათან მკრთალდებოდა.

— ეტყობა, ჯერ იძულებით წაიყვანა, მერე წაათრია, — ჩაულაპარაკა ოპერრწმუნებულმა გამომძიებელს. შემდეგ თაბაშირის სითხე მამაკაცის ყველაზე გარკვევით გამოსახულ ორ ნაკვალევში ჩაასხეს და ანაბეჭდები აიღეს.

ისევ გვამთან მიბრუნდნენ. გულმოდგინედ გასინჯვის შემდეგ შენიშნეს, რომ მოკლულს მარჯვენა, მაგრად მოკუმულ მუჭაში თმის რამდენიმე ღერი შერჩენოდა. გამომძიებელმა ფრთხილად შეახვია თმები ქაღალდში და უბეში ჩაიდო.

გზადმიმავალი მანქანები ჩერდებოდნენ, მგზავრები გადმოდიოდნენ, აქა-იქ ჩურჩული და ვიშვიში ისმოდა. ოქმს ხელი მოაწერეს და პროკურორმა ბრძანება გასცა გვამი სადაბო საავადმყოფოს საცხედრეში გადაესვენებინათ.

* * *

ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მკვლელი? — ეს კითხვა აწუხებდა ყველას.

შუადღის ხანი იქნებოდა, როცა პროკურორთან ქალიშვილის დედა მიიჭრა, საავადმყოფოდან პირდაპირ აქეთ წამოსულიყო, თითქმის გონდაკარგული იყო, ქვითინებდა და მხოლოდ ამას იმეორებდა:

— ნუ გაჭრით, ნუ გაჭრით, ჩემს გოგოს, ნუ, ცოდოა!

მძიმე წუთები იყო.

— ქალბატონო, რუსუდან! დაწყნარდით, ძალღონე მოიკრიფეთ! — პროკურორი წამოდგა და ქალს მხარზე ფრთხილად და ალერსიანად მოჰკიდა ხელი, მოეფერა.

— ჰო, მაშ იმიდი მექნება! — ფეხზე წამოდგა ქალი.

— ერთი წუთით, ქალბატონო, რუსუდან, იქნებ ეჭვი გაქვთ ვინმეზე! — ჰკითხა პროკურორმა.

ქალი ისევ სკამზე დაეშვა და ატირდა.

— იქნებ ვინმე გადაკიდებული ჰყავდა თქვენს ქალიშვილს? — ისევ ფრთხილად ჰკითხა პროკურორმა.

ქალი თითქოს ახლა-ღა მიხვდა პროკურორის სიტყვების აზრს.

— სიყვარულს ეფიცებოდა. ეგ არის იმის სიყვარული?

— ვისზე ლაპარაკობთ?

— იმ მხეცზე. დაემუქრა კიდეც, თუ ცოლად არ წამომყვები, მოგკლავო! აჰა, აკი მოკლა კიდეც, — დაიძახა დედამ და ხმა ჩაუწყდა.

პროკურორი ისევ მოეფერა ატირებულ ქალს და ძლივს ათქმევინა, რომ თინას სიკვდილით ემუქრებოდა მისივე სკოლის ამხანაგი რამაზ ზოიძე.

* * *

საანკეტო ცნობების დაზუსტების შემდეგ გამომძიებელმა მოსთხოვა რამაზს მოეთხრო ყველაფერი, რაც თინას და მის ურთიერთობას შეეხებოდა. ბიჭი დაბნეული იყო, ღელავდა, სიტყვა უწყდებოდა... გაიხსენა რაღაც უმნიშვნელო ამბები, მაგრამ არსებითი ვერაფერი თქვა. ბოლოს გამომძიებელმა ჰკითხა:

— სად იყავით თქვენ გუშინ, ოცდაცხრა აპრილს, საღამოს?

— ინსტიტუტში. დაუსწრებელზე ვსწავლობ, მეოთხე კურსზე.

— როდის დამთავრდა ლექციები?

— საღამოს თერთმეტ საათზე.

— შემდეგ სად წახვედით?

ზოიძემ არაფერი უპასუხა, გამომძიებელი ისევ ჩაეკითხა:

— როდის დაბრუნდით შინ?

— ამ დილით.

— რითი ჩამოხვედით?

— ათი საათის სახალხო მატარებლით.

— სად იყავით მანამდე? სად გაატარეთ წუხანდელი ღამე?

ზოიძემ ახლაც დუმილი არჩია.

— მარტოდ გამოხვედით ინსტიტუტის შენობიდან, თუ ვისმესთან ერთად? სად წახვედით იქიდან?

— ვიცი, რაც გაინტერესებთ. ჩემი ბრალია ყველაფერი, არ უნდა მიმეტოვებინა მარტოდ, შუა გზაზე.

ჭაბუკი უცებ დაემხო მაგიდაზე და ტირილი დაიწყო.

— ასწიეთ თავი, შემომხედეთ, — უთხრა გამომძიებელმა, — არ მესმის რა არის თქვენი ბრალი? განმეორებით გთხოვთ, მიამბეთ, როგორ მოხდა ყველაფერი.

— მე და თინა საშუალოში ერთად ვსწავლობდით, — დაიწყო რამაზმა, — მეგობრები ვიყავით. უმაღლესში კი ჩემზე ერთი წლით გვიან ჩაირიცხა, მაგრამ ჩვენს მეგობრობას ამან ხელი არ შეუშალა. როცა ჩვენი ლექციები ერთდროულად მთავრდებოდა, ქალაქიდან დაბამდე ერთად ვმგზავრობდით. ხშირად, როცა რომელიმე ჩვენგანი ლექციაზე შეყოვნდებოდა, ერთმანეთს ვუცდიდით. ასე იყო ოცდაცხრა აპრილსაც. მას ორი საათით გვიან დაუმთავრდა ლექცია, მე ინსტიტუტის ეზოში ველოდებოდი. იქიდან ერთად წამოვედით. მატარებელი დაბისკენ დილამდე არ იქნებოდა, ამიტომ ავტობუსით წამოსვლა გადავწყვიტეთ და ქალაქგარეთ, ავტობუსის გაჩერებამდე მოვედით. კარგახანს ველოდით, მაგრამ მანქანა არ გამოჩნდა.

ზოიძე ისევ დადუმდა.

— თქვით, რა მოხდა მერე?

— ჩვენ შევლაპარაკდით. წამეჩხუბა და აღარ ისურვა გამეცილებია. მეც მივატოვე.

— ხომ არავინ დარჩა მასთან?

— არა, მარტო იყო.

— როგორ მოხდა, რომ ბავშვობისდროინდელი მეგობარი, ისიც ახალგაზრდა ქალიშვილი მარტოდ დატოვეთ, შუაღამისას, ქალაქგარეთ... რაღაც დაუჯერებელია, მოქალაქე ზოიძე!

— მართალია, დაუჯერებელია, მაგრამ, ნამდვილად ასე იყო.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

— რატომ შელაპარაკდით, რა იყო თქვენი ჩხუბის მიზეზი?

ზოიძეს პასუხი არ გაუცია.

— თქვენ გიყვარდათ თინა? — ჰკითხა გამომძიებელმა მცირე ხნის შემდეგ.

— დიახ!

— დაწვრილებით მიამბეთ ყველაფერი.

— დიდი ხანია იცოდა, რომ მიყვარდა. ამ ბოლო დროს კი სულ გამოიცვალა. როცა ვუთხარი, ხელი მოვაწეროთ-მეთქი, ასე მიპასუხა — ეგ არასოდეს არ მოხდებაო. არ ველოდი ასეთ პასუხს, ვიცოდი, რომ ადრე ვუყვარდი. მერე კიდევ შევხვდი რამდენჯერმე. ერთსა და იგივეს მეუბნებოდა. მე არასოდეს არ ვიქნები შენი ცოლიო. ბოლოს უკვე გამირბოდა, სალაპარაკოდაც აღარ მიჩერდებოდა.

— როდის შეხვდით ოცდაცხრა აპრილამდე, უკანასკნელად?

— მანამდე ერთი კვირის წინ შევხვდი, ვერის ხიდთან. დამინახა თუ არა, ნაბიჯი ააჩქარა. დავედევნე და მაჯაში ვწვდი. გამომგლიჯა ხელი, აქვითინდა და გაიქცა. ამის შემდეგ ოცდაცხრა აპრილს, ინსტიტუტის ეზოში დაველოდე. გავსწიეთ ავტობუსის გაჩერებისაკენ, მაგრამ ვგრძნობდი ჩემს სიახლოვეს ვერ იტანდა. ამიხსენი-მეთქი რა მოხდა, ვკითხე, პასუხად ეს მითხრა — მეზიზღებიო. ამიტომ ჩამოვცილდი იმ ღამეს. ნეტავ შორიდან მაინც მედევნებინა მისთვის თვალი...

— როგორც ვიცი, თქვენ სიკვდილითაც დაემუქრეთ თინას. როდის იყო ეს?

— სწორედ მაშინ... ხიდთან. მაგრამ ნუთუ თქვენ შეგიძლიათ იფიქროთ, რომ... მე მას როგორ გავიმეტებდი!

— დაბაში მეორე დილით ათ საათამდე არ დაბრუნებულხართ. სად გაატარეთ ის ღამე?

— მაგას საქმისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

— უნდა სთქვათ, მოქალაქე ზოიძე. ეს თვითონ თქვენთვის უფრო საჭიროა.

— არა, მაგის თქმას სიკვდილი მირჩევნია.

მათი შეხვედრა იმ დღეს ამით დამთავრდა.

* * *

მათიაშვილი გულმოდგინედ სწავლობდა და აკვირდებოდა ყოველ წვრილმანს, რასაც კი ოდნავ მაინც შეეძლო ნათელი მოეფინა ამ ჩახლართული საქმისათვის. მთავარი იყო დაედგინათ, თუ ვის ეკუთვნოდა ნაკვალევი, რომლის ანაბეჭდი აიღეს მკვლელობის ადგილზე და ვისი იყო თმის ღერები, მოკლულს მუშტში რომ შერჩენოდა. ამის გასარკვევად რამაზ ზოიძეს ფეხსაცმელი ჩამოართვეს, მისი თმის ნიმუშიც აიღეს და კრიმინალური ექსპერტიზის ლაბორატორიას გადაუგზავნეს; ლაბორატორიის მუშაკებმა ძიებას აცნობეს, რომ ზოიძის ფეხსაცმელი არც ნომრით, არც ცვეთით, არც ლანჩებზე წერტილებისა და ქუსლებზე სხივური განლაგებით არ ემთხვეოდა ანაბეჭდის ასეთსავე ნიშნებს, თმა არც რამაზისა იყო და არც თინასი.

გამომძიებელი ხედავდა, რომ საქმე დაიხლართა.

„მართლაც, საკვირველია, — ფიქრობდა იგი,— ფეხსაცმელის ანაბეჭდი ზოიძისა არ არის. თმა არც ზოიძეს ეკუთვნის და არც დაზარალებულს, იქნებ დამხმარე ჰყავდა ზოიძეს, მაგრამ შემთხვევის ადგილზე რატომ არ აღმოჩნდა სხვა კვალიც? არა, ზოიძე ეტყობა უცოდველია, მაგრამ რატომ არ ამბობს სად გაატარა ის ღამე?

* * *

დაბის უნივერმაღის ფეხსაცმელების სექციის გამგე-გამყიდველს აბესალომ გვენეტაძეს გული გადაუტრიალდა, როცა გამომძიებელთან გამოიძახეს.

ლევანმა შეატყო შეშფოთება და უთხრა:

— დამშვიდდი, აბესალომ. უბრალო ცნობა მინდა. როგორც მახსოვს, ამ რამდენიმე ხნის წინ თქვენთან რეზინის ძირიანი მამაკაცის ჩექმური ფეხსაცმელები იყიდებოდა?

— აგრეა!

— აბესალომ, ჩვენი დაბა დიდი არ არის, შენ აქ თითქმის ყველას იცნობ, მეზობელ სოფლებშიც ბევრი ნაცნობები გყავს, ხომ ასეა?

— აგრეა.

— ჰოდა, უნდა გაიხსენო ვის და ვის მიჰყიდე ასეთი ფეხსაცმელები.

— მაგას რა გაიხსენებს, შე კაცო!

— ზოგი მათგანი მაინც არ გახსოვს?

— ზოგი მახსოვს, მაგრამ...

— აბა დაიწყე! — გამომძიებელმა კალამი და ქაღალდი მოიმარჯვა. გამყიდველმა პირველად რამდენიმე კაცი ერთი-მეორის მიყოლებით დაასახელა. შემდეგ დიდხანს ჩაფიქრდა.

— ლევან, თუ დიდი საიდუმლოება არ არის, მითხარი, რაშია საქმე. ვის ეძებთ?

— გეტყვი, მაგრამ, იცოდე, არსად წამოგცდეს. თინა ქადაგიძის მკვლელს ვეძებ. მასაც ასეთი ფეხსაცმელები ეცვა...

— უჰ, თუ ძმა ხარ, ნუღარ გამახსენებ. იმ დილით თბილისში საქონლის მისაღებად მივდიოდი, სწორედ იქით ჩავიარე... ვნახე ეს ყვავილივით გოგო, მოკლული რომ ეგდო. თქვენ მაშინ უკვე იქ იყავით, დავინახე. იმის საცოდაობით მე კი არა და, პეტრე ჰელიძის შოფერი, ხომ იცნობ, ლომივით ვაჟკაცია, ისე წახდა, მანქანა ველარ მართა და მე მომიხდა საჭესთან ჯდომა.

— პეტრე ჰელიძის შოფერი? გვარი არ მაგონდება!

— ბესო ჩაჩანიძე.

გამომძიებელმა უცებ დახედა სიას და თვალებში ეს გვარი მოხვდა. „აჰა, იმასაც წაუღია ფეხსაცმელი“, გაიფიქრა და თითქოს სხვათა შორის, დასძინა:

— ასეთ ვაჟკაცს ახალგაზრდა ქალი შეეცოდებოდა, აბა რა?

— არ მეგონა, ძალიან გულჩვილი ყოფილა. მანქანიდან არც კი გადმოვიდა, მითხრა, მაგ საცოდაობის ყურება არ შემიძლია, — ჯერ ქათამიც არ დამიკლავსო. ეტყობა, გული აქვს სუსტი.

— გარეგნულად რომ არაფერი ეტყობა... ამბობენ, ღვინის დიდი მოტრფიალეაო!

— იცოცხლე, მაგაში ვაჟკაცია, ქუთაისიდანაც ამიტომ წამოიყვანა სიძემ.

— გადააჩვია ლოთობას?

— არც ისე ლოთია, სხვა რამის გამო მოარიდეს ქუთაისს. ვიღაც ქალთან შეემთხვა უსიამოვნება, საქმე სასამართლომდე მივიდა. ჰოდა, მერე იმ ქალის ნათესავებს გამოექცა.

— ვინ იყო ის ქალი?

— მეზობლის გოგო, დანამდვილებით არაფერი ვიცი. მგონი შეაცდინა, თუ ძალა იხმარა...

* * *

როცა ძიებამ ეჭვი ჩაჩანიძეზე მიიტანა, მან აღარ იცოდა საით გადაკარგულიყო. მაინც რაღაცის იმედი ჰქონდა, მაგრამ ეს იმედიც დაკარგა მაშინ, როცა ფეხსაცმელი მოსთხოვეს და შესამოწმებლად გაგზავნეს, ანაბეჭდი ზუსტად დაემთხვა მის ნაკვალევს. მოკლულის ხელში დარჩენილი თმის ბეწვებიც მისი აღმოჩნდა. გამომძიებელმა ქუთაისის საქმეც გამოითხოვა და აღმოჩნდა, რომ ჩაჩანიძე იქაც ახალგაზრდა ქალიშვილის მიმართ ძალადობისათვის გაესამართლებინათ.

ჩაჩანიძე მაინც არ ტყდებოდა, აწვალებდა გამომძიებელს, გზას უხლართავდა და თვითონაც იბნეოდა.

გამომძიებელმა ექსპერტიზის დასკვნა გაუწოდა.

— სიცრუეა, მე მკვლელი არა ვარ!

— უკეთესი იქნება გულწრფელად აღიაროთ დანაშაული. გაფრთხილებთ, ეს შეღავათს მოგცემთ სასამართლოს წინაშე სასჯელის ზომის განსაზღვრის დროს.

ერთხანს მდუმარედ იყვნენ გამომძიებელი და ეჭვმიტანილი, ორივეს თავი ჩაექინდრა და ჩუმად შესცქეროდნენ ერთმანეთს.

— მე მეტი აღარ შემიძლია, დამასვენეთ! — ამოიჩურჩულა ბესარიონმა, ისე რომ თავი არ აუწევია.

— ბარემ დავამთავროთ.

— ერთი დღით ადრე, თუ გვიან, რაღა აზრი აქვს... დაწერეთ! თინას შორიდან ვიცნობდი, მომწონდა. ოცდაცხრა აპრილს, დაახლოებით ღამის თერთმეტ საათზე, მანქანით ქალაქიდან დაბაში მოვდიოდი. ავტობუსის გაჩერებასთან ვიღაცამ ხელი ამიწია. თინა იყო. წამოვიყვანე. უკაცურ ადგილას რომ გამოვედით, ხელი გადავხვიე. წინააღმდეგობა გამიწია, მანქანიდან გადახტომა დააპირა, გავაჩერე მანქანა, დავუწყე მუდარა, არც ძალამ არ გასჭრა, არც ხვეწნამ. ვიფიქრე წავიყვან სახლში-მეთქი, მაგრამ მომაგონდა ძალადობისათვის, რომ ერთხელ ნასამართლევი ვიყავი, შემეშინდა, ყველაფერს იტყვის-მეთქი, და თვითონაც არ მახსოვს რა მოხდა მერე... მგონი, თმაში მწვდა, კლდისაკენ რომ მიმყავდა.

* * *

საქმე სასამართლოს გადაეცა, მკვლელს საკადრისი მიუზღეს, თითქოს დამთავრდა ყველაფერი, მაგრამ ლევანისათვის ყველაფერი ბოლომდე ნათელი არ იყო.

რატომ შეიძულა რამაზ ზოიძე თავის ბავშვობის მეგობარმა — თინამ, რა მოხდა მათ შორის ისეთი რომ ახალგაზრდა ქალს მისი სახელის გაგონებაც არ უნდოდა? ან სად იყო რამაზ ზოიძე ოცდაცხრა აპრილის ღამეს? ეს ფიქრები უტრიალებდა თავში გამომძიებელს, მაგრამ საქმისათვის ამას მნიშვნელობა აღარა ჰქონდა და იმანაც ხელი ჩაიქნია.

ამ ამბის მერე კარგა ხანი იყო გასული, როცა ლევანი თბილისში, სტუდენტობის დროინდელი მეგობრის ოჯახში მოხვდა. დიასახლისის დღეობა იყო და დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. ლევანის გვერდით უცნობი ქალი იჯდა, მაგრამ, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, ისინი სულ ჩქარა ახლო ნაცნობები გახდნენ. სუფრა რომ აიშალა, ლევანმა ქალი გააცილა. ნინომ (ასე ერქვა იმ ქალს) გზაში რატომღაც რამაზ ზოიძის სახელი ახსენა.

— მე თქვენ შორიდან გიცნობდით, ისიც ვიცოდი, რომ რამაზის საქმეს თქვენ იძიებდით. პროცესსაც ვესწრებოდი.

— ჰო, ის ბიჭი სულ უდანაშაულო აღმოჩნდა, — თქვა გამომძიებელმა.

— იცით, ბატონო ლევან, კანონის წინაშე შეიძლება უდანაშაულოა, მაგრამ მე მინდა გითხრათ, თქვენ ეს არ იცით, ის უსინდისო და საზიზღარი ადამიანია. თინა ჩემი ახლო მეგობარი იყო. და მე ისიც ვიცი, რატომ არა თქვა ზოიძემ თუ სად იყო იმ ღამეს.

— საიდან იცით ეს თქვენ? მე არ მეტყვით?

— ოღონდ ყველაფერი ჩვენს შორის უნდა დარჩეს. მით უმეტეს, რომ ყველაფერი დამთავრებულია. მარინეც ჩემი ახლო მეგობარი გახლავთ. საწყალი, იმანაც მწარედ განიცადა მთელი ეს ამბავი.

— ვინ მარინეა?

— გვარს არ გეტყვით. იმ ღამეს რამაზი მარინესთან იყო. რაღაც ჭირად, მარინე ერთ ვიღაც ხეპრეს გადაეყარა, ცოლად გაჰყვა, მაგრამ მერე ძალიან ინანა. ზარზან გასცილდა ქმარს და ამის შემდეგ დაუახლოვდა რამაზს. ქალს მწარე გამოცდილება უკვე ჰქონდა, ერიდებოდა საერთოდ მამაკაცებს, მაგრამ რამაზმა საშველი აღარ მისცა, დღე და ღამე ეფიცებოდა, რომ მზე და მთვარე მასზე ამოსდის, და ეს



# ოდიშის ზარების გუგუნი

**როსტომ ბექანიშვილი**

გაუვალი, უღრანი ტყე, ჭაობი... ალაგ-ალაგ ნათელი სვეტივით დაუჯდებულა მზის სხივი, ამ ტყეში მოხუცი ტაგუ და მისი ერთადერთი ვაჟი ვალერია სკვერი საიდღაც მიუძლვიან შემოსეულ თურქებს. ტაგუს დიდი ხანია მათი ჯავრი სჭირს — მათ მოსტაცეს ქალიშვილი ცაო, მათ გააუბედურეს მისი ცხოვრება. ახლა მოსულა დრო სამაგიეროს გადახდისა და ტაგუ ცდილობს გაუვალ ჭაობში ჩაახრჩოს მოძალადენი.

ასე იწყება გრ. ჩიქოვანის მოთხრობა „ტაგუ".

ტაგუს ათი წელია ისევ ჩაესმის ყურში ცაოს კივილი და ლამის ჯავრით გაიგუდოს; ბრაზი ახრჩობს, რომ თავის ერთადერთ ქალიშვილს ვერ უშველა, მომტაცებლებს ვერაფერი დააკლო. მერე უფროსი ვაჟი ქუჯი დაკარგა, ახლა ტაგუს ვალერია სკვერი ჰყავს მხოლოდ და ეს ყმაწვილი არის მოხუცებული მამისათვის ყველაფერი: მისი იმედი, მისი ცა და მიწა.

მტრისადმი შურისძიების წყურვილით ანთებულმა მამა-შვილმა შორს შეიტყუეს მტერი, გაუვალ ჭაობში ჩაახრჩეს, მაგრამ თვითონაც დაიღუპნენ.

გრ. ჩიქოვანის „ოდიშური მოთხრობების" მთელ ამ ციკლს უაღრესი ლაკონიზმი, ამბის სიმძაფრე და ფრაზის სიმკვეთრე ახასიათებს. მკითხველის თვალწინ ხელშესახებად ცოცხლდებიან ძველი ოდიშის ბედგამწარებული უბრალო ადამიანები, რომელთა თავზეც წისქვილის დოლაბივით დატრიალდა წუთისოფლის ყველა ჭირვარამი. ამ მოთხრობების პერსონაჟები — ტაგუ და მისი ვაჟიშვილი ვალერია, უშიშარი რაინდი ჩოწთი, მისი გულისტოლი, ვაჟკაცური შემართებისა და, ამავე დროს, სათუთი, ცეცხლოვანი ქალიშვილი სინთუ ცოცხლად წარმოდგებიან მკითხველის თვალწინ. ეს მოთხრობები გამოირჩევა, როგორც ორიგინალური თემატიკით, ისე ჰვრეტის თავისებური კუთხით; მწერალს ყველა ხასიათში, უპირველესად, გმირული საწყისი აინტერესებს. „ოდიშური მოთხრობების" პერსონაჟები უბრალო ადამიანები არიან, და პირველი შეხედვით, თითქოს ყურადღებას არ მიიპყრობენ, მაგრამ ყოველი მათგანის საქციელი იმდენად რაინდულია, იმდენად კეთილშობილური და ამაღლებული, რომ ისინი, აღებულნი ერთად, განასახიერებენ ჩვენი ხალხის გმირულ სულს, მის გაუტეხლობას ჭირში და ნათლად მიგვანიშნებენ, თუ როგორ გაუძლო ჩვენმა ხალხმა ათას ჭირსა და განსაცდელს ბნელი საუკუნეების მანძილზე.

მოთხრობაში „შურისგება" გამოხატულია მთელი ხალხის საერთო გულისთქმა. ადამიანები, სახალხო განსაცდელის ჟამს, ივიწყებენ პირად წყენას თუ შეურაცხყოფას, მომხდური მტრის წინააღმდეგ ისინი დგებიან მხარდამხარ, როგორც ერთი დედის შვილები.

დიდხანს დგას მუხლზე ლაშქარი — ფიცსა სდებენ. მერე წამოიშლება ბანაკი და ჯარი ერთხმად შებღავლებს მეთაურს: „წარუძეხ შენს ხალხს!" ესაა ხმა ხალხის, რომელიც „მდუმარედ და მოლოდინით იდგა მთავრის გარშემო გატანჯული, გაძარცული, მშიერი, შიშველი, მოსული ცხენით, ფეხით, იარაღით, უიარაღოდ. ვისაც ხმალ-სატევარი, შუბი და ისარი არ ჰქონდა, ცული და წალდი წამოეღო, ხელთ ეპყრა კეტი და ფიწალი".

ადამიანები აქ შეკავშირებულნი, გაერთიანებული, ერთი ფიქრით გამსჭვალულნი გამოდიან და ყოველი მათგანის ძალა და შემართება ქცეულა ხალხის საერთო ძლიერებად; მწერალი ასე აგვიწერს საბრძოლველად ამხედრებულ ლაშქარს:

„გუგუნებდა ლაშქარი, ბობოქრობდა ლაშქარი. იგი ჰგავდა უეცრად მოვარდნილ მდინარეს, რომელმაც გზადაგზა მრავალი ლანქერი, ჩქერი, ღელე და ნაკადი შეითვისა, გაივსო, აზვირთდა, წამოვიდა ზათქითა და ზარით, შეასკდა ჯებირს, შედგა, შეიცადა, რომ მომძლავრდეს, დაეწიოს უკან მომავალი, მეტი ღონე ჩაიდგას მუხლში, უფრო აზავთდეს, უფრო გაავდეს. ლაშქრის შეძახილები ზვირთების ზრიალსა ჰგავდა, ლაშქრის ყიჟინი — ჯებირის ტკაცანს".

შესცქერის ამ ამაღლევებელ სანახაობას და ახალგაზრდა მთავარს ვამეყს მხნეობა ემატება, სარდლის მხნეობა გადაედება ლაშქარს და მას ახლა მართლაც შეუძლია რიცხვით თავისზე ათჯერ მეტ მტერს შეება, სძლიოს და გაიმარჯვოს.

ლაშქარი მიემართება საბრძოლველად.

გუგუნებენ ოდიშის ზარები, რათა მთელ ქვეყანას აუწყონ მისი შვილების გმირობისა და ვაჟკაცობის ამბავი.

გუგუნებენ ოდიშის ზარები და თითქოს რაღაც დიდებული, ტრაგიკული და ამაღელვებელი მატიანის ფურცლები იშლებიან ჩვენს თვალწინ: ამ გუგუნში ისმის, როგორც საომრად შემართული ლაშქრის საბრძოლო სიმღერა, ისე ტაგუს და ვალერია სკვერის ჩუმი კვნესაც, აქ ვიგებთ სინთუს და ჩონთის უბედური ტრფიალის ამბავსაც, გვესმის ცაოს გამტაცებელთა ცხენების თქარათქურიც, აქ ჩანს მრავალი უსახელო გმირის განუზომელი და აუწონავი ღვაწლი, რითაც სავსეა საქართველოს ისტორიის ყოველი ფურცელი.

როგორც ხევისბერი დაარისხებდა ხოლმე ზარებს და შეარხევდა ცაში აფრიალებულ დროშას, რომ ჩამოვარდნილ მყუდროებაში ერი სამშობლოს სიყვარულზე დაეფიცებინა, ისე აქაც იგრძნობა ეს დიდებული და წმინდა გრძნობა იმ მიწისადმი, რომლის დაცვას ეს ადამიანები უყოყმანოდ ეწირებიან.

გუგუნებენ ოდიშის ზარები და მათ გუგუნს უერთდება გულისფეთქვა ყოველი ადამიანისა, ვისაც ამ მრავალტანჯულ ქვეყანაში თვალი გაუხელია და ერთხელ მაინც დაუნახავს თვალშეუდგამი ცა და ფრიალო კლდეები.

---

სწორედ იმ დროს, როცა თინაც ვითომ უყვარდა. აი, როგორი აფერისტია ეგ თქვენი რამაზი. განა ასეთ კაცს შეუძლია სიყვარული? თინამ გაიგო ეს ამბავი და ამიტომ ეგ ვაჟბატონი ჭირის დღესავით შეიძულა.

— თინას საიდან უნდა გაეგო ეს?

— მარინესაგან. თვითონ გამოუტყდა, ვთხოვდებით. საქმროც დაუსახელა და წარმოიდგინეთ, თინამ ისე დაიჭირა თავი, თითქოს არაფერი იცოდა. ოღონდ ის გაიძვერა აღარ გაიკარა ახლოს, ჩვენს შორის ყველაფერი გათავებულიაო. იმ ვაჟბატონს კი ეყო თავხედობა და ისევ მიადგა კარზე მარინეს. ქალმა ცხვირწინ მიუკეტა კარი, მეზიზღებიო!

— ეს არ ვიცოდი, და თუნდაც მცოდნოდა, კანონის არც ერთი მუხლი ამას არ ითვალისწინებს.

— არა, ზოიძე დამნაშავეა, განა მარტო კოდექსის მიხედვით განიხილება ესა თუ ის საქციელი? განა ასეთმა ადამიანმა კიდევ შეიძლება ილაპარაკოს სიყვარულზე? ამას სიყვარული კი არა, ვერაგობა და მუხანათობა ჰქვია. მას არც თინა უყვარდა და არც მარინე.

— რომ არ დაასახელა მარინე ალიბის დასადგენად, არ მოსჭრა თავი, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ საფრთხეში იყო?

— ეგეც ეშმაკობით ჩაიდინა. ვითომ შეიცოდა ქალი, თავი არ მოსჭრა, მაგრამ ეს იმიტომ, რომ მასთან საქმე არ წახდენოდა.

გამომძიებელი მძიმედ ჩაფიქრებული მისდევდა ქალს გვერდით და სიტყვა ვერ ეპოვნა მის დასამშვიდებლად. ეს ის სფერო იყო, სადაც მისი უფლებანი აღარა სჭრიდნენ და სადაც მას არავითარი განკარგულების გაცემა არ შეეძლო.

ბორის მირცხულავა,
შოთა კაკაბაძე,

---

**იორამ ქემერტელიძე**

## მოსვლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ სალამოს დაუცდის იგი,
და მერე მოვა,
უთუოდ მოვა...

მხოლოდ...
სალამოს დაუცდის იგი,
შვილებს — საცოლეს და გასათხოვარს.

და მერე მოვა ყველასთან ერთად,
ოდნავ დაღლილი, კეთილი სახით.
ის ასე მოვა ყველასთან ერთად,
რომ სიხარულით ამივსოს სახლი.

მხოლოდ სალამოს დაუცდის იგი...
კეთილი იყოს იმისი მოსვლა!
მხოლოდ სალამოს...
ვინ იცის იქნებ
თავზე დამადგეს შუადღის დროსაც.

მე ველოდები...
ადრე თუ მალე,
ისე ვით ჩემი წილი და ხვედრი, —
თეთრი მოხუცი გაალებს კარებს
და შეიძლება არც იყოს თეთრი.

## წვიმა

წვიმა ცრემლივით მოწყდება ღრუბელს,
ჩაყვება შენს მხრებს,
მკლავებს და ხელებს.
და ასე ჩნდება წვეთიდან გუბე,
გუბიდან — რუ და... რუებით — ღელე.

ასე გადადის ჩემს მხრებზეც წვიმა
ნაჟურით ჩემი მკლავების, მხრების, —
რომ არ ჩამოვყვეთ ყოველგვარ
წვრილმანს, —
დიდი,
ძლიერი ჩნდებიან ზღვები.

და მე მიმძიმებს მხრებსა თუ კისერს
ამ წვიმის ორთქლი,
ამ თქეშის ორთქლი.
ბოლოსდაბოლოს, გამოდის ისე —
ვცხოვრობ წვიმაში და სულისმოთქმით.

## როვით ყრმობისდროინდელ სოფლისკენ

მორჩა...
აქ იყო ტყეცა და ახოც,
ახლა სამკვდროზე ქარი ბატონობს...
მოვედი მიტომ, რომ დაგიძახო,
რომ დაგიძახო და გაგაგონო.

შენ აღარა ხარ,
შენ ჯაჭვი გეცვა...
შენ ალბათ ბოძებს გიგავდა მაჯა.
შენ აღარა ხარ...
და ლოდებქვეშაც
თეთრი, უფერო ბალახი დარჩა.

მაგრამ გათავდა...
სად უნდა გნახო,
თურმე ყველაფერს ჰქონია ბოლო,
თორემ მოვედი, რომ დაგიძახო,
რომ დაგიძახო და გაგაგონო.

# [illegible]



## სიგარეტი — სამუზეუმო ექსპონატი

ბერლინისა და დრეზდენის მუზეუმები მთელ მსოფლიოშია სახელგანთქმული, მაგრამ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მათს გვერდით, არსებობს მრავალი პატარა, ნაკლებად ცნობილი მუზეუმი, რომლებიც აშუქებენ ადამიანთა ცხოვრების რომელიმე ვიწრო სფეროსა თუ კუთხეს.

ასე, მაგალითად, ქალაქ აპოლდაში არის ზარების მუზეუმი, ზონებერგში — სათამაშოების მუზეუმი, არნშტადტში — თოჯინების მუზეუმი, ალტენბერგში — ბანქოს ქაღალდის მუზეუმი, ნეკარსულმში — ველოსიპედის ისტორიის მუზეუმი, ვაისენფელდში — ფეხსაცმელების მუზეუმი.

ასეთი მუზეუმები ბევრია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაშიც. საინტერესოა თამბაქოს მუზეუმი ბიუნდეში (ვესტფალია), სადაც ნახავთ ყველა სახის და ყველა დროის სიგარეტების ნიმუშებს, პაპიროსებს, სიგარებს, საფერფლეებს, ჩიბუხებს და სხვა ნივთებს.

მუზეუმის სიამაყეა ვეებერთელა სიგარა, რომლის სიგრძე 174 სანტიმეტრია, სისქე — 58 სანტიმეტრი. გამოთვლილია, რომ ამ სიგარას შეუძლია გამოჰყოს იმდენი კვამლი, რამდენიც ყველაზე გაუმაძღარ მწეველს მთელი წლის მანძილზე ეყოფა.

ამბობენ, რომ თურმე მუზეუმის თანამშრომლები ოცნებობენ იმ დღეზე, როცა მუზეუმის თაროზე შემოსდებენ სიგარეტების უკანასკნელ კოლოფს. მაგრამ ვინ იცის როდის დადგება ის დღე!



## იაშინმა იხსნა... ჟურნალისტი

იმ ხანებში, როცა ეს ამბავი მოხდა, საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი ბრაზილიაში იმყოფებოდა. გუნდმა ის-ის იყო წვრთნა დაამთავრა „ფლამენგოს“ სტადიონზე, რიო-დე-ჟანეიროში. ავტობუსი წუთით წუთზე უნდა გასულიყო. ყველანი ჩქარობდნენ, რომ ვახშამზე არ დაგვიანებოდათ. ავტობუსის გარშემო უამრავ გულშემატკივარს მოეყარა თავი. თარჯიმანმა მოულოდნელად გამოაცხადა, რომ გულშემატკივართა შორის იმყოფება გაზეთის რეპორტიორი, რომელსაც რედაქტორი სამუშაოდან გაგდებით დაემუქრა, თუ სახვალიო ნომრისათვის ლევ იაშინს ინტერვიუს ვერ ჩამოართმევდა. ამ სიტყვების გაგონებაზე იაშინი მაშინვე სავარძლიდან წამოხტა.

— წავიდეთ, გადავარჩინოთ ბიჭი! — უთხრა მან თარჯიმანს.

რეპორტიორი სრულიად ახალგაზრდა აღმოჩნდა. მას ყოველგვარი იმედი უკვე დაკარგული ჰქონდა, როცა ლევ იაშინი, თითქოს ზეციდან ჩამოვარდაო, მოულოდნელად აღმოჩნდა მის წინ. სახტად დარჩენილი რეპორტიორი ენაწართმეული იდგა. იაშინმა, ცხადია, კარგად გაიგო მისი მდგომარეობა და შეკითხვებისათვის არც კი დაუცდია, თვითონვე დაიწყო საუბარი. რეპორტიორი გაშმაგებით იწერდა სახელგანთქმული მეკარის თვითეულ სიტყვას. დასასრულს იაშინმა ხელი მოაწერა ბლოკნოტში ჩაწერილ ტექსტზე, ჭაბუკს მხარზე მეგობრულად დაჰკრა ხელი და ავტობუსში დაბრუნდა.

ახლად ფეხადგმულ ჟურნალისტს ალბათ მთელი სიცოცხლე ემახსოვრება საბჭოთა მეკარე, რომელმაც გაჭირვების წუთებში მეგობრულად გაუწოდა ხელი.



## ეს ჩიტის რძე არ გეგონოთ...

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არა ერთი მეცნიერი მუშაობს ადამიანის საზრდოდ გამოსადეგი სინთეზური პროდუქტების შესაქმნელად. ასე, მაგალითად, უკვე წამოიჭრა პრობლემა — შეიძლება თუ არა, რომ რძე მიღებული იქნას... მცენარის ფოთლებისაგან?

როგორც შვეიცარული ჟურნალი „ჰემიშე რუნდშაუ“ იუწყება, ინგლისელმა სპეციალისტებმა ამ საკითხს უკვე დადებითი პასუხი გასცეს. მათ მიერ ფოთლებისაგან დამზადებული რძე, როგორც თვითონ აღნიშნავენ, არ ჩამოუვარდება ძროხის რძეს. მეცნიერებმა ხელოვნური რძის მისაღებად გამოიყენეს იმ მცენარეთა ფოთლები, რომლითაც ძროხები იკვებებიან. უპირველეს ყოვლისა, ესენი ცილებით მდიდარი ქერის, სამყურას, სიმინდის, შვრიას, ჭვავის, ხორბლისა და სხვა მცენარეების ფოთლებია.

მცენარის ფოთლისაგან გამოყოფილ ცილებს სპეციალისტები ჯერ ათბობენ და ფილტრავენ, მიღებულ მუქ-მწვანე მასას ხარშავენ, შემდეგ შეაქვთ სპეციალურ მანქანაში, ურევენ სხვადასხვა საკვებ ნივთიერებებში, აუფერულებენ, აცლიან მომშხამველ ნივთიერებებს. მიღებული ხელოვნური რძე გარეგნულად არ განსხვავდება ჩვეულებრივი რძისაგან, იგი მხოლოდ ოდნავ მოსქოა, მაგრამ როგორც მისი დამამზადებლები ირწმუნებიან, მას ახლად ჩამოწველილი რძის სასიამოვნო გემო და სასარგებლო თვისებები აქვს.

ერთი სიტყვით, ჩიტის რძე, არ არის მაგრამ ალარც იმდენი უკლია!



## წელიწადში 240 ათასი კაცი

დიახ, გასულ წელს, მარტო ერთ ქვეყანაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში ორას ორმოცი ათასი კაცი მოჰკლა ერთი შეხედვით ძალიან უბრალო რამემ — სიგარეტმა. ეს სავსებით სანდო, ოფიციალური ცნობაა, რომელიც ტუბერკულოზის ნაციონალური ასოციაციის ყრილობაზე გამოაქვეყნა ამერიკის შეერთებული შტატების ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს მთავარმა ქირურგმა ლუთერ ტერიმ. ეს დასკვნა მიღებულ იქნა თამბაქოს მწეველთა და არამწეველთა სიკვდილიანობის შესწავლის საფუძველზე.

ლუთერ ტერიმ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რა და რა ავადმყოფობებს იწვევს თამბაქოს წევა; ზემოხსენებული რიცხვიდან 138 ათასი კაცი იმსხვერპლა ბრონქიტმა, გულის სისხლძარღვების დაავადებამ, ყელის, ფილტვების, მომნელებელი ორგანოებისა და საშარდე ბუშტის კიბომ. 102 ათასი კაცი კი გარდაიცვალა ისეთი დაავადებით, რომლებიც პირდაპირ თუ არა, ნაწილობრივ მაინც პაპიროსის წევით იყო გამოწვეული.

გარეკანის პირველ გვერდზე: ნესტან-დარეჯანი. ნახატი უჩა ჯაფარიძისა, მეოთხე გვერდზე: მთაწმინდის პლატოზე. ფოტო თ. არჩვაძისა.

რედაქტორი გ. ნატროშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე. ი. ტაბალუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის 9-54-66, პ/მგ. მდივნის—9-82-69, განყოფილებების—3-28-42, 9-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/VII-66 წ. გამომც. № 95, ქაღ. ზომა 70×108[1]/8. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. სააღრიცხვო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 30.000. შეკვ. № 2334, უე 03124

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭავის რაიონი (სამხრეთ ოსეთი) ერწოს ტბა

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ИНДЕКС 76056



ეროვნული ბიბლიოთეკა